



ჟურნალისტური გამოძიება:  
**ჩეხი სახელმწიფო  
თავისუფლების სანაცვლოდ**

**კომენტარი**  
გიორგი ცხაღანია  
**ევროპული  
ბზა**  
გვ. 10

**ინტერვიუ**  
საბინა ნაღარაიასთან  
**ყვანა ქანი  
ფაშინისხია**  
გვ. 14

**რეპორტაჟი**  
**მანთაყვის  
ღვინით  
დასახლება**  
გვ. 18

**სამართალი**  
**ჩაბოძ**  
**უბედურად  
ქართული  
სასამართლო  
ვიდეორეკონსტრუქციის?**  
გვ. 36

ISSN 1987-7528



9 771987 752008





[www.ucnobifm.ge](http://www.ucnobifm.ge)



მთავარი რედაქტორი  
შორენა შავერდაშვილი

რედაქტორები  
სოფო ბუკია  
მაგდა მეზანიშვილი

ჟურნალისტური გამომცემი  
ნინო ზურიაშვილი

ვებგვერდის რედაქტორი  
ნანა საჯაია

ჟურნალისტები:  
მაია წიკლაური, ეკა ჭითანავა, თამარ ფარდაშვილი, ცირა გვასალია, მალხაზ ჭკადუა, ზურა ვარდიაშვილი, ანიტა თვაური, ანი ჭანკოტაძე, ლიკა ზაკაშვილი, თათია ხალიანი, სალომე ცეცხლაძე

კონტრიბუტორები:  
გიორგი ცხადაია, მარკ მალენი, მანანა ვარდიაშვილი, გიორგი მგელაძე, ინალ ხაშიგი, დიანა ჩაჩუა, თიკო ცომაია, კახა თოლორდავა

რედაქცია:  
ფოტო-რედაქტორი  
ლევან ხერხეულიძე  
გრაფიკული დიზაინი  
თორნიკე ლორთქიფანიძე  
რედაქტორ-სტილისტი პაატა შამუგია  
კორექტორი თამარ ლონღაძე

გამომცემლობა:  
დირექტორი  
ქეთევან ბაბუნაშვილი  
ბაყიდვებისა და გიზნების  
ბანკითარების მენეჯერი  
რუსუდან ბარათაშვილი  
კლიენტთა მომსახურების და  
დისტრიბუციის მენეჯერი  
ნათია რუსაძე

ბაყიდვების მენეჯერები:  
ლევან ჯაბუა, სოფო პაპუნაშვილი,  
ქეთევან ქავთარაძე, ქეთევან  
მეგრელიძე, ელენე ხარაზაშვილი,  
მარიამ მიქელაშვილი, ზურაბ  
ზანდარაშვილი, თინა ოსეფაშვილი

დისტრიბუტორი:  
მიხეილ გედენიძე

ჟურნალის გამომცემის მსურველებმა  
დაურეკეთ: 2962311, 2910151 პრეს-ექსპრესი,  
08:00 -16:00 სთ.

სამაჩთარი



ფოტო შინა საბუნოლოცა

# ახა ვიდეოს

**რატომ უგულებელყოფს ქართული სასამართლო ვიდეორჩანაწერს?**

ბოლო პერიოდში მიტინგებსა და მანიფესტაციებზე დაკავებული პირების საქმეების უმრავლესობა სასამართლომ ისე განიხილა, რომ შემთხვევის ადგილზე გაკეთებული ვიდეორჩანაწერები მტკიცებულებად არ მიიღო. ასეთ საქმეებზე გადანყვეტილებების გამოტანისას სასამართლო, როგორც წესი, მხოლოდ სამართალდამცავთა ჩვენებებს ეყრდნობა და მიტინგზე დაკავებულთა გამამტყუნებელი გადანყვეტილებები გამოაქვს.

სალომე ცეცხლაძე  
83.36

# ბანხილება მსჯავრის ნასვინად

უკვე ერთი წელია, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო „არას-რულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამას“ ახორციელებს. პროგრამა არასრულწლოვანთა სისხლის სამართლებრივი პასუხის-მგებლობისგან გათავისუფლებას და საზოგადოებაში რეაბილიტაციას გულისხმობს.



სალომე ცეცხლაძე, ზურა ვარდიაშვილი  
83.34



## ბაზილის თაჩა ნაფის მსაჯულთა ინსტიტუტი სასამართლოს ნომანა და ხაჩისხს?

გიორგი მელაძე: „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სწორედაც რომ „მაშველ რგოლად“ უნდა იქცეს სასამართლო სისტემისთვის, შექმნას სტაბილურობის განცდა და დაიცვას ის, როგორც ხელისუფლების ზედმეტი ენთუზიაზმის, ისე საზოგადოების მხრიდან ზენოლისგან. შემთხვევითი შერჩევის გზით წარმოდგენილი თორმეტი მოქალაქე გადაიქცევა მართლმსაჯულების იარაღად და



ამით ძლიერ ჯაჭვს გააჩენს აქამდე გაუცხოებულ და ელიტისტურ სამართლის ინსტიტუტებსა და საზოგადოებას შორის“.

მანანა კობახიძე: „რთულია ერთი პროცესით კონკრეტული დასკვნები გამოიტანო, თუმცა, ნათელია, რომ მსაჯულთა პროცესში ყველაფერი მხარეების ორატორობაზე დამოკიდებული, იმაზე, თუ რა გავლენას მოახდენს პროკურორი ან ადვოკატი ადამიანებზე, რომლებსაც არავითარი იურიდიული განათლება და გამოცდილება არ აქვთ. მსაჯულების ვერდიქტი უფრო ემოციურ ფონზე მიღებული გადანყვეტილება“.

ორი აზრი 33.8

## ჩაქძო საჯათიება თაჩისუფიების სანასვლო

არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებით, კერძო საკუთრების სახელმწიფოზე ჩუქების ტენდენციამ მასობრივი სახე 2006-2007 წლებში მიიღო და დღემდე გრძელდება. მათი განმარტებით, კერძო საკუთრების უფლების შელახვის პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ ტურისტულ ზონებში მცხოვრებ ადამიანებს აწუხებთ.

არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ წარმომადგენელი ნინა ხატისკაცი აცხადებს, რომ საგადასახადო სამსახურს სახელმწიფო ზოგჯერ მენარმეზე ზენოლის მექანიზმად იყენებს.

ნანა ბიგანიშვილი 33.44

## ყვანა ქალი ფაინისხია

„ქართველი ქალის ფსიქოსოციალური პორტრეტი არის მებრძოლი დედა, რომელიც ხმლით იცავს ერის ღირსებას, ბევრ შვილს აჩენს და ომში აგზავნის. ამაზე არაჰუმანური ფენომენი ცხოვრებაში არ შემხვედრია. ბავშვობაში შოკი იყო, რომ ვკითხულობდი, რომ დედას მიყავს ომში შვილები: ერთი რომ წაიქცევა, დროშას მეორეს გადასცემს, მეორე რომ წაიქცევა მესამეს... აქ გენდერულ როლს ნაციონალური რიტორიკა ებმის. ეს არაჰუმანური და არაჯანსაღია“.

ინტერვიუ ხატია ნადარაიასთან 33.14

## ჩაქოხლანი ბატონაყვის ღვინითა დასახლებიან

ღვინილების მნიშვნელოვანი ნაწილი აცხადებს, რომ თავის ძველ საცხოვრებელში დარჩენას ამჯობინებდა. ისინი ცხოვრებას განსახლების შემდეგ ახლიდან იწყებენ.

სამინისტროს პრესსამსახურის წერილობით პასუხში ნათქვამია, რომ ფოთში ჩასახლებული „ღვინილები დასაქმდნენ ბაზარში, ნავსადგურში, მშენებლობაზე, ბანკში. ვისაც კვალიფიკაცია და სურვილი აქვს, დასაქმება შესაძლებელია“, თუმცა კითხვაზე, მალთაყვაში ჩასახლებული კერძოდ რამდენი ღვინილი პირი დასაქმდა, ეკა გულუამ, პასუხი არ მოგვწერა. სამინისტროში არც ის იციან, ახალ დასახლებაში განთავსებული რამდენი ღვინილი პირია დაუსაქმებელი.

 ლია ზაკაშვილი  
03.18

### ფოტოჩაქოხლანი

## ბნელი ღვინილების ბინები



ფოტო მალბაზ ქაძაშვილი

 მალბაზ ქაძაშვილი ფოტორეპორტაჟი  
03.48-53

### ამომცემელი:

შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0183, ფლენტის ქ. 35. ტელ.: (995 32) 2145002, 2145004. ელ-ფოსტა: info@liberali.ge

### სხვა ამომცემელი:

„ცხელი შოკოლადი“, „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“. „ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

### აქწვა:

სტამბა „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02. გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ხუთშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.

### საქვე ნომერი:



- 04 მოკლედ
- 06 რიცხვები, ციტატები  
**კომენტარი**
- 10 საქართველოს განვითარების ევროპული გზა  
გიორგი ცხადაია
- 12 მანქანით, ველოსიპედით, ფეხით  
მარკ მალენი  
**მსოფლიო**
- 24 ბერლუსკონი და დემოკრატიის ანტისხეულები  
**კონფლიქტები**
- 30 გამყიდველი ვინაა?  
**ადამიანის უფლებები**
- 31 სამსახური ჯანმრთელობის ფასად  
**სამართალი**
- 34 განრიდება მსჯავრის ნაცვლად
- 36 არა ვიდვოს  
**სამართალი**
- 40 როგორ დავანეროთ ბარიერები  
**ლიბერალის ვებგვერდიდან**
- 54 მეოცნებენი და სხვები  
**ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები**
- 56 გამარჯობა! გაგიმარჯოს!



ჟურნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდ „ლია საზოგადოება – საქართველოს“ მხარდაჭერით.

ავტორის / ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდის „ლია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.

## ეგვიპტეში სახელმწიფო საბჭოს ბელადგომის ითხოვნა



ეგვიპტის შეიარაღებული ძალების ეროვნულმა საბჭომ ქვეყნის ხელისუფლების გადადგომის შესახებ განცხადებას ხელი მოაწერა. ეს ინფორმაცია ტელეკომპანია „ალ ჯაზირამ“ გაავრცელა. სამხედრო საბჭო პრემიერ-მინისტრის ახალ კანდიდატურას განიხილავს. ეგვიპტის პრემიერის ისამ შარაფის გადადგომა ეგვიპტეში ახალ საპროტესტო ტალღას უკავშირდება, რომელსაც, ბოლო მონაცემებით, 24 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. დაშავდა 1200 ადამიანი.

დემონსტრანტების მთავარი მოთხოვნაა სამხედრო საბჭომ დროულად გადასცეს ხელისუფლება სამოქალაქო ხელმძღვანელებს. ეგვიპტელები მთავრობასთან ერთად, სამხედრო საბჭოს გადადგომასაც ითხოვენ.

## სიჩიის ხელისუფლება ჩეხეთის შინაგარე აქტიურობის

დედაქალაქ დამასკოში 19 ნოემბერს სირიის მმართველი პარტიის „ბაათის“ შენობას ორი ჭურვი მოხვდა. მედიაში გავრცელდა ცნობა, რომ აფეთქებისას სულ ცოტა 14 ადამიანი დაიღუპა. დაღუპულთაგან 4 კი ხელისუფლების სადაზვერუო აგენტი იყო.

კიდევ ერთი თავდასხმა სირიაში 16 ნოემბერს განხორციელდა. მაშინ სირიის დედაქალაქ დამასკოსთან დეზერტირები სამხედრო-საჰაერო ძალების დაზვერვის სამსახურის შტაბ-ბინას დაესხნენ თავს. ეს ინფორმაცია სირიელმა აქტივისტებმა გაავრცელეს. ამ თავდასხმას და სირიაში არსებულ ვითარებას რუსეთის საგარეო საქმეთა

მინისტრი სერგეი ლავროვი გამოეხმაურა, მან სიტუაციას კრიზისული უწოდა და სამოქალაქო ომს შეადარა. ლავროვის განცხადებით, მსოფლიო თანამეგობრობამ სირიაში ყველა მხარეს, მათ შორის ოპოზიციასაც უნდა მოუწოდოს არაძალადობრივი ქმედებისაკენ.

რუსეთი და ჩინეთი ის ქვეყნებია, რომლებიც გაეროს უშიშროების საბჭოს პრეზიდენტ ასადის რეჟიმის წინააღმდეგ რეზოლუციის მიღების საშუალებას არ აძლევენ. პარალელურად, 16 ნოემბერს არაბულმა ლიგამ სირიას ამ გაერთიანების წევრობა შეუჩერა და მთავრობას სამი დღე მისცა, რეპრესიებისათვის ბოლოს მოსაღებად და სირიაში მეთვალყურეთა გუნდის შესაშვებად არაბთა ლიგის ულტიმატუმი 20 ნოემბერს ამოიწურა. არაბთა ლიგა სირიას სამშვიდობო გეგმას სთავაზობდა. გეგმის მიხედვით სირიის ხელისუფლებას აქციის მონაწილეებზე თავდასხმა უნდა შეენწყვიტა და ოპოზიციასთან მოლაპარაკება დაენყო. ამ გეგმის შესრულება დამკვირვებლებს უნდა გაეკონტროლებინათ. თუმცა სირიის ხელისუფლებამ ეს გეგმა გააკრიტიკა.

ბრიტანულ გამოცემა „სანდი თაიმსთან“ ინტერვიუში სირიის პრეზიდენტმა ბაშარ ასადმა არაბთა ლიგა სირიაში დასავლური ინტერვენციის შექმნის მცდელობაში დაადანაშაულა, რაც, მისი აზრით, მთელ ახლო აღმოსავლეთში „მინისტრის“ გამოიწვევს. მიუხედავად საგარეო ზეწოლისა, პრეზიდენტმა ბაშარ ალ-ასადმა პირობა დადო, რომ დასავლეთის ინტერვენციას დაუპირისპირდება და ოპოზიციურ ჯგუფებზე თავდასხმას გააგრძელებს.

სირიის პრეზიდენტის განცხადებით, 2012 წლის თებერვალში ან მარტში ქვეყანაში დაინიშნება საპარლამენტო



არჩევნები. ახალი საკანონმდებლო ორგანო კი ახალ კონსტიტუციას შექმნის, რომლითაც სამომავლო საპრეზიდენტო არჩევნების ბედი განისაზღვრება.


2011 წლის მარტის შემდეგ, რაც სირიაში არეულობა დაიწყო, გაეროს მონაცემებით, 3 ათას 500 ადამიანი დაიღუპა.

## სანსიახი ირანის წინააღმდეგ

ირანის წინააღმდეგ ბრიტანეთი, ამერიკის შეერთებული შტატები და კანადა ახალ სანქციებს აწესებენ. ბრიტანეთის მთავრობის განცხადებით, ლონდონმა უკვე განწყვიტა კავშირი ბრიტანეთის საფინანსო სექტორსა და ირანის ბანკებს შორის. ასეთივე ქმედებისათვის ამერიკის მთავრობა და კანადაც ემზადებიან. სანქციების მიზნები ირანის ბირთვული პროგრამაა.

გაეროს ატომური ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, ირანი ატომური ბომბის შექმნაზე მუშაობს და ამისათვის საიდუმლო კვლევასაც აწარმოებს. 18 ნოემბერს გაეროს ატომურმა სააგენტომ მიიღო რეზოლუცია, სადაც ირანის ხელისუფლებას გაეროს უშიშროების საბჭომ დაკისრებული მოვალეობების შესრულებისაკენ მოუწოდა. თავის მხრივ, ირანში ეკონომიკური სანქციები და გაეროს რეზოლუცია „არაეფექტურ შურისძიებად“ და „ისტორიულ შეცდომად“ შეაფასეს. ირანის ხელისუფლების წარმომადგენლებმა ბრალდებები უარყვეს და განაცხადეს, რომ მათი ბირთვული პროგრამა მხოლოდ მშვიდობიან მიზნებს ემსახურება. საინფორმაციო საშუალებებში გავრცელდა ირანის წარმომადგენლის ალი ასლარ სოლთნეის განცხადება. მისი თქმით, „სააგენტოს დირექტორმა, იუკია ამანომ ისტორიული შეცდომა დაუშვა თავისი ანგარიშით და გადაუხვია ირანსა და ატომური ენერგეტიკის სააგენტოს შორის თანამშრომლობის კურსიდან“.

გაეროს ენერგეტიკის სააგენტოს ბოლო ანგარიშის გამოქვეყნების შემდეგ, ირანის პარლამენტი აპირებს, სააგენტოსთან თანამშრომლობა გადასინჯოს. უცნობია, დათანხმდება თუ არა ირანი ამანოს გაეროს ექსპერტთა გუნ-



დის თეირანში ვიზიტს. ამანოს სურს ექსპერტებმა ადგილზე შეამოწმონ, მართლაც მუშაობს თუ არა ირანი საიდუმლო ბირთვულ პროგრამაზე. ირანის ბირთვული პროგრამის საკითხს ისრაელიც გამოეხმაურა. ისრაელის თავდაცვის მინისტრის ეჭუდ ბარაკის განცხადებით, წელიწადზე ნაკლები რჩება იმ პერიოდამდე, როდესაც შეუძლებელი გახდება ირანის შეჩერება. ეფუდ ბარაკის განცხადებით, გაეროს ატომური სააგენტოს ბოლო ანგარიშმა გამოაფხიზლა მსოფლიოს ლიდერები და ბიძგი მისცა ინტენსიურ დიპლომატიურ ძალისხმევას.

სანქციებს ირანის წინააღმდეგ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს რეაგირებაც მოჰყვა. რუსეთის საგარეო უწყებამ ეს ფაქტი „მიუღებელ და უკანონო ქმედებად“ შეაფასა.

**აიომოქანოს ჯანმთავრობის მდომიხიობა ბაჰაიხსა**

უკრაინის ყოფილი პრემიერ-მინისტრი იულია ტიმოშენკო ბოლო ორი კვირაა საგამოძიებო იზოლაცორში სამედიცინო დახმარებას ვერ იღებს, – ეს ინფორმაცია ტიმოშენკოს ადვოკატმა სერგეი ვლასენკომ გაავრცელა. მისი ინფორმაციით, ყოფილ პრემიერს, რომელიც 3 თვეზე მეტია პატიმრობაში იმყოფება, ხერხემლის ძლიერი ტკივილები აწუხებს და დამოუკიდებლად გადაადგილება უჭირს. ამის მიუხედავად, საგადასახადო

მილიცია გამოძიებას აგრძელებს და მას ყოველდღიურად რამდენიმე საათის განმავლობაში კითხავს.

„საგამოძიებო ქმედებები საკანში მიმდინარეობს. მას უკვე 14 დღეა სიარული არ შეუძლია.“ – აცხადებს სერგეი ვლასენკო. ტიმოშენკოს ადვოკატი მისი დაცვის ქვეშ მყოფის გასინჯვას და მკურნალობას ითხოვს. დასახმარებლად ყოფილი პრემიერის თანაგუნდელებმა საერთაშორისო ორგანიზაციებს, მათ შორის წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს მიმართეს.

ტიმოშენკო იზოლაცორში უკრაინის სახალხო დამცველმა, ნინა კარპაჩევამაც მოინახულა. მისი თქმით, მდგომარეობა „უკიდურესად მძიმეა“.

უკრაინის ჯანდაცვის მინისტრის ალექსანდრ ანიშენკოს თქმით, სამედიცინო კომისიამ ტიმოშენკოსთვის მაგნიტორეზონანსური ტომოგრაფიისა და სხვა გამოკვლევების ჩატარების გადაწყვეტილება მიიღო, თუმცა გამოკვლევები სააპულაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე ვერ ტარდება.

კიევის პეჩორის რაიონის სასამართლო იულია ტიმოშენკოს 2009 წელს რუსეთთან გაფორმებული გაზის კონტრაქტის გამო თანამდებობრივი უფლებამოსილების ვადამეტებაში დასდო ბრალი და მას 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, ასევე „ნეფტოგაზ უკრაინის“ სასარგებლოდ 200 მილიონი დოლარის გადახდა დაეკისრა.

**ჯაიხინაში "თავისუფლების დღის" აღნიშვნა აიხიძა**

კიევის სასამართლომ 22 ნოემბერს დედაქალაქის ცენტრში ნარინჯისფერი რევოლუციის წლისთავის აღნიშვნა აკრძალა. „თავისუფლების დღის“ აღსანიშნად აქციის ჩატარების შესახებ განაცხადი „ნარინჯისფერი რევოლუციის“ მონაწილეთა კოალიციას ჰქონდა შეტანილი. მონაწილემდეგ მხარეს სასამართლოში კიევის მერიის წარმომადგენლები წარმოადგენდნენ. ისინი ქალაქის ცენტრში აქციის ჩატარებას არ ეთანხმებოდნენ.

„თავისუფლების დღე“ 2004 წლის შემოდგომის რევოლუციის აღსანიშნად უკრაინაში 2005 წელს მამინდელი პრეზიდენტის ვიქტორ იუშჩენკოს განკარგულებით დადგინდა. 2004 წელს მასობრივი საპროტესტო გამოსვლების შედეგად საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური განმეორებით ჩატარდა. შედეგად იუშჩენკომ ამჟამინდელი პრეზიდენტი, ვიქტორ იანუკოვიჩი დაამარჯხა. **რ**



**29-30** ნოემბერს საქართველოს ოფიციალური ვიზიტით სომხეთის პრეზიდენტი სერჟ სარქისიანი ეწვევა.

**17** ნოემბრიდან საქართველო გაეროს გარემოს დაცვის პროგრამის მმართველი საბჭოს წევრად აირჩიეს.

**500** მილიონი დოლარი აჩუქა „გუგლის“ დამაარსებელმა სერგეი ბრინმა „ვიკიპედიას“ ვებგვერდის გასავითარებლად.

**73** პროცენტი გამოკითხული აფხაზი მხარს აფხაზეთის სრულ დამოუკიდებლობას უჭერს (პრალის სააგენტოს Medium Orient-ის გამოკითხვის მიხედვით).

**24,6** პროცენტი გამოკითხული აფხაზია რუსეთთან შეერთების მომხრე (პრალის სააგენტოს Medium Orient-ის გამოკითხვის მიხედვით).

**1,49** მილიარდი ლარი დახარჯა ბიძინა ივანიშვილმა 2005-2010 წლებში საქველმოქმედო საქმიანობაზე.

**38** მილიონი ლარი ბიძინა ივანიშვილმა 2005-2010 წლებში ეკლესიებისა და ფრესკების აღსადგენად გამოყო.

**10** მილიონი ლარი დაიხარჯა ივანიშვილის ფონდიდან მხოლოდ სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობაზე.

„ქუჩის აქცია არ არის ერთადერთი და საუკეთესო გზა პოლიტიკური ბრძოლისთვის, მაგრამ ეს ერთ-ერთი გზა ნამდვილად არის და მე არ გამოვრიცხავ, რომ ქუჩის აქციები, დიდი ალბათობით, კვლავ დადგეს დღის წესრიგში“. ნინო ბურჯანაძე, „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო“-ს თავმჯდომარე



„რა ღმერთი გაუწყრათ დღევანდელ ქართველებს, რომელთაც ღმერთმა უბოძა თავისუფალი სახელმწიფო და დღემდე მისტირიან მონობას, დღემდე მისტირიან ბატონყმობას, დღემდე მისტირიან ვასალის მდგომარეობას, დღემდე უნდათ რომ ვილაცის ქვეშ იყვნენ, ვილაცის ერთი ადგილი ლოკონ, ბოდში, ვილაცის დაქვემდებარებაში იყვნენ?!“

მიხეილ სააკაშვილი, საქართველოს პრეზიდენტი



„ეთნიკურ წმენდას და ძალადობრივ დემოგრაფიულ ცვლილებებს ჰქონდა ადგილი ოკუპანტი ძალის [რუსეთის] მიერ კონტროლირებად [სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის] ტერიტორიებზე“.

ევროპარლამენტის რეზოლუცია საქართველოზე



„საკაშვილი ამაყია და შეიძლება, იმპულსურიც იყოს. ჩვენ ყველა ველავდით, რომ სააკაშვილს შეეძლო, მოსკოვისთვის შანსი მიეცა, იგი პროვოკაციაზე წამოეგო და ძალა გამოეყენებინა. ფაქტობრივად, პირადად სააკაშვილმა წარმატებულად გამოიწვია კონფლიქტი სხვა განდგომილ რეგიონთან – აჭარასთან და ამ რეგიონის სრული ინტეგრაციით საქართველოში სარგებელიც მიიღო. ვშიშობდით, ეს პრეცედენტი მას აფიქრებინებდა, რომ იგივე პუტინის საყვარელი სოჭის მახლობლადაც გამოუვიდოდა“.

კონდოლიზა რაისი, აშშ-ის სახელმწიფო მდივანი (2005-2009)



„რომ არ ყოფილიყო ომი საქართველოსთან, რუსეთის უარყოფითი პოზიციის მიუხედავად, ნატო-ში რამდენიმე ქვეყანას ერთად მიიღებდნენ“.

დიმიტრი მედვედევი, რუსეთის პრეზიდენტი





პროკრედიტ ბანკი  
ProCredit Bank

Georgia

ანაბნობის ანაზღაურება!

**+1,5%**

USD / EUR

ვინაიდან ეს მოქმედებს  
ანაბნობაზე

საინტერესო ბანკი, რომელიც უნდა იყოს



ილუსტრაცია: როსლან ზაბაია

# ბაზილის თუ ახა ნაფის სასამართლოს წევრები

## ღიას

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ისეთი საინტერესო რეფორმა, როგორცაა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, საქართველოში ბევრი არ განხორციელებულა. ალბათ, დრო უნდა გავიდეხ, რომ ბოლომდე შევაფასოთ ამ რეფორმის მნიშვნელობა და გავლენა საქართველოში სამართლის რეფორმასა და სამოქალაქო კულტურის განვითარებაზე, მაგრამ მოლოდინები მაღალია და არცთუ უსაფუძვლოდ. ყველაზე ავტორიტარულ ქვეყნებშიც კი ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ შეძლო სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი წნეხის გარღვევა. რუსეთი ამის ბოლო მაგალითია, სადაც პილოტური პროგრამის შედეგების შეფასების შემდეგ, სახელმწიფომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო გააუქმა.

დემოკრატია „ზემოდან ქვემოთ“ თუ პირიქით? – ეს არის საკითხი, რომლის ამონაზრვაც შეუძლებელია, მაგრამ ერთზე შეთანხმება შეიძლება – წარმოუდგენელია დემოკრატიის შენარჩუნება ხელისუ-

გიორგი მელაძე  
„თავისუფლების  
ინსტიტუტი“



ფლებისა და საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევით გარეშე. შესაძლებელია დემოკრატიული რეფორმების ნაჩქარევად გატარება, მაგრამ თუ საზოგადოება მათ არ მიიღებს, ისინი წარუმატებლობისთვისაა განწირული. საქართველოში სასამართლო სისტემის რეფორმის მდიდარი გამოცდილება დაგროვდა, თუმცა მას ყოველთვის რაღაც აკლდებოდა და ტრადიციული სკეპტიკური განწყობა საზოგადოებრივი რეფორმატორების ენთუზიაზმს ადვილად აგრილებდა.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სწორედაც რომ „მამველ რგოლად“ უნდა იქცეს სასამართლო სისტემისთვის, შექმნას სტაბილურობის განცდა და დაიცვას

ის, როგორც ხელისუფლების ზედმეტი ენთუზიაზმის, ისე საზოგადოების მხრიდან ზენოლისგან. შემთხვევითი შერჩევის გზით წარმოდგენილი თორმეტი მოქალაქე გადაიქცევა მართლმსაჯულების იარაღად და ამით ძლიერ ჯაჭვს გააჩენს აქამდე გაუცხოებულ და ელიტისტურ სამართლის ინსტიტუტებსა და საზოგადოებას შორის.

ალადგენს თუ არა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ნდობას სასამართლოების მიმართ? ალბათ ამაზე უფრო მნიშვნელოვანია ის, თუ რამდენად სწრაფად ალადგენს სისტემა ნდობას, რადგან პირველი კითხვა ეჭვგარეშეა და ამის მაგალითია ქვეყნები, სადაც გაცილებით რთული სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური პირობების მიუხედავად, ნდობა საუკუნეების წინ ჩამოყალიბდა და შენარჩუნდა.

ჩვენს კითხვაზე პასუხი მარტივია: გაზომვადი ეფექტის მისაღებად ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სრულად უნდა ამოქმედდეს და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება კონკრეტულ შედეგზე ლაპარაკი.



# მსაჯულთა ინსტიტუტი ნდობას და ხაზისს?

## არა

იმ პირობებში, როდესაც მოსამართლე არ და ვერ არის დამოუკიდებელი, მოქალაქეთა ნაწილის აზრით, შესაძლებელია ნაფიც მსაჯულთა სასამართლო იყოს ის ინსტიტუტი, რომელიც სამართლიან ვერდიქტს გამოიტანს. ვფიქრობ, ეს შეფასება გადაჭარბებულია! იმ ქვეყნებშიც, სადაც მსაჯულთა სასამართლო დიდი ხანია არსებობს, ამ სისტემას უამრავი მონინა-აღმდეგე ჰყავს. რთულია ერთი პროცესის მიხედვით გამოიტანო კონკრეტული დასკვნები, თუმცა, ამის გაკეთება საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობითაც შეგვიძლია.

ნათელია, რომ მსაჯულთა პროცესში ყველაფერი მხარეების ორატორობაზე დამოკიდებული, იმაზე, თუ რა გავლენას მოახდენს პროკურორი ან ადვოკატი კონკრეტულ ადამიანებზე, რომლებსაც ამ სფეროში არავითარი იურიდიული განათლება და გამოცდილება არ აქვთ. მსაჯულების ვერდიქტი უფრო ემოციურ ფონზე მიღებული გადაწყვეტილებაა.

### მანანა კობახიძე

არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოებრივი დამცველის“ აღმასრულებელი დირექტორი



მით უმეტეს, სარისკოა ეს პროექტი ჩვენთან, სადაც სასამართლომ ნდობა დაკარგა, პრობლემებია სამართლიანი განხილვის კუთხით და რეფორმა მხოლოდ რეფორმისთვის კეთდება. ხელისუფლებამ გადაწყვიტა ნაფიცი მსაჯულების მეშვეობით აღმოფხვრას სასამართლოში არსებული ხარვეზები. მოსამართლეებს შეუძლიათ თქვან, რომ მათ კი არა, ხალხს გამოაქვს ვერდიქტი. ეს, უბრალოდ, სასამართლოსთვის პასუხისმგებლობის მოხსნაა.

როდესაც კვალიფიციური, განათლებული, დამოუკიდებელი მოსამართლე მხოლოდ კონსტიტუციისა და კანონის მიხედვით იღებს გადაწყვეტილებას, უფრო სამართლიანია ვერდიქტი, ვიდრე 12 მსაჯუ-


ლის შემთხვევაში, რომელთაც წარმოდგენა არ აქვთ, რა არის მტკიცებულება, დასაშვებობა და უდანაშაულობის პრეზუმფიცია.

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი მთელი ქვეყნის მასშტაბით სასამართლოს ნდობასა და ხარისხს ვერ აამაღლებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მხოლოდ თბილისში ჩადენილი და ერთი სახის დანაშაულის განხილვის უფლება აქვთ. გარდა ამისა ადვოკატები, პროკურორები და მოსამართლეები არათანაბარ პირობებში არიან. პროკურორებმა და მოსამართლეებმა საკმაოდ დიდი მომზადება გაიარეს, სხვა ქვეყნებში რამდენიმე პროცესსაც დაესწრნენ. ამაში საკმაოდ დიდი ფული დაიხარჯა. ადვოკატებისათვის კი ამ მიმართულებით არაფერი გაკეთებულა.

სახელმწიფო ვალდებულია განახორციელოს სამართლიანი მართლმსაჯულება, შესაბამისად, მან უნდა იზრუნოს მხარეთა თანაბარ მომზადებაზე. როდესაც არც საზოგადოება ამისთვის მზად და არც დაცვის მხარე, სახელმწიფომ ხისტი რეფორმები უნდა შეაჩეროს. ■

# საქართველოს ბანკითაჩების ეკონომიკური ბზა

გიორგი ცხადაია  
ილიას უნივერსიტეტის  
პოლიტიკური  
მეცნიერების  
მაგისტრანტი



„იქიდან გამომდინარე, რომ ევროპასთან თანამშრომლობის მთავარი მოთხოვნა დემოკრატიის განვითარებაა, ევროკავშირთან დაახლოებისკენ პირველ რეალურ ნაბიჯებს მაშინ გადავდგამთ, თუ უახლოეს არჩევნებს სამართლიანად და გამჭვირვალედ ჩავატარებთ“.

1999 წელს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წინაშე საქართველოს პარლამენტის მაშინდელმა თავმჯდომარემ – ზურაბ ჟვანიამ წარმოთქვა სიტყვები: „მე ვარ ქართველი, მაშასადამე, ვარ ევროპელი“. იმ დროიდან მოყოლებული ეს ფრაზა პრო-ევროპული ძალების საყვარელ ლოზუნგად იქცა, თუმცა დღემდე გაურკვეველია, ვინ არიან ეს ძალები და როგორ შეიძლება გადაიქცეს მათი პრო-ევროპული ამბიციები საგარეო პოლიტიკურ პროგრამად.

საქართველოს ექსპერტმა და კარნეგის ფონდის უფროსმა მკვლევარმა ტომას დე ვალმა, თავის ბოლო ანგარიშში ქართული პოლიტიკური და კულტურული ხედვების სამკუთხა მოდელი წარმოადგინა.

დე ვალი წერს, რომ საქართველოში არსებობს განვითარების სამი ხედვა: ტრადიციული, სინგაპურული და ევროპული. პირველი მოდელი გულისხმობს „ტრადიციული საქართველოს“ აღდგენა-შენარჩუნებას (ტრადიციული ღირებულებების სისტემის დაცვას, ურთიერთობებისა და ბიზნესის კეთების ტრადიციული გზების შენარჩუნებას და ა.შ.). ამ ხედვას, დე ვალის აზრით, ყველაზე უკეთ გამოხატავს საპატრიარქო, რომელმაც 2010 წელს ახალგაზრდა ქართველებს მოუწოდა, ადრეულ ასაკში საზღვარგარეთ არ წასულიყვნენ და გლობალიზაციის „საფრთხე“ თავიდან აეცილებინათ.

მეორე ხედვას მხარს საქართველოს ხელისუფლება უჭერს და ის გულისხმობს საქართველოს ტერიტორიის ბიზნესის კეთების საერთაშორისო ცენტრად გადა-

ქცევას და ამისათვის დიდი რაოდენობის უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. 2004-2009 წლებში ამ მოდელის შესაბამისად, ეკონომიკურ რეფორმებს კახა ბენდუქიძე ახორციელებდა. ბენდუქიძე ლიბერტიარიანელია, რომელსაც სჯერა დერეგულაციის, მცირე სახელმწიფოს მოდელის და ბაზრის უჩინარი ხელის (რწმენა იმის, რომ ბაზარი სახელმწიფოს ჩაურევლად ყველაზე უკეთ მუშაობს).

მართალია, ბენდუქიძე ხელისუფლებაში აღარ არის, მაგრამ მისი მოსწავლეები კვლავ მაღალ ეშელონებში მუშაობენ და თავად სააკაშვილიც, ნანილობრიც, ამ იდეოლოგიის გავლენის ქვეშ არის მოქცეული (რასაც ადასტურებს, მის მიერ 2009 წელს „თავისუფალი ეკონომიკური აქტის“ შემოთავაზება).

დე ვალის აზრით, სწორედ ამ ხედვის ცხოვრებაში გატარების შედეგი იყო ის, რომ საქართველო მსოფლიო ბანკის „ბიზნესის კეთების სიიოლის ინდექსში“ ერთ-ერთ წამყვან პოზიციას იკავებს. ამავე დროს, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის, რომ საქართველო უფრო სრულყოფილ „გლობალური კონკურენციის ინდექსში“ 93-ე ადგილზეა. ამ რეიტინგში პირველ ადგილზე შვეიცარიაა, მესამეზე – სინგაპური.

„გლობალური კონკურენციის ინდექსი“ ბიზნესის კეთების სიიოლის გაზომვისას, მხედველობაში იღებს არა მხოლოდ დაბალ გადასახადებს და რეგულაციების ნაკლებობას, არამედ სასამართლოს დამოუკიდებლობას, საკუთრების უფლებებისა და აქციონერების ინტერესების დაცვას.

სწორედ ამ ჩავარდნების გათვალისწინებით, იკვეთება მესამე – ევროპული ხედვა, რომელსაც საქართველოში, ჯერჯერობით, გამოკვეთილი მხარდამჭერები არ ჰყავს. ეს, გარკვეულწილად, ფრაზის – „მე ვარ ქართველი, მაშასადამე, ვარ ევროპელი“ – პოლიტიკური გაგრძელებაა.

17 ნოემბერს, ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც ევროკავშირს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის „ოკუპირებულ ტერიტორიებად“ აღიარებას მოუწოდებს. ამავე რეზოლუციაში საქართველოს დემოკრატიული განვითარებაც არის შეფასებული.

რეზოლუცია ევროკავშირს მოუწოდებს, რომ საქართველოს მთავრობა აიძულოს „შევიდეს ოპოზიციურ ძალებთან უფრო კონსტრუქციულ დიალოგში და განავითაროს სიტყვის თავისუფლების გარანტიისთვის აუცილებელი დემოკრატიული გარემო; განსაკუთრებით კი, უზრუნველყოს საზოგადოებრივი მედიის ხელმისაწვდომობა ყველა პოლიტიკური პარტიისთვის“.

რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ საქართველო აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მაგალითია, მაგრამ ამავე დროს, მას რეფორმების იმპლემენტაციის მხრივ, პრობლემები აქვს.

რეზოლუცია ევროკავშირს მოუწოდებს, რომ „საქართველო ევროპულ სახელმწიფოდ აღიაროს“ და მასთან მოლაპარაკებები ევროპული პერსპექტივის ჩრდილში გამართოს. ასევე, რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ გაღრმავებული და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის

ხელშეკრულებაზე მოლაპარაკებები რაც შეიძლება მოკლე ვადებში უნდა დაიწყოს.

ევროკავშირი და საქართველო „გაღრმავებული და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების“ (DCFTA) მისაღებად მოსამზადებელ მოლაპარაკებებს უკვე აწარმოებენ. ევროკომისიამ 2007-2008 წლებში ამ საკითხზე კვლევის ჩასატარებლად სოციალური და ეკონომიკური კვლევის ცენტრს (CASE) მიმართა, რომელმაც 2008 წელს გამოსცა ანგარიში, სახელწოდებით „ევროკავშირსა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების ეკონომიკური

ში, ფუნდამენტური პრობლემები მაინც ექმნება, რადგან ევროპული მიდგომა, „სინგაპურულიდან“ განსხვავებით, ინსტიტუციების შექმნაზე ორიენტირებული. ეს კი, თავის მხრივ, დემოკრატიული მექანიზმების ამოქმედებას გულისხმობს.

კვლევაში აღნიშნულია, რომ რჩება სერიოზული კითხვები იმასთან დაკავშირებით, სურს თუ არა საქართველოს ხელიშეწყობას რეფორმების განხორციელება და რამდენად აქვს მას იმის ინსტიტუციური შესაძლებლობები, რომ ევროკავშირთან თანამშრომლობა გააგრძელოს.

ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, საქარ-

გში ევროკავშირის ტექნიკური დახმარება სიტუაციას გააუმჯობესებს.

აღნიშნული ხელშეკრულების მიღება გამართლებულია არა მხოლოდ ვაჭრობისგან მიღებული სარგებლის თვალსაზრისით, არამედ ქვეყნის იმიჯის გასაუმჯობესებლად. ევროპასთან მჭიდრო თანამშრომლობა დაგვეხმარება იმაში, რომ საქართველო ინვესტორებისთვის უფრო მიმზიდველი ქვეყანა გაგხადოთ.

განვითარების ევროპული გზა, ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით, გაცილებით ეფექტიანი იქნება, ვიდრე სარისკო და არამყარი „სინგაპურული მოდელი“, რომელიც უფრო ბედნიერ შემთხვევითობაზე დაფუძნებული, ვიდრე მეცნიერულ გათვლებსა და მდგრად განვითარებაზე.

ევროპული გზის არჩევა, ასევე, დაგვეხმარება იმაში, რომ ჩვენი პრიორიტეტების შესახებ მკვეთრი საგარეო პოლიტიკური სიგნალები გავაგზავნოთ. ჩვენს სამეზობლოშიც და საერთაშორისო არენაზეც თავი უნდა წარმოვაჩინოთ, როგორც მშვიდობიან და დემოკრატიულ განვითარებაზე ორიენტირებულმა ქვეყანამ, რომელიც ტერიტორიების დასაბრუნებლად ომების წარმოებაზე არ ფიქრობს და რომელსაც თავის აგრესიულ მეზობელთან მშვიდობიანი თანაცხოვრება სურს.

იმის მიუხედავად, რომ ევროპას ტექნიკური დახმარების, სავაჭრო ინიციატივებისა და სიმბოლური მხარდაჭერის შემოთავაზება შეუძლია, უსაფრთხოების საკითხებში ჩვენს მთავარ პარტნიორად ამერიკა რჩება. ამერიკის არც ახლანდელი და სავარაუდოდ, არც მომავალი მთავრობა საქართველოს მიტოვებას არ გეგმავს და თვლის, რომ ჩვენი განვითარების გზა სწორედ ევროპას და ევროკავშირს უკავშირდება.

იქიდან გამომდინარე, რომ ევროპასთან თანამშრომლობის მთავარი მოთხოვნა დემოკრატიის განვითარებაა, მასთან დაახლოებისკენ პირველ რეალურ ნაბიჯებს მაშინ გადავდგამთ, თუ უახლოეს არჩევნებს სამართლიანად და გამჭვირვალედ ჩავატარებთ. სხვა შემთხვევაში, ისევ ბედის ანაბარა ყოფნა და სარისკო საგარეო პოლიტიკურ თამაშებში ჩართვა მოგვინებს. **■**



**■ ევროპარლამენტის რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ საქართველო აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მაგალითია, მაგრამ ამავდროს, მას რეფორმების გატარების მხრივ, პრობლემები აქვს.**

განხორციელებადობა, ზოგადი ეკონომიკური გავლენა და იმპლკაციაები.“

კვლევის მიხედვით, ხელშეკრულების ამოქმედების შემთხვევაში, საქართველოსთვის ეკონომიკურმა მოგებამ შესაძლოა მთლიანი შიდა პროდუქტის 6.5 % შეადგინოს. სარგებლის მიღების პოტენციალის მიუხედავად, საქართველოს მთავრობას ევროკავშირთან მოლაპარაკების პროცეს-

თველოს მთავრობის კეთილ ნებასა და დემოკრატიის ნაკლებობასთან ერთად, ადამიანური რესურსების სიმწირეა. კვლევაში აღნიშნულია, რომ „სახელმწიფო ინსტიტუტები ფლობენ არათანაბარ ადამიანურ რესურსებს, განათლების, კვალიფიკაციისა და საერთაშორისო გამოცდილების თვალსაზრისით.“ ამავდროს, აღნიშნულია ისიც, რომ სხვადასხვა დარ-

# მანქანით, ველოსიკლით, ფეხით

მარკ მალენი



მოხიბლული ვარ ავტობუსის განქრებებზე დამონტაჟებული ციფრული ტაბლოებით, რომლებზეც საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის ზუსტი განრიგია მოცემული. ფანტასტიკური წამონყებაა. სამსახურში უმეტესად ავტობუსით დავდივარ, ამიტომ ამ სიახლემ ჩემი ყოველდღიური ცხოვრება შესამჩნევად გააუმჯობესა. ტაბლოები ყოველთვის ზუსტად მუშაობს, ყოველ შემთხვევაში, დღის განმავლობაში. მგზავრობის პროცესი გაცილებით სამურია, როდესაც ზუსტად იცი, რამდენ წუთში მოვა შენი ავტობუსი.

თბილისში ავტობუსები კარგად მუშაობენ, გადაადგილების კომფორტულ და სანდო საშუალებას წარმოადგენენ. ერთი რამ, რაც განსაკუთრებულად მომწონს, ის არის, რომ ზოგჯერ ავტობუსში შევარდნადის მთავრობის ცნობილ პოლიტიკურ ფიგურებს ვამჩნევ ხოლმე. ისინი თავის დროზე ნაკლებად კორუმპირებულების კატეგორიას მიეკუთვნებოდნენ და არც დიდძალი ფული მოუპარავთ. როდესაც ხელისუფლება შეიცვალა, ისინი, უბრალოდ, წამოვიდნენ ადმინისტრაციიდან. ხანდახან, როდესაც ერთმანეთს ვცნობთ, კეთილგანწყობილად, მხრების აჩეჩვით შემომხედავენ ხოლმე, თითქოს ცდილობენ მითხრან: „არავინ იცის, ცხოვრება რას მოიტანს“. ის ფაქტი, რომ ყოფილი მაღალჩინოსნები ავტობუსით მგზავრობენ და ამის გამო სულაც არ განიცდიან დისკომფორტს, ამ კონკრეტული ქვეყნის განვითარების მაღალ დონეზე მიუთითებს. უამრავი სახელმწიფო არსებობს, სადაც ჩინოვნიკობა საკუთარ მანქანასთან და მძღოლთან ასოცირდება, ამასთან - მთელი ცხოვრების მანძილზე. სხვა ქვეყნებში, სადაც ძალადობრივ ტრანზიციასთან გვაქვს საქმე, ყოფილი სახელმწიფო



ფოტო: სპეციალური ფოტო: სპეციალური

მოხელეები იძულებულნი არიან გაიქცენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ციხე ან სიკვდილი ელით. არის ისეთი ადგილებიც, სადაც ეს ადამიანები იმდენად სძულთ, რომ ისინი საჯაროდ გამოჩენას ერიდებიან. კარგია, რომ ასეთ ადგილას არ ვცხოვრობთ. თუმცა ჩვენს შემთხვევაში პრობლემა ის, რომ ავტობუსებში და ფეხითმოსიარულეთა შორის ვერასოდეს ნახავთ მოქმედ სახელმწიფო მოხელეებს.

საზოგადოებრივი ტრანსპორტი თანამედროვე მსოფლიოსთვის საკვანძო საკითხია. ქალაქის საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემის გაუმჯობესება ნებისმიერი მერისთვის, შეიძლება ითქვას, მემკვიდრეობის დატოვების საუკეთესო გზაა. მსოფლიოს უდიდესი ქალაქები ახლა იმაზე იმტვრევენ ტვინს, თუ როგორ გადაიყვანონ ადამიანები მანქანებიდან ტრანსპორტის სხვა ფორმებზე, რომლებიც არც გარემოსთვის იქნება საზიანო და არც ქალაქის დაგეგმარებას შეუქმნის პრობლემებს: მეტრო, ავტობუსი, ტრამვაი

ან ელექტროტრამვაი, ველოსიპედი და ფეხით სიარული.

მსოფლიოს წამყვანი ქალაქებისგან განსხვავებით, საქართველოს მთავრობას პრო-სამანქანო პოლიტიკა აქვს. ევროპიდან იმპორტირებულ ნახმარ მანქანებს გამონაბოლქვის კონტროლის მექანიზმი არ გააჩნიათ. მანქანები არც ყოველწლიურ სავალდებულო ინსპექციას გადიან. ეფექტური სამანქანო ბაზრის, რეგულაციების არარსებობის და საგადასახადო შეღავათების წყალობით, საქართველოში მანქანების იმპორტი და რეექსპორტი ბიზნესის გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს. პარლამენტარების მანქანების რეექსპორტის ბიზნესების ხელშეწყობის გარდა, ეს მძღოლებსაც ეხმარება, რომელთა უმეტესობას მწირი შემოსავალი აქვთ. ტაქსი საქართველოში სხვა ქვეყნებთან შედარებით იაფია. თუმცა უცხოელები ხშირად გაკვირვებულნი არიან, რომ ტაქსებში მანძილის საზომი არ აქვთ, რის გამოც ხშირად თბილისისთვის არარეალურად

დიდი თანხების გადახდა უნევთ. და ეს იმ პირობებში, რომ მანქანები ხშირ შემთხვევაში ცუდ მდგომარეობაშია, მძღოლები კი დახურულ ფანჯრებში სიგარეტს აბოლებენ. თუმცა ქართველებისთვის, უცხოელი კლიენტებისგან განსხვავებით, ტაქსით მგზავრობა საკმაოდ იაფია.

თბილისში ძალიან კარგი მეტროა. მიკვირს, მეტი ადამიანი რატომ არ სარ-

**ტროტუარებზე მანქანების, ხშირად სატვირთო მანქანების სახით ფეხითმოსიარულეებს კიდევ ერთი წინააღმდეგობის გადალახვა უნევთ. რუსთაველის გამზირის სილამაზის მიუხედავად, მსგავსი წინააღმდეგობები უცხოელებისთვის ჩამორჩენილობის მაჩვენებელია.**

გებლობს ამ საშუალებით. დიდი პლუსი იქნებოდა მეტროს ვაკის გაჩერება რომ ჰქონდეს, თუმცა არავინ იცის, ეს ოდესმე მოხდება თუ არა. საუბარი იყო ტრამვაის ხაზების აღდგენაზეც, თუმცა როგორც ჩანს, კონკრეტული ვადები ამასთან დაკავშირებით არ არსებობს.

მსოფლიოს მრავალი ქალაქი ველოსიპედებით გადაადგილების ხელშეწყობას ცდილობს. ეს ტრანსპორტირების სრულყოფილი საშუალებაა: არ აბინძურებს გარემოს, საცობის დროს კი მანქანებზე და ავტობუსებზე სწრაფია. ამასთან სულ უფრო მეტი ტურისტები უპირატესობას საველოსიპედო ბილიკების მქონე სივრცეს ანიჭებს. ცუდად განხორციელებული პროექტის მიუხედავად, ბათუმმა მაინც სცადა ველოსიპედების გაქირავების და მიმოსვლის სქემის შექმნა.

ველოსიპედის ტარება საქართველოში პოპულარული არ არის. ამასწინათ ერთ-ერთი ოპოზიციური ლიდერის მიერ „მეატროზე“ გაკეთებული მოულოდ-

ნელი განცხადება იმის მანიშნებელია, რომ ზოგიერთ პოლიტიკურ პარტიას ანტი-საველოსიპედო პოლიტიკა აქვს. ეს მთელ მსოფლიოში უნიკალურ შემთხვევად შეიძლება ჩაითვალოს. მთავარი, რაც უნდა მოხდეს, ველოსიპედების ტროტუარებიდან ქუჩებზე გადაყვანაა. ველოტრასა შესაძლოა კარგი იდეაა, თუმცა უმეტეს ქვეყნებში, სადაც ველოსიპედები გადაადგილების ერთ-ერთი ძირითადი ფორმაა, მძღოლები ქუჩებს ველოსიპედისტებს უნანილებენ. ნებისმიერ შემთხვევაში, კარგია, რომ ოპოზიციას თუ არა, ხელისუფლებას მაინც აქვს პრო-საველოსიპედო პოლიტიკა. ახლა მთავარი ის არის, თუ როგორ გადაწყვეტენ ისინი სავალი გზის განაწილების საკითხს. ღვედების შესახებ კანონმა კარგად დაგვანახა, რომ ქართველ მძღოლებს შესწევთ ქცევების გამოსწორების უნარი, თუ რა თქმა უნდა, შინაგან საქმეთა სამინისტრო ამას მოიხურავებს.

თუმცა მთელ ამ სურათში ფეხითმოსიარულეები იკარგებიან. ქალაქის მუნიციპალიტეტები ავტობუსებთან, მეტროებთან და მიკროავტობუსებთან მორიგებებს დიდ ძალისხმევას ახმარენ, თუმცა ავინყდებთ, რომ ადამიანებს ამ ტრანსპორტის საშუალებებამდე მისასვლელად და შემდეგ უკან დასაბრუნებლად ფეხით უხდებთ სიარული. ფეხითმოსიარულეები იმიტომ ავინყდებთ, რომ საკუთარ მანქანებში ატარებენ დიდ დროს. თბილისის მერიის თანამშრომლებმა ხანდახან მაინც უნდა სცადონ ოპერებიდან „რედისონამდე“, ჭონქაძის ქუჩამდე, ან პარკინგზე დაყენებული მანქანების ირგვლივ ფეხით გაგლა.

ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია უცხოელებისთვის. რუსთაველის გამზირზე უკლებლივ ყველა ტურისტის სეირნობს და იოლი შესამჩნევია, რომ იქ არცერთი საცალფეხო გადასასვლელი არ არის. ტროტუარებზე დაყენებული მანქანების, ხშირად სატვირთო მანქანების სახით ფეხითმოსიარულეებს კიდევ ერთი წინააღმდეგობის გადალახვა უნევთ. რუსთაველის გამზირის სილამაზის მიუხედავად, მსგავსი წინააღმდეგობები უცხოელებისთვის ჩამორჩენილობის მაჩვენებელია.

თბილისის პარკინგის სისტემა პრი-

ვატიზაციის მარცხის ყველაზე ნათელი მაგალითია. წლების წინ პარკირების მონესრიგების უფლება ისრაელის კომპანიას მიჰყიდეს. მათ დიდი გეგმები ჰქონდათ, რომლებიც საბოლოო ჯამში ძვირადღირებული, რთული და პოლიტიკურად პრობლემური აღმოჩნდა. კომპანიამ მარცხის პრევენციისთვის არაფერი გააკეთა. საბოლოოდ, კონტრაქტის პირობები გადაიხედა. ახლა ისინი მცირე რაოდენობით საპარკინგე ბილეთებს გასცემენ, თუმცა ეს ტროტუარებზე მანქანების დაყენების თავიდან ასაცილებლად საკმარისი არ აღმოჩნდა. იძულების მექანიზმები საყოველთაო არ არის და ეჭვი მაქვს, პარკინგის ბილეთები ხელისუფლების წარმომადგენლებს სხვებთან შედარებით ნაკლებ მკაცრად მოეთხოვებათ. და ბოლოს, ვფიქრობ ქალაქი სრულიად არ ზრუნავს ფეხითმოსიარულეებზე, რაც ძალიან ცუდია, რადგან ბევრი ჩვენგანი დადის ფეხით. ამ პრობლემების გადასაწყვეტად დიდი თანხები არ არის საჭირო. ქალაქის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს ვურჩევდი სწრაფად მოძრავი მანქანებიდან ხანდახან ტროტუარებზეც გაიხედონ, რათა შენიშონ, რომ ჩვენც ვარსებობთ და სასიარულოდ ადგილი გვჭირდება.


მთავრობის პრო-სამანქანო პოლიტიკას არ ვიზიარებ, თუმცა მესმის მათი არგუმენტები და პატივს ვცემ. ვფიქრობ, ველოსიპედებით გადაადგილების დასაწერად მათ გრძელვადიანი ხედვა გააჩნიათ და ვიმედოვნებ ამ პოლიტიკის კოორდინირებას შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად უკეთ განახორციელებენ. ავტობუსები კი ნამდვილად შესანიშნავი რამაა ქალაქში. მსურს ხელი ჩამოვართვა და მადლობა გადავუხადო ავტობუსის გაჩერებებზე ტაბლოების დაყენებაზე პასუხისმგებელ პირს. სახელმწიფო მოხელეების მიმართ ჩემი ერთადერთი რჩევა 2004 წლამდელი პერიოდის გახსენება იქნება, როდესაც ისინიც ფეხით დადიოდნენ. ურიგო არ იქნება, ეს ხანდახან ისევ მოსინჯონ ხოლმე.

გაიარეთ ჩვენს ლამაზ ქალაქში: რუსთაველამდე, შემდეგ რუსთაველის მეტროდან სასტუმრო „რედისონამდე“, ჭონქაძის ქუჩამდე და ა.შ. იქნებ სეირნობისას ახალი და იოლად განსახორციელებელი იდეები მოგივიდეთ. 

# ყველა ქანი ფემინისტია

ინტერვიუ ფემინისტ და სოციოლოგიის მაგისტრანტ  
ხატია ნადარაიასთან

ნოემბერში მსოფლიოში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიანი კამპანია დაიწყო. გენდერული ძალადობის პრობლემა განსაკუთრებით თვალსაჩინო XX საუკუნეში გახდა. დღეს ქალთა დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის აღსაკვეთად გაეროს სპეციალური კონვენცია და კომიტეტიც (CEDAW) კი აქვს შექმნილი. ფემინისტები გენდერული ძალადობის მრავალმხრივ ბუნებაზე საუბრობენ და მის დასაძლევად კომპლექსური მეთოდების გამოყენება მიაჩნიათ საჭიროდ.



**რას გულისხმობს ქალის მიმართ ძალადობა?**

ეს კომპლექსური ფენომენია. ყოველდღიურ ცხოვრებაში პატრიარქალური კულტურა განუწყვეტლივ ძალადობს ქალზე. გამოყოფენ ეკონომიკურ, სექსუალურ, ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ ძალადობას, მაგრამ სტრუქტურული სექსიზმი, რაც ყოველ ნაბიჯზე ხვდება ქალს სახლში, სამსახურში თუ მეგობრებთან ურთიერთობაში, ჯერ კიდევ არაა სახელდება.

**რამი გამოიხატება ის ძალადობა, რაც ქალებს ყოველდღიურ ცხოვრებაში ხვდებათ?**

ძალადობა ყოველთვის უხეში ფი-

ზიკური ზენოლით არ გამოიხატება, ეს შეიძლება იყოს ემოციური ფონი, რომელსაც გარშემო მყოფები გიქმნიან. ერთი შეხედვით უვნებელი მოქმედებები, რეპლიკები, მიხვრა-მოხვრა, ყესტები თუ მეტყველი მზერა თავის თავში მოიცავს ქალურობის მიმართ სტერეოტიპულ დამოკიდებულებებს. მათი ზემოქმედებით შენ გრძნობ, რომ მთავარი მოქმედი პირები არიან „ისინი“ – პატრიარქები – და შენ მეორეხარისხოვანი ხარ.

**როგორ აისახება ეს ემოციური გარემო ადამიანის საქციელზე და ზოგადად, სოციალური კლიშეების დამკვიდრებაზე?**

ამ ზენოლის გაცნობიერების შემთხვევაში ქალი შეიძლება გახდეს ჩაკეტილი, აგრესიული, სხვანაირი... მას დისკოფორტის შეგრძნება უჩნდება მაშინაც, თუ ვერ აცნობიერებს ამ ზენოლას.

ცემა, სიცოცხლის ხელყოფა და ძალადობის მსგავსი რადიკალური გამოვლინებები ამ ემოციური ფონის და ფსიქო-სოციალურ შრეებზე არსებული სხვადასხვა დაძაბულობის გამოვლინებაა. დაძაბულობა ორვექტორიანია და მამაკაცზეც მოქმედებს, ისიც მსხვერპლი ხდება. ემოციურად დათრგუნული მამაკაცები ხშირად მიმართავენ ფიზიკურ ძალადობას უფრო სუსტის მიმართ. ძალადობა მასშტაბურ ხასიათს იღებს



ფოტო: ლევან ვიჯია სტოპ

და კოდირებული ხდება კულტურაში. ფემინისტები ამბობენ, და მეც ვიზიარებ, რომ მთელი კულტურა, რაც დღემდე შექმნილა, პატრიარქალურია.

**რა ფაქტორები განაპირობებს ძალადობის გენდერულ კლასიფიკაციას?**

მამაკაცების ფიზიკური ძლიერება და კულტურაში არსებული სტერეოტიპული მიდგომები. ფიზიკური ძლიერება მამაკაცებს უქმნის მოლოდინს, რომ ისინი თამაშში ყოველთვის გამარჯვებულები დარჩებიან.

რა თქმა უნდა, ქალის და მამაკაცის ანატომიური განსხვავება მნიშვნელოვანია, მაგრამ მამაკაცის მხრიდან ქალზე

ძალადობა მაინც ფსიქოსოციალურად არის განპირობებული, ანატომია კი ინსტრუმენტი.

**ანუ, ანატომია ადამიანის ბუდი არაა, როგორც ამას ფროიდი წერდა? რა არის სქესი სინამდვილეში?**

რადიკალი ფემინისტები სწორედ იმას ამბობდნენ, რომ ქალის სხეული არ არის განაყოფიერებისთვის საჭირო ჭურჭელი, რომ ქალმა არ უნდა გააჩინოს ბავშვი და მას მხოლოდ ლესბოსური ურთიერთობები უნდა ჰქონდეს. ბავშვები კი კოლბებში უნდა დაიბადონ. ამ პროცესში მამაკაცები საჭირონი აღარ არიან.

შეიძლება, რადიკალურად მოგეჩვენოთ, მაგრამ მე ვიზიარებ შეხედულებას, რომ გენდერული თანასწორობა ვერ იარსებებს მანამ, სანამ ბავშვი კოლბაში არ გაჩნდება.

ეს, სინამდვილეში, გაათავისუფლებს როგორც ქალს, ისე მამაკაცს. ხელოვნური გამრავლების შესახებ ბევრი იტყვის, რომ ადამიანის ბუნებას ეწინააღმდეგება. მაგრამ, ადამიანის ბუნებას ეწინააღმდეგება ყველაფერი, რაც კაცობრიობამ დღემდე შექმნა და ღირებულად მიიჩნევს. ცივილიზაცია არის სიცოცხლის, სამყაროს გაკულტურულების, ანუ ადამიანის მიერ დეფორმირების და შეცვლის შედეგი.

## რა აქვთ საერთო და განმასხვავებელი პატრიარქალურ და მატრიარქალურ მოდელებს?

თუ განვაზოგადებთ, პატრიარქები არიან, ასე ვთქვათ, დაუნდობლები, ეგოისტები... მატრიარქებისთვის კი ამ ქვეყნად ყველაზე ღირებული არის სიცოცხლე, აქ და ამჟამად არსებობა. თუ ქალები ყოველდღიურ ცხოვრებაში იხარჯებიან, მამაკაცებს გრძელვადიანი მიზნები აქვთ და მათკენ რაციონალურად მიიწევენ. სანამ პატრიარქი მიზნამდე მივა, გზად თელავს ყველაფერს, რაც შეხვდება. მატრიარქის შემთხვევაში კი მთავარია სწორედ ეს გზა, პროცესი და არა მიზანი.

მე დავიბადე სამეგრელოში, სადაც პატრიარქალური სტერეოტიპები ძალიან ღრმადაა გამჯდარი. თავდაპირველად ამას ვერც ვაცნობიერებდი, მაგრამ დღეს იმ გარემოსთან და ცხოვრების წესთან დაკავშირებულ მოვლენებს ძალიან მძაფრად აღვიქვამ.

აბსოლუტურად ამაზრუნენია ქორწილის კადრების გაანალიზება. კადრში თითქმის მხოლოდ მამაკაცები ჩანან, ისინი მოქმედებენ, სადღეგრძელოებს ამბობენ, პატარადლი კი ჩუმად დგას და მხოლოდ დეკორატიული ფუნქცია აქვს. შენ – ქალი – თამაშგარე ხარ, თამაშში ვერ მოხვდები, იქ ყველაფერს კაცები წარმართავენ, სამყარო მათია.

## რატომ არის ქალის იდენტობა და მისი ცხოვრება მიზნული მამაკაცზე?

ყველაზე ოპტიმისტური ფემინისტური მიდგომით, ეს თითქმის შემთხვევითია – როდესაც კაცებმა გააცნობიერეს, რომ ქალებს ანაყოფიერებენ ისინი და არა აპრილის წვიმა, ქალებმა დაკარგეს ძალაუფლება. ამასთან, მითოლოგიური გახდა ქალის სილამაზე, თვითრეალიზაციის სხვა სფეროები კი ჩაიკეტა. მითოლოგიაში არის მებრძოლ ქალთა სახეებიც, მაგრამ განაბული, პასიური არსების ხატი სჭარბობს.

ბავშვობისას ბებია მიკითხავდა ხოლმე ზღაპრებს ტყაშმაფაზე. ბებია აღწერდა, რომ ეს არის გრძნული ქალი, ფაიფურისებრი თეთრი სხეულით და გრძელი, ლამაზი თმით. ტყაშმაფა ახალგაზრდა,

ლამაზ კაცებს ხვდება და თანაცხოვრებას სთავაზობს. უარის შემთხვევაში მას შეუძლია კაცი ჭკუიდან შეშალოს. რა არის ამ მითებში ჩადებული? ეს ქალი თითქოს ძლიერია, კაცებს იმორჩილებს, მაგრამ ცყეში მარტო დარბის და სინამდვილეში, საძულველი არსებაა. სოფელში მისი უმინიათ და ვერ იტანენ. ეს მითი დამოუკიდებელი და თავისუფალი, თუნდაც ლამაზი ქალის მიუღებლობასა და სოციუმისგან უცხოოდ მიჩნევას აჩვენებს და ქალის სექსუალობის ტაბუირებას განამტკიცებს.

## რამ განაპირობა ქალის სექსუალობის ტაბუირება, რატომ გამოიკვეთა ეს ტაბუ განსაკუთრებულად დასავლურ ცივილიზაციაში?

მამაკაცი ცდილობს, არ დაკარგოს ქალის კონტროლის სადავეები, თორემ ის კარგავს მამაკაცურობასაც. მისი მამაკაცურობა ქალურობის მხოლოდ იმ მოდელთან კავშირშია თვალმისაცემი, რომელსაც თავგამოდებით იცავს.

ქალის სექსუალობის ტაბუირება ქალის და მისი შთამომავლობის კონტროლისთვის გახდა საჭირო. ქალი იქცა „სხვად“, რომელიც უცხოა და უნდა დაიმორჩილო. ამ ყველაფერთანა დაკავშირებული ქალების დევნა და სიძულვილიც, რომელმაც განსაკუთრებით ორგანიზებული სახე შუასაუკუნეებში მიიღო – კოცონზე დანვა, ალქაჯეზად გამოცხადება...

ზოგ კულტურაში არც არსებობს სექსუალური ტაბუ ქალებისთვის. აი, თუნდაც, შავი ფემინიზმი უფრო კოლონიზაციაზე აკეთებდა აქცენტს.

ქრისტიანულ ცივილიზაციაში კი სექსუალობას სასტიკი ტაბუ დაედო. ქალი განდევნილია, დედათა წესის დროს ქალს არ შეუძლია ეკლესიაში შესვლა, ხატთან შეხება, საკურთხეველში ვერასოდეს მოხვდება, რადგან დაბადებიდან ცოდვილად ითვლება და ცხადია, მოძღვარიც ვერასოდეს გახდება...

კამათის დროს ხშირად უთქვამთ, რომ ქალი და კაცი თანასწორია ღვთის წინაშე, მაგრამ მე რომ საკურთხეველში ვერ შევდივარ და შენ ამაყად შეაბიჯებ, ეს საპირისპიროს ამტკიცებს.

## გენდერული მოდელების მიხედვით, დასავლურ ცივილიზაციას უფრო მიაკუთვნებთ საქართველოს თავისი ქრისტიანობითა და ტაბუირებული ქალური სექსუალობით თუ აღმოსავლურს? რომელ მათგანშია ქალი თავისუფალი?

დასავლურ ცივილიზაციაში ქალი მართლაც ოკუპირებული ჰყავს ქრისტიანობას. ამ სივრცეში ქალის სექსუალობა ცოდვასთანაა მიბმული და ის მარადიულად დამნაშავეა მამაკაცის ცდუნებაში. აზიურ კულტურებში, ძალიან ზოგადად და უხეშად რომ ვთქვათ, ქალის სექსუალობა უფრო თავისუფალია, იმ გაგებით, რომ კულტურა მას პოზიტიურად აღიქვამს და არა ეშმაკის მანქანად (თუმცა, აღმოსავლურ კულტურებშია კასტრაციის პრაქტიკაც). თუნდაც, კონსერვატორული აზერბაიჯანული კულტურა ავილოთ – იქ სოციალური იდეალია ის, რომ ქალი სურვილის აღმძვრელი უნდა იყოს. ჩვენთან კი პირიქით – კდემამოსილებაა გაიდელეებული.

## მიიჩნევა, რომ „ქართველი ქალი“ და „ქართული კულტურა“ ეს რაღაც რადიკალურად განსხვავებულია დანარჩენი მსოფლიოს გამოცდილებისგან. რეალურად, არსებობს სპეციფიკური „ქართული“ სტერეოტიპები ქალურობის შესახებ?

ზოგადად, ქალურობის სტერეოტიპები არის ის, რომ ის არის ნაზი, სუსტი, დამთმობი, ირაციონალური, ცოტა ისტერიული და ჩერჩეტი. ქალის მოტყუება ადვილია და ამავდროულად, ის ეშმაკია, გაიძვერაა. პარადოქსია, მაგრამ ქალს მიწერილი აქვს ყველაფერი, რაც უარყოფითია, მათ შორის, ურთიერთგამომრიცხავი თვისებები.

სპეციფიკურად ქართულ სტერეოტიპებს რაც შეეხება, მე მგონია, რომ არ არსებობს. ეს სტერეოტიპები ზოგადია.

## რა გავლენას ახდენს ომი პატრიარქალურ ღირებულებებზე?

ომის შემდეგ საზოგადოებაში ყოველთვის აქტიურდება კონსერვატორული ელემენტები. ომის შემდეგ ადამიანებს სტაბილურობის მოთხოვნილება უჩნდებათ. კონსერვატორული განწყობები კი მათ უსაფრთხოების განცდას უჩენს.

90-იანი წლების საქართველოს მოვლენები რომ გავიხსენოთ, ომის გავლენა ღირებულებებზე ნათელია – ჩვენი ბებია-ბაბუების თაობა არის უფრო ღია და პროგრესულად განწყობილი, ვიდრე ჩვენი მშობლების, რომლებსაც ომით ნახალისებული რელიგიური და ნაციონალური მოძრაობების ხანაში მოუწიათ ცხოვრება.

**ზოგადად, როგორია ქალის როლი მილიტარისტულ საზოგადოებებში?**

მხოლოდ კვლავწარმოებისთვის საჭირო არსებობს. მან სერიულად უნდა აწარმოოს ახალი პატრიარქები მათივე ომების გასაგრძელებლად.

საქართველოშიც მილიტარისტული ლოგიკაა – ქართველი ქალის ფსიქოსოციალური პორტრეტი არის მეზობელი დედა, რომელიც ხმლით იცავს ერის ღირსებას, ბევრ შვილს აჩენს და ომში აგზავნის. ამაზე არაჰუმანური ფენომენი ცხოვრებაში არ შემხვედრია. ბავშვობაში შოკი იყო, რომ ვკითხულობდი როგორ მიჰყავს დედას ომში შვილები: ერთი რომ წაიქცევა, დროშას მეორეს გადასცემს, მეორე რომ წაიქცევა, მესამეს... აქ გენდერულ როლს ნაციონალური რიტორიკა ებმის. ეს არაჰუმანური და არაჯანსაღია.

**პოლიტიკურ სიტუაციაზე თუ ახდენს გავლენას კულტურაში არსებული მასკულინური ან ფემინური ტენდენციები?**

ცხადია, ახდენს. პოლიტიკური კულტურა საზოგადოებაში არსებული კულტურის ანარეკლია. ჩვენი საზოგადოება გამოკვეთილად პატრიარქალურია და პოლიტიკური კულტურაც ამ სტანდარტებითაა მოწყობილი. არსებობენ მხოლოდ მოგებულები და წაგებულები – კონსენსუსის ხსენებაც არაა.

მასკულინობას ახასიათებს ვერტიკალური იერარქია, ფემინურ კულტურაში კი იერარქია ჰორიზონტალურია. ამიტომ, რაც მეტი ქალი იქნება პოლიტიკაში, მით უფრო ჰუმანური გახდება პოლიტიკა, იმიტომ, რომ მამაკაცები შორს არიან სამყაროსგან, რომელიც პოლიტიკამ უნდა მოაწესრიგოს.

ევროპაში, განსაკუთრებით, ჩრდი-

ლოეთ ევროპაში, კვოტირებამ დადებითი შედეგები მოიტანა და საერთოდ, „კეთილდღეობის სახელმწიფო“ ქალების წამოწევაა. ალვა მირდალი, ეს არის ქალი, რომელიც „კეთილდღეობის სახელმწიფოს“ იდეური ფუძემდებელია. მისი ქმარი, გუნარ მირდალი კი მსოფლიო ეკონომიკაზე და გლობალურ პრობლემებზე მსჯელობდა. შემდეგ გუნარ მირდალმა ნობელის პრემია მიიღო. ალვას ნობელის პრემია არ მიუღია, მაგრამ მისი ნაშრომები ფუძემდებლურად იქცა ევროპული კეთილდღეობის სახელმწიფოების ჩამოყალიბებაში.

**ბავშვობისას ბებია მიკითხავდა ხოლმე ზღაპრებს ტყაშმაფაზე.**

**ბებია აღწერდა, რომ ეს არის გრძნეული ქალი, ფაიფურისებრი თეთრი სხეულით და გრძელი, ლამაზი თმით. ტყაშმაფა**

**ახალგაზრდა, ლამაზ კაცებს ხვდება და თანაცხოვრებას სთავაზობს. უარის შემთხვევაში, მას შეუძლია კაცი ჭკუიდან შეშალოს. რა არის ამ მითებში ჩადებული?** ეს ქალი თითქოს ძლიერია, კაცებს იმორჩილებს, მაგრამ ტყეში მარტო დარბის და სინამდვილეში, საბუნებრივად არსებობს. სოფელში მისი ემინიათ და ვერ იტანენ.

თანამედროვე დასავლურ ცივილიზაციაში ქალები ეკონომიკურ ბერკეტებს იგდებენ ხელში, საქმიანი და დამოუკიდებელი ქალების იმიჯმა კი დისნეის პრინცესებამდეც მიაღწია. რა გავლენა აქვს ამ ეკონომიკურ პროცესებს გენდერულ მოდელებზე და რამდენად ემანსიპირებულია დასავლელი ქალი სინამდვილეში?

შეიძლება, ქალმა ეკონომიკური დამოუკიდებლობა მოიპოვოს, მაგრამ თავი

ვერ დააღწიოს სტრუქტურულ სექსიზმს, ანუ ამ შეგრძნებების დონეზე ყოველდღიური წნეხის განცდას. სტრუქტურული სექსიზმისგან გათავისუფლება ხანგრძლივი პროცესია და ვფიქრობ, საწყისი ეტაპი ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოპოვება და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობაა. თუკი ქალები იქნებიან ეკონომიკურად დამოუკიდებლები, შეაღწევენ პოლიტიკაში მასობრივად, ისინი გახდებიან თამაშის წესების შემოქმედები. დღეს ისინი OUT OF THE GAME არიან.

მსოფლიოში ფემინიზმის ორი ტალღის მიუხედავად, ქალისა და მამაკაცის კანონის წინაშე თანასწორობის მიღმა საქმე არ წასულა. სექსუალური რეგულაცია კი, სინამდვილეში, კაცებმა სათავისოდ გამოიყენეს და ეს ქალის გაობიექტებასა და მისდამი სამომხმარებლო დამოკიდებულებაში გადაიზარდა. გენდერულ ძალადობაზე დიდ გავლენას ახდენს კაპიტალისტური კულტურაც. ქალის სხეული, ფაქტობრივად, საბაზრო კონკურენციის სივრცეში მოექცა, ქალის ემოციური მგრძობელობა კი ისევ სცენის მიღმაა და არავის აინტერესებს. პირიქით, არის სტერეოტიპი, რომ ქალები სწორედ ამას ითხოვდნენ. არადა, სექსუალური თავისუფლება არ გულისხმობს მამაკაცის თვითნებობას ქალის ფსიქოსოციალურ სამყაროზე. მესამე ტალღის ფემინიზმის მიზანს სწორედ ამ უხილავი საცეცების აღმოფხვრამი ვხედავ.

**საქართველოში ფემინიზმი მარგინალიზებულია და ერთგვარ უარყოფით სტიგმატანა დაკავშირებული. სინამდვილეში, რას ნიშნავს იყო ფემინისტი?**

ყველა ქალი ფემინისტია – ეს ნიშნავს, რომ მათ აქვთ ფემინურობა, ქალურად აღიქვამენ სამყაროს. საქართველოში ჯერჯერობით ფემინიზმზე საუბარი ვინრო წრეებიდან არ გასულა. ეს მოძრაობა ნელ-ნელა ფართოვდება, თუმცა მარგინალიზებულია, ისევე, როგორც დანარჩენ მსოფლიოში. ფემინისტები არ არიან არც სასოწარკვეთილი ქალები, არც ჯადოქრები და კუდიანები... ისინი ფემინური, ანუ ქალური ქალები არიან. **Q**

ესაუბრა ანი ქანკოტაძე.



ფოტო ლია ზაკაშვილი

# ისევ "თავიდან დანყებუნი სსოვხება"

## ჩაპოხტაჟი მართაყვის დაწინითა დასახლებიდან

მეორე წელია, რაც საქართველოში აფხაზეთიდან და შიდა ქართლიდან დევნილთა განსახლების პროცესი მიმდინარეობს. მათ ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში საცხოვრებელი ფართები სახელმწიფომ უკვე გადასცა. თუმცა, დევნილების მნიშვნელოვანი ნაწილი აცხადებს, რომ თავის ძველ საცხოვრებელში დარჩენას ამჯობინებდა.

ლიკა ზაკაშვილი



დევნილთა დასახლება მალთაყვაში

ახალ ადგილას ყველაფერი თავიდან დასაწყებია: ბავშვები ახალ სკოლებსა და ბაღებში წავიდნენ, თუმცა, ხშირად, სასწავლო დაწესებულებები საცხოვრებელი ადგილიდან შორს მდებარეობს. ძველ საცხოვრებლებში დევნილებმა თითქმის 15 წელი გაატარეს და გარემოსთან ადაპტაცია მოახერხეს. ზოგი გარევაჭრობას მისდევდა, ზოგი იქვე შემოკავებულ მიწაზე ბოსტანს ამუშავებდა. ამ ხნის მანძილზე მალაზიებისა და ჯიხურების მეპატრონეებიც გაიცნეს და საქართველოს რეალობისათვის ჩვეული რამ – საკვები პროდუქტის „ნისიად აღებაც“ – მათთვისაც მცირე შეღავათი იყო.

თუმცა, ახლა „ახალი ცხოვრება“ კიდევ ერთხელ უნდა დაიწყოს, ისეთი სოციალური კავშირებიც კი, როგორც მეზობლობა, აქ ხელმეორედ

უნდა ჩამოყალიბდეს. ყველაზე მტკივნეული პრობლემა კი უმუშევრობაა, დევნილთა უმრავლესობისათვის დასაქმება მთავრობის მიერ დაპირებულ ბუნდოვან პერსპექტივად რჩება.

ზღვისპირა ქალაქ ფოთში, თითქმის ყველა გამვლელმა იცოდა, სად იყო დევნილთა ახალი დასახლება და მიგვასწავლეს კიდეც. ფოთი პატარა ქალაქია და დანიშნულების ადგილას ათიოდე წუთში აღმოვჩნდით. მანქანიდან გადაუსვლელად შევაველეთ ვალი დიდ სივრცეში გაშლილ ახალ დასახლებას. გზიდან დასახლებამდე ფეხით მივედი, ე.წ. „ახალი რაიონის“ წინ, გაშლილ მინდორში აღმართულია დიდი ბანერი წარწერით „იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი უბანი“. ბანერზე მალთაყვაში ახლად ამუშავებული კორპუსებია გათვალისწინებული, რომელსაც მშენებლობის

მთავარი დამფინანსებლის – ევროკავშირის, აგრეთვე, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისა და საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ლოგოები ამშვენებს.

ნითელ, ვარდისფერ, ლურჯ და მწვანე ფერებში შეღებილ 32 საცხოვრებელ კორპუსში 3000-მდე დევნილი 2011 წლის ოქტომბერში ჩასახლეს.

ფოთში გადაუღებლად წვიმდა, წვიმებმა ახალმოსახლეებს ჩასახლებიდან ორიოდ კვირაში პრობლემები შეუქმნა. ფერად კორპუსებს შორის სანვიმარ ლაბადებში გახვეულ ათიოდე ადამიანს მოკვარი თვალი და მათკენ გავემართე, გზადაგზა შენობებს ვათვალიერებდი. ფანჯრის რაფებზე სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთები ელაგა, რაც მიანიშნებდა, რომ აქ უკვე ცხოვრობენ.

შეკრებილ ადამიანებს მივუახლოვდი. გაცხარებულები ბჭობდნენ. კამათის მიზეზი, როგორც მათი საუბრიდან გაირკვა, მეტალოპლასტმასის ახალი ფანჯრებიდან შესული წყალი იყო. სახლის შიდა კედლები სულ სველიაო, – ამბობდა ერთ-ერთი მოსახლე. ერთი მათგანი ბოლო სართულზე ცხოვრობდა, ის განსაკუთრებით ბრაზობდა და გადაჭრით ამბობდა, რომ კორპუსში ყველაფერი უხარისხოდ იყო გაკეთებული.

შორიასლოს „უიგულის“ მარკის ფურგონიან მანქანასთან სამი ქალბატონი იდგა. ერთს ხელში პური ეჭირა, მეორეს კი – პოლიეთილენის პაკეტში გახვეული მწვანილი. ერთმანეთში საუბრობდნენ, ეტყობოდათ, სახლში წასვლას არ ჩქარობდნენ.

ქალბატონი თამარი ფოთში გადმოსახლებამდე წყალტუბოში, სასტუმრო „მეგობრობაში“ ცხოვრობდა. მალთაყვაში ახალ საცხოვრებელ ფართს არ უჩივის, თუმცა, რემონტი არ მოსწონს, ამბობს, თუ გვიკეთებდნენ, ბარემ, ლაზათიანად და ხარისხიანად გაეკეთებინათო. ფოთში გადმოსულს ყველაზე მეტად უმუშევრობისა და საარსებოდ აუცილებელი პირობების არქონა აწუხებს.

„წყალტუბოში მინა მქონდა, ბოსტნეული და მწვანილი მომყავდა. ფოთში უკვე ამის ყიდვაც მიწევს, არადა როგორ ვირჩინო თავი? ჩემი შემწეობა 25 ლარია, სამსახურს იშოვო, დამამიმედეს. სად ვიშოვი, თვითონ ფოთელებს უჭირთ აქ სამსახურის და ფულის შოვნა“. იგი იმასაც აღნიშნავს, რომ მათთან შედარებით უკეთეს მდგომარეობაში არიან ფოთში მცხოვრები ის დევნილები, რომლებიც ამ ქალაქში აფხაზეთის ომისთანავე ჩასახლდნენ. მათ ქალაქში თავი უკვე დიდი ხანია დაიმკვიდრეს.

„არჩევნის საშუალება რომ მქონოდა, ნამდვილად წყალტუბოში დავრჩებოდი. ის გზა, რაც იქ გავიარეთ, აქ ხელახლა გასავლელია“, – თქვა მან და სახე ფურგონთან მდგომი ქალბატონისკენ იბრუნა.

„მე ზუგდიდიდან ვარ. რომ შემძლე-



მალთაყვაში ჩასახლებული დევნილები თავს გარევეჭრობით ირჩენენ

**■ თუმცა, ახლა „ახალი ცხოვრება“ კიდევ ერთხელ უნდა დაიწყო, ისეთი სოციალური კავშირებიც კი, როგორიც მეზობლობაა, აქ ხელმეორედ უნდა ჩამოყალიბდეს. ყველაზე მტკიცენი პრობლემა კი უმუშევრობაა, დევნილთა უმრავლესობისათვის დასაქმება მთავრობის მიერ დაპირებულ ბუნდოვან პერსპექტივად რჩება.**

ბოდა, მეც იქ დავრჩებოდი. აქ გადმოსვლას იმიტომ დავთანხმდი, რომ ოჯახში ოთხნი ვცხოვრობოთ, ორი ქალიშვილი, მე და ჩემი მეუღლე, მეგონა, დიდ ფართს მოგვეცემდნენ, ქალიშვილებს ცალკე ოთახი ექნებოდათ და უფრო კომფორტული გახდებოდა ჩვენი ყოფა, მაგრამ სულ ტყუილად მქონდა იმედი თურმე. განაწილების დროს მითხრეს, გოგოები გყავს და დაგიტხოვდებიან, ფართი რად გინდაო. ჩემი ერთი გოგო 35 წლის არის, მეორე 30-ის. იქნება და, არ თხოვდებიან?! ე.ი ერთ ოთახში უნდა ვიცხოვროთ? განმარტოების საშუალებაც კი არ მაქვს სახლში, არადა მოვხუცდი, ხმაურს ველარ ვიტან“, – აღნიშნა მეორე დევნილმა ქალბატონმა.

მოპირდაპირე ქუჩაზე შავებში ჩაცმული ქალი დგას. წინ სახელდახელოდ დადგმულ ფიცრის დახლზე პურები დაუწყვია და ზედ პოლიეთილენის

პაკეტი გადაუფარებია. საწვიმარში გახვეული გაბრაზდა, როცა გაიგო, რომ ჟურნალისტი ვიყავი. მკაცრი ტონით მითხრა – არაფრის თქმას არ ვაპირებო. გაჩუმდი, მაგრამ ადგილიდან არ დავძრულვარ. მართალია, საუბარს არ აპირებდა, მაგრამ ორიოდე წუთში საკუთარი უკმაყოფილების მიზეზები გამიმჟღავნა:

„არანაირი პირობები არ არის, რომ ვიმუშავო, შუა ქუჩაში ასფალტზე ვდგავარ, ვითხოვე პატარა ჯიხურს დავდგამ, რომ წვიმაში და თოვლში თავი მაინც შევაფარო-მეთქი, მაგრამ ცივი უარი მივიღე. ხომ ხედავთ, რა პირობებში მიწევს მუშაობა?! ყველაზე გაბრაზებული ვარ. იმ დღეს პრეზიდენტი იყო მოსული, ახლოს არ მიგვიშვეს, დევნილებზე მეტი ფოთის ადგილობრივი მოსახლეობა დაახვედრეს. ფოთის სკოლებიდან ბავშვებიც კი მოიყვანეს. მე მარტო ცუდის თქმას



ფოტო: ნინო თაყაიძე

არ ვაპირებდი, მაღლობის გადახდაც მინდოდა და საყვედურიც უნდა მე-  
თქვა, მაგრამ ვინ მიგვიშვა?!“

პრეზიდენტი ფოთში მალთაყვის ახალ დასახლებას 5 ოქტომბერს ეს-  
ტუმრა. როგორც ადგილობრივები ამ-  
ბობენ, პრეზიდენტთან შესახვედრად  
საჯარო სკოლის მოსწავლეები და  
მასწავლებლები მალთაყვაში ავტობუ-  
სებით ჩაიყვანეს.

იგივე დაადასტურეს ინტერნეტ  
გამოცემა „თავისუფალი სიტყვის“  
ჟურნალისტთან საუბრისას შეხვედრა-  
ზე მისულმა პედაგოგებმა და ბავშვებ-  
მა. მე-17 სკოლის პედაგოგმა განმარ-  
ტა, რომ პრეზიდენტთან შესახვედრად  
სამარშრუტო ტაქსით წაიყვანეს, რო-  
მელიც ქალაქის მერიამ ამ დღისთვის  
საგანგებოდ გამოყო.

შეხვედრაზე მისულ მოსახლეობას  
პრეზიდენტმა სიტყვით მიმართა. სი-  
ტყვის პირველ ნაწილში მან ბავშვებზე

ისაუბრა, მეორე ნაწილში კი დევნი-  
ლებს მიმართა. მან თქვა, რომ „დე-  
ვნილები ყველაზე მეტს იმსახურებენ,  
ვინაიდან ყველაზე მეტი დაკარგეს“.  
გასული 90-იანი წლების გახსენები-  
სას, სააკაშვილმა აღნიშნა, რომ მათ  
დევნილის სტატუსის გამო მრავა-  
ლი დამცირების გადატანა უწევდათ,  
ახლა კი „სხვა, ახალ საქართველოში“  
ცხოვრობენ, სადაც არავინ აღარავის  
არ ამცირებს.

პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლამ,  
რომელიც სულ ათიოდე წუთს გაგრ-  
ძელდა, მალთაყვაში მცხოვრებ დე-  
ვნილებს უკმაყოფილების განცდა  
დაუტოვა. „ორი სიტყვა თქვა და წა-  
ვიდა, ის რაც გვანუხებს, არც უხსენე-  
ბიათ, უმუშევრები და დაუსაქმებლები  
ვართ“, – აღნიშნავს „თავისუფალი  
სიტყვის“ მიერ მომზადებულ ვიდეო-  
რეპორტაჟში ერთ-ერთი მამაკაცი.

დევნილთა და განსახლების სამი-

ნისტროს პრესსამსახურის უფროსმა,  
ეკა გულუამ კითხვაზე, როგორ გეგმა-  
ვს სამინისტრო ფოთში ჩასახლებული  
დევნილების დასაქმებას, ასე გვიპა-  
სუხა: „ჩასახლების ადგილად ფოთი  
სწორედ იმიტომ შეირჩა, რომ ამ ქა-  
ლაქს გააჩნია ეკონომიკური აქტივო-  
ბა და დიდი პოტენციალი სხვა ქალა-  
ქებთან შედარებით. შესაბამისად, ეს  
გადანყვეტილება შემთხვევითი არ ყო-  
ფილა. აღნიშნულთან დაკავშირებით  
თავის დროზე იყო მსჯელობა და ეს  
ქალაქი ნელ-ნელა, ეტაპობრივად ყვე-  
ლა მსურველს დააკმაყოფილებს“.

ფოთის ეკონომიკურ პოტენციალ-  
ზე საქართველოს მთავრობაც დიდ  
იმედებს ამყარებს. მაგალითად, 14  
სექტემბერს, ფოთში, სამაცივრე კომ-  
პლექსის „აისბერგ ფოთის“ გახსნაზე  
ჩასულმა პრეზიდენტმა სააკაშვილმა  
აღნიშნა, რომ ფოთი 100%-იანი და-  
საქმების ქალაქი გახდება.

სამინისტროს პრესსამსახურის წერილობით პასუხში ნათქვამია, რომ ფოთში ჩასახლებული „დევენილები დასაქმდნენ ბაზარში, ნავსადგურში, მშენებლობაზე, ბანკში. ფოთში მოთხოვნაა ხელოსნობაზე, სანტექნიკაზე, მექანიზატორზე, მუშებზე, და, შესაბამისად, ვისაც კვალიფიკაცია და სურვილი აქვს, დასაქმება შესაძლებელია“, თუმცა კითხვაზე, მალთაყვამი ჩასახლებული კერძოდ რამდენი დევნილი პირი დასაქმდა, ეკა გულუამ, პასუხი არ მოგვცერა. სამინისტროში არც ის იციან, ახალ დასახლებაში განთავსებული რამდენი დევნილი პირია დაუსაქმებელი.

**■ „იმ დღეს პრეზიდენტი იყო მოსული, ახლოს არ მიგვიშვეს, დევნილებზე მეტი ფოთის ადგილობრივი მოსახლეობა დაახვედრეს. ფოთის სკოლებიდან ბავშვებიც კი მოიყვანეს. მე მარტო ცუდის თქმას არ ვაპირებდი, მადლობის გადახდაც მინდოდა და საყვედურიც უნდა მეთქვა, მაგრამ ვინ მიგვიშვა?!“**

2011 წელს „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრმა“, „შერიგების რესურსებთან“ თანამშრომლობით, საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური კვლევა ჩაატარა.

კვლევაში აღნიშნულია, რომ დევნილ მოსახლეობაში, ყველაზე დიდ პრობლემას, დასაქმება წარმოადგენს. ამავე კვლევის მიხედვით, დევნილთა შორის დასაქმების დონე უფრო დაბალია, ვიდრე მთელი საქართველოს მასშტაბით – მხოლოდ 15%-ს აქვს მუშაობის შესაძლებლობა, 68% კი უმუშევარია.

დევნილთა ოჯახები ადგილმონაცვლეობის გამო უმუშევრები რჩებიან, სწორედ ამიტომ ითხოვენ ისინი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით განსახლებას, ანუ დარჩენას იქ, სადაც წლების მანძილზე ცხოვრობენ. ქვეყნის სხვა ნაწილში განსახლებით მათ

საკუთრებაში გადადის ბინა, თუმცა რთულდება ეკონომიკური მდგომარეობა, ასევე, თავს იჩენს გადაადგილებასთან დაკავშირებული სირთულეები.

აღსანიშნავია, რომ როდესაც სახელმწიფომ დევნილთა განსახლების სტრატეგია შეიმუშავა, მათთვის სახლების კერძო საკუთრებაში გადაცემასთან ერთად სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნვის ვალდებულებაც აიღო. ანუ, პროცესი მხოლოდ სახლების კერძო საკუთრებაში დარეგისტრირებით არ უნდა შემოფარგულიყო. კერძო საკუთრების დარეგისტრირება და განსახლება ბოლო ეტაპი უნდა ყოფი-

ლიყო, რომელსაც წინ უნდა წასძლოდა სამუშაო ადგილებისა და სხვა სოციალური გარანტიების შექმნის პროცესი.

ბოლო წლების პრაქტიკა კი ცხადყოფს, რომ დევნილ ოჯახებს ჯერ განსახლებენ, ხოლო ახალ საცხოვრებელ ადგილას დასაქმებასა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას სამომავლოდ ჰპირდებიან.

სახელმწიფოს ამგვარი მიდგომა არაერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ გააკრიტიკა. მათი აზრით, როდესაც დევნილს ქვეყნის ერთი ნაწილიდან მეორე ნაწილში ასახლება, მას წინასწარ უნდა შეუქმნა დასაქმების პირობები და სხვადასხვა სოციალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობა.

სახალხო დამცველმა ჯერ კიდევ 2010 წელს გააკეთა რეკომენდაცია, რომელშიც ნათქვამია: „სახელმწიფომ უზრუნველყოს დევნილთა განსა-

ხლება ისეთ ადგილებში, სადაც მათ ხელი მიუწვდებათ საარსებო წყაროებზე და დასაქმებაზე. ადგილობრივი ინფრასტრუქტურა უნდა იძლეოდეს დევნილების ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებების დაკმაყოფილების შესაძლებლობას. რეგიონში განსახლებულ დევნილებს გადაეცეთ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, ახალი განსახლების ადგილებზე განხორციელდეს დევნილთა დასაქმების ხელშეწყობის პროგრამები“.

მალთაყვის დევნილთა დასახლება, ფოცხოენერის, ბაკურციხის, წეროვანის დასახლებებისგან განსხვავებით, ქალაქთან უფრო ახლოს არის. თუმცა, როგორც მალთაყვამი ჩასახლებული დევნილები ამბობენ, მომავალში აქ, სკოლა, ბაღი და ბაზარი აშენდება. „სკოლა შორს არის, ბავშვებს ეზარებთ სიარული, ავტობუსიც ხან დადის, ხან – არა“, – ამბობს ქალბატონი თამარი.

აღნიშნული ინფორმაცია არ დაადასტურა დევნილთა სამინისტროს პრესსამსახურის უფროსმა ეკა გულუამ. „რა თქმა უნდა, ფოთში ინფრასტრუქტურული პროექტები იგეგმება, თუმცა იმავდროულად ჩვენი პოლიტიკა დევნილთა ინტეგრაციაა და არა იზოლაცია. შესაბამისად, ადგილობრივი და დევნილი საზოგადოება სხვადასხვა ბალებითა და სკოლებით არ უნდა სარგებლობდნენ“, – ამბობს იგი.

მალთაყვამი, როგორც სამინისტროში გვითხრეს, ჩასახლდნენ დევნილები წყალტუბოდან, ზუგდიდან, ფოთიდან, ის დევნილები, რომლებიც ავარიულ შენობებში ცხოვრობდნენ. განსახლებას წყალტუბოს 22 სანატორიუმში მცხოვრები კიდევ 2355 ოჯახი ელოდება. დევნილთა უმეტესობას არ სურს ქვეყნის სხვა ნაწილში გადასვლა და საცხოვრებელ ფართს ისევ წყალტუბოში ითხოვს. თუმცა, სამინისტროს 2010-2014 წლის გეგმის მიხედვით, წყალტუბოში დევნილთა მხოლოდ ერთი დასახლება აშენდება, სადაც 200-მდე ოჯახის განთავსებაა შესაძლებელი. **■**



# რადიოქალაქი წარმოგიდგენთ

ყოველ სამუშაო დღას

17:30

გადაცემას

დღის ბიზნეს სტუმარი  
მანია ჯავახიშვილთან ერთად





იტალია

# ბეჩელსონი და დემოხრატიის ანტისხეულები

კვლევითმა ორგანიზაციებმა შენიშნეს, რომ სილვიო ბერლუსკონი არჩევნებში უფრო მაღალ შედეგებს იღებდა, ვიდრე გამოკითხვებში. თუ რატომ ხდებოდა ასე, პასუხი მარტივი აღმოჩნდა: რესპონდენტებს რცხვენოდათ იმის აღიარება, რომ ბერლუსკონის უჭერდნენ მხარს. შემდეგ, საარჩევნო ყუთებთან არჩევანს მაინც მისი პარტიის სასარგებლოდ აკეთებდნენ.

დიანა ჩაჩუა



სილვიო ბერლუსკონი

ფოტო: ბაჰა რუსი / REUTERS

იტალიის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა სილვიო ბერლუსკონიმ ოფისში მოღვაწეობის ბოლო დღე სასიყვარულო სიმღერების ახალი ალბომის „ჭეშმარიტი სიყვარული“ გამოშვებით აღნიშნა. თვითგამოცხადებულმა „პოლიტიკის იესომ“, „ლათინო საყვარელმა“ და „მსოფლიოში საუკეთესო პრემიერ-მინისტრმა“ სიმღერების ტექსტები თავად დაწერა.

სკანდალებით გამორჩეულმა ყოფილმა პრემიერმა, რომლის წინააღმდეგ არასრულწლოვან მეძავთან კავშირისთვის სასამართლოში საქმეა აღძრული, პრემიერობის ბოლო დღეები ამ თანამდებობაზე მუშაობის განმავლობაში დაგროვებული საჩუქრების შეფუთვას დაუთმო. როგორც იტალიური La Repubblica წერს, ორ საჩუქარს – ყაზახურ ხანჯალს და ჩინურ ლარნაკს ბერლუსკონისთვის განსაკუთრებული სენტიმენტალური დატვირთვა აქვს.

ბერლუსკონიმ გვარიანად ანერვიულა ჩინელი დიპლომატები, რომლებმაც ეს ლარნაკი გადასცეს – იტალიელმა მამომ მისი ხელიდან გავარდნა გაითამაშა. შემდეგ კი დიპლომატებს უთხრა: „მომწონს ლარნაკზე გამოსახული ყვავილები. თუმცა, შემდეგ ჯერზე კამასუტრიანი მიჩვენა“.

სილვიო ბერლუსკონიმ თან გაიყოლა ჩარჩოში ჩასმული სამი პორტრეტიც: აშშ-ის ყოფილ პრეზიდენტთან, ჯორჯ ბუშთან, რომის პაპებთან – ბენედიქტ XVI-თან და იოანე პავლე II-სთან ერთად. ასევე მუზეუმებიდან ნათხოვები ხელოვნების შეუფასებელი ნიმუშებიც.

გასულ წელს ბერლუსკონი საყოველთაო დაცინვის ობიექტად იქცა. მან რესტავრატორებს ომის ღმერთის – მარსის მეორე საუკუნის მარმარილოს ქანდაკებისთვის ახალი სასქესო ორგანოს მიმაგრება დაავალა. ქანდაკება მის სასახლეში იყო გამოფენილი.

რაც უნდა გასაკვირი იყოს, ხელისუფლებაში მოსვლიდან 17 წლის შემდეგ ბერლუსკონის კარიერა არა მოქალაქეების ქუჩის პროტესტმა ან კორუფციაში მხილებამ დაასრულა, არამედ საგარეო ზენოლამ, ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის მოგვარების უუნარობამ.

12 ნოემბერს სილვიო ბერლუსკონი გადადგა.

თავად ყოფილი პრემიერი ფიქრობს, რომ არ დამარცხებულა და არც უუნაროა. საკუთარ გადადგომას იმით ხსნის, რომ პარლამენტში „რვა მოლატემ“ მხარი არ დაუჭირა და საპარლამენტო უმრავლესობა დაკარგა. რომ არა ხმების ასეთი გადანაწილება, ბევრი ვარაუდობს, რომ ის მართლაც შეინარჩუნებდა პრემიერის პოსტს, იტალიის ფინანსურ სექტორს სრული კოლაფსიც რომ განეცადა.

„მე ხალხს ვუნდივარ. ისინი გრძნობენ, რომ კარგი, გულუხვი, სანდო და ერთგული ადამიანი ვარ, რომელიც თავის დანაპირებს ასრულებს. რაც უნდა იყოს, ჩემს ასაკში მე ვეღარ შევიცვლები,“ – ბერლუსკონის ყოველთვის ჰქონდა რეალობის განსაკუთრებული აღქმა. ის თანამედროვე მსოფლიოს ლიდერებში ყველაზე ღიად კორუმპირებული და აბსურდულია, თუმცა ამის მიუხედავად, 1994 წლიდან მოყოლებული მუდამ ახერხებდა წყლიდან მშრალად გამოსვლას. ეს მისი შარმის ნაწილად იქცა.

იტალიის ჩრდილოეთში, ბოლონიაში მცხოვრები მატია მარინი სექტემბერში 17 წლის გახდა. ახლა ის ბერლუსკონის პოლიტიკური კარიერის ტოლია. „ლიბერალთან“ საუბარში იტალიელი თინეიჯერი ამბობს, რომ არც ახსოვს იტალიური პოლიტიკა სილვიო ბერლუსკონის გარეშე. მისი თანატოლებისთვის ბერლუსკონი პოლიტიკოსის სტანდარტად იქცა.

იტალიის ახალი თაობა სილვიოს სატელევიზიო გამოსვლების ფონზე გაიზარდა. მათ სახლში უფასოდ მოსდიოდათ მისი ავტობიოგრაფიული წიგნები, რომელთაც მისივე პარტიის ჰიმნის „მადლობა ღმერთს, რომ სილვიო არსებობს“ ფონზე კითხულობდნენ.

მათ აჯერებდნენ, რომ მაფია არ არსებობს, რომ „ჰომოსექსუალობას პატარა გოგონებთან სექსუალური კავშირი სჯობია“, „ობამას კი შესაშური რუჯი აქვს“.

ისინი დემოკრატიის პრინციპებზე უკეთ „ვიდეოკრატიის“ პრინციპებს იცნობენ – სატელევიზიო ეკრანზე გამო-

■ „ბერლუსკონის უნარმა, დაერწმუნებინა იტალიელები, რომ მათ წინ „დოლჩე ვიტა“ ელოდათ, ამ პოლიტიკოსს ძალაუფლება მრავალი წლით შეუნარჩუნა. მხოლოდ სიმდიდრითა და მედიაზე კონტროლით ბერლუსკონი ამას ვერ შეძლებდა. ეს კეთილდღეობის ამერიკული ოცნების ეკვივალენტია, ოღონდ მსუბუქად ჩაცმული ქალების მონაწილეობით“.

ჩენის საყოველთაო უფლება. ტერმინი სილვიოს მედიაზე გავლენის აღსაწერად გამოიგონეს. ბერლუსკონი ახალგაზრდებს ასწავლიდა, რომ მოსამართლეები და ჟურნალისტები დემოკრატიასთან შეუთავსებელი იყვნენ, სოციალური გამოსვლები კი ანტი-დემოკრატიული იყო.

ბერლუსკონისთვის აქციის მონაწილე ტერორისტი იყო. იტალიის ყოფილ-



სილვიო ბერლუსკონი

ფოტო: ალესანდრო პალოზინი / REUTERS

მა პრემიერმა ახალ თაობას კანონთან დაკავშირებითაც შეუქმნა არაჯანსაღი წარმოდგენები. ის მათ ასწავლიდა, რომ კანონი – ეს არის პრობლემა და არა გადაწყვეტა. 17 წლის შემდეგ ახალმა თაობამ კარგად გაითავისა დაუსჯელობის ცნება. თუმცა, ამ პასუხისმგებლობის მხოლოდ სილვიო ბერლუსკონიზე გადაბრალება სწორი არ იქნება. ბერლუსკონი „რეფორმებისადმი რეზისტენტული

იტალიური საზოგადოების უფრო გლობალური პრობლემის სიმპტომია“, – ამბობს ქუინსის უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა მკვლევარი ფილიპ გირლანდო.

მეტიც, ზოგ ანალიტიკოსს ისიც სჯერა, რომ იტალიელებს ბერლუსკონი მონატრებათ.

„სილვიო ბერლუსკონი ერთ-ერთი მათგანია. მისი წასვლა ერის ფსიქიკას

დალს დაასვამს. ბერლუსკონის უნარმა, დაერწმუნებინა იტალიელები, რომ მათ წინ „დოლჩე ვიტა“ ელოდათ, ამ პოლიტიკოსს ძალაუფლება მრავალი წლით შეუნარჩუნა. მხოლოდ სიმდიდრითა და მედიაზე კონტროლით ბერლუსკონი ამას ვერ შეძლებდა.

ეს კეთილდღეობის ამერიკული ოცნების ეკვივალენტია, ოღონდ მსუბუქად ჩაცმული ქალების მონაწილეობით,“ –

წერს ბარბი ნადეუ Newsweek-ისთვის.

„მისი ვნება მოუთოკავია. ახალგაზრდობის იდეალიზება, სილამაზისთვის კომერციული ფასის დადება, ქალების სიყვარული და მამაკაცური სიამაყე. ეს ნავთს ასხამს იტალიურ ცეცხლზე, იტალიურ ოცნებაზე და ნებისმიერი უპატივბელი შეცდომის გასამართლებელ საბუთად იქცევა,“ – წერს ჟურნალისტი და Mamma Mia-ს ავტორი ბეპე სევერინი.

ზოგიერთი იტალიელი ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ ბერლუსკონის მიმართ იტალიელები ერთდროულად სიმპათიასა და შურს გრძნობენ და სწორედ ეს ამოდრავებდათ, როცა ბოლო 17 წლის განმავლობაში მას სამჯერ მისცეს ხმა.

ბერლუსკონი იტალიაში რიგით მესამე უმდიდრესი ადამიანია. იტალიელები მას მოიხსენიებენ როგორც „il cavaliere“ (რაინდი), მისი ვილები შესაშურია ფუფუნებისა და კარგი ცხოვრების მოყვარული იტალიელებისთვის. მისი უადგილო საჯარო განცხადებები და უტაქტო იუმორი, რომელიც სირცხვილის გრძნობას იწვევს პოლიტიკოსებსა და ბიზნესმენებში, რიგითი იტალიელისთვის სიმამაცესთან უფრო ასოცირდება. ბერლუსკონისთვის დამახასიათებელი ე.წ. „პლუბური შარმი“ უშეცდომოდ მუშაობს იტალიური პროვინციების ბარებისა და პიცერიების კლიენტებზე.

გარკვეულ სიმპათიას იწვევდა სილვიოს ცნობილი „ბუნგა ბუნგა“ ორგიებიც. რომელი იტალიელი დაძრახავს 75 წლის ხანდაზმულ მამაკაცს იმის გამო, რომ ის სექს-სკანდალებში ეხვევა? პირიქით, ეს მხოლოდ მისი მამაკაცური ღირსების მარცხი იყო. ხოლო საფეხბურთო გუნდ „მილანის“ ყიდვით ბერლუსკონიმ დამატებით კიდევ მილიონობით „ტიფოზის“ გული მოიპოვა.

ოპოზიციონერი პარლამენტარი ანდრეა სარუბი Newsweek-თან საუბარში ამბობს, რომ ბერლუსკონიმდე მთავრობა ყოველ ცხრა თვეში იცვლებოდა. მისი მოსვლით მან მთავრობის ხანგრძლივობის თვალსაზრისით „სტაბილურობის ეპოქა მოიტანა“.

ბერლუსკონის ქვეყნის პოლარიზე-

ბაშიც „მიუძღვის წვლილი“. მან ნებისმიერი პოლიტიკური დებატი სპორტული შეჯიბრის რანგში აიყვანა: „ან მასთან იყავი, ან მის წინააღმდეგ. მან იტალიის პოლიტიკა ფეხბურთის ფანების დონემდე დაიყვანა. თუმცა საოცარი ის არის, რომ 17 წლის შემდეგაც, ბევრი იტალიელის თვალში ბერლუსკონი ერთ-ერთი მათგანია და არა პოლიტიკოსი. მან როგორღაც მოახერხა, რომ მას არასოდეს აღიქვამდნენ პოლიტიკური კასტის წევრად“, – აღნიშნავს ანდრეა სარუბი.

Friedrich Ebert Stiftung-ის წარმომად-

**„ბერლუსკონიმ იტალიის პოლიტიკა ფეხბურთის ფანების დონემდე დაიყვანა. თუმცა საოცარი ის არის, რომ 17 წლის შემდეგაც, ბევრი იტალიელის თვალში ბერლუსკონი ერთ-ერთი მათგანია და არა პოლიტიკოსი. მან როგორღაც მოახერხა, რომ მას არასოდეს აღიქვამდნენ პოლიტიკური კასტის წევრად“.**

გენელი მაიკლ ბრაუნი ამბობს, რომ ბერლუსკონის წარმატების რეცეპტი მისი პროგრამა იყო. „ეს პროგრამა კონკრეტული ამომრჩევლების საჭიროებებზე და სურვილებზე იყო მორგებული და პოლიტიკური პრინციპებისგან შორს იყო“.

2011 წელს ბერლუსკონის რეიტინგი ქალებს შორის რეკორდულ ქვედა ნიშნულამდე – 48 პროცენტიდან 27 პროცენტამდე დაეცა. თუმცა, თავად ბერლუსკონის ამასთან დაკავშირებით სხვა ინფორმაცია ჰქონდა: „გაიგეთ ბოლო გამოკითხვის შესახებ? 20-30 წლის ქალებს ჰკითხეს, სურდათ თუ არა ბერლუსკონისთან სექსი. 33 პროცენტმა განაცხადა – დიახ, 67 პროცენტმა კი განაცხადა – „ისევე“

ასეთი შეურაცხმყოფელი ხუმრობები და არასრულწლოვან მეძავთან კავშირისთვის სილვიოს წინააღმდეგ აღძრული საქმე იტალიელი ქალებისთვის ბოლო წვეთი აღმოჩნდა. ქალთა ორგანიზაცია Arcidonna-მ 25 წლის მანძილზე იტალიელი ქალების ღირსების შელახვისთვის ბერლუსკონის სასამართლოში უჩივლა.

2010 წლის ეკონომიკური ფორუმის ანგარიშში Global Gender Gap Report, იტალია კუბის და ვენესუელის შემდეგ, 74-ე ადგილზე იყო. გენდერული უთანასწორობის თვალსაზრისით, იტალიას ევროკავშირში ერთ-ერთი ყველაზე ცუდი მაჩვენებელი აქვს.

„მუსოლინი ამბობდა, რომ აზროვნება მხოლოდ მამაკაცისთვისაა დამახასიათებელი. აი, ხედავთ, საიდან მოვდივართ? ამ მენტალიტეტიდან თავის დაღწევას დიდი დრო დასჭირდება,“ – განაცხადა ცნობილმა იტალიელმა მსახიობმა მონიკა ბელუჩიმ.

პოლ გინსბორგი თავის წიგნში „იტალია და მისი გამოწვევები 1980-2001“ იტალიელების უკიდვარანო მიმტვევლობაზე წერს. იტალიაში შეცდომის ჩამდენთ კიდევ ერთ შანს აძლევენ, შემდეგ კიდევ ერთს, შემდეგ კიდევ ერთს (გააგრძელებთ ასე რამდენიმე აზრს). ამაზე თუნდაც ბერლუსკონისადმი არაერთ არჩევნებზე გამოხატული მხარდაჭერა მიუთითებს, მიუხედავად მისი ყველა შეცდომისა.

„ბერლუსკონის არასოდეს დაუკარგავს პოპულარობა მოსახლეობის ძალიან მნიშვნელოვან ნაწილში. მას, უბრალოდ, ამ პოპულარობის მოქმედებაში მოყვანის უნარი არ ჰქონდა“, – ამბობს იტალიურ-ამერიკული საინვესტიციო ბანკის AdviCorp-ის ხელმძღვანელი ანდრეა მანდელ-მანტელო.


იტალიელებს სჯერათ, რომ ყველა პოლიტიკოსი კორუმპირებულია, ამიტომ ბერლუსკონი სხვებისგან არაფრით გამოირჩევა. ბევრი იტალიელი მის ადგილზე ასევე მოიქცეოდა. რამდენიმე თვის წინ, მაისში, იტალიელების 40 პროცენტზე მეტს ჯერ ისევ სჯეროდა, რომ ბერლუსკონი კარგი ლიდერი იყო. **ლ**



**THE 12<sup>th</sup>** თბილისის  
საერთაშორისო  
კინოფესტივალი  
**TBILISI INTERNATIONAL  
FILM FESTIVAL**

**06 - 11. 12. 2011**

კ/თ ამირანი



აფხაზეთი

# ბაჟიდი ვინაა?

რუსეთის მოქალაქეს, კონსტანტინ ნევილინს აფხაზეთის გენერალურმა პროკურატურამ ბრალი წაუყენა. ნევილინს აფხაზეთი პასპორტის უკანონოდ მიღებასა და აფხაზეთის ტერიტორიაზე უძრავი ქონების შეძენაში ადანაშაულებენ. საქმეს სოხუმის საქალაქო სასამართლო იხილავს.

## ინალ ხაშიგი

გენპროკურატურის ინფორმაციით, ნევილინმა აფხაზეთი პასპორტი უკანონოდ მიიღო 2007 წელს შეიძინა და ამ საქმეში 300 ათასი რუსული რუბლი გადაიხადა. „შავ ბაზარზე“ აფხაზეთი პასპორტის ასეთი სიძვირე იმითაა გამოწვეული, რომ ამ პასპორტის გარეშე რესპუბლიკაში უძრავ ქონებას ვერ იყიდი. ნევილინსაც სხვა რა უნდოდა, პასპორტის შეძენიდან რამდენიმე დღეში გუდაუთაში სახლი შეიძინა.

რამდენიმე კვირით ადრე აფხაზეთის გენერალურმა პროკურატურამ გამოაცხადა, რომ გამქრალია აფხაზეთი პასპორტების დიდი პარტია, რაც ინვესტირებად გამოავლინა.

ერთადერთი გზა, რომლითაც ამ პასპორტების კვალს შეიძლება მიაგნონ, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის გაკონტროლებაა. ისინი ყველა ნოტარიულ კანტორას აკონტროლებენ, სადაც აფხაზეთში უძრავ ქონებასთან დაკავშირებული შეთანხმებები იდება. აფხაზეთი იმდენად პატარა რესპუბლიკაა, რომ ადრე თუ გვიან ასეთი დოკუმენტების მფლობელები ნელ-ნელა ამოტივტივდებიან. ერთი ასეთი კონსტანტინ ნევილინია. მის კვალს ზუსტად ნოტარიულ კანტორაში მიაგნეს.

იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა პასპორტების მფლობელები გამოავლინეს, მაგრამ გამყიდველებს ერთხელაც ვერ ჩააგდეს. ცხადია, რადგან ვიღაც უკანონოდ ყიდულობს აფხაზეთი პასპორტს, სადაც მისი გამყიდველიც

არსებობს. თუ სამართალდამცავებმა მათ კვალს ვერ მიაგნეს, უკანონო პასპორტებთან ბრძოლა უსასრულოდ გაიწელება.

უკანასკნელი ერთი თვის განმავლობაში ქვეყანამ ბევრი ახალი „თანამოქალაქე“ გაიცნო – მათ შორის, ქართველი კანონიერი ქურდებიც, რომლებმაც სხვადასხვა ხერხით აფხაზეთი პასპორტების შეძენა მოახერხეს. მიუხედავად ცალკეული შემთხვევების გახშირებისა, ჯერ არ დასახელებულა საპასპორტო სამსახურის არცერთი თანამშრომელი, რომელიც ამ საქმეშია ჩართული და პასპორტებს უკანონოდ გასცემს. „გამოძიება მიმდინარეობს“, – საქმიანად ამბობს პროკურორი, თითქოს საქმე ტრამვაის ბილეთის გადაყიდვებს ეხებოდეს და არა სახელმწიფო პასპორტს, რომელსაც ნომერიც აქვს, სერიაც, გაცემის თარიღიც, და ბოლოს და ბოლოს, იმ პირის ხელმოწერა, რომელმაც ეს დოკუმენტი გასცა. ამის გამოსაძიებლად არ არის საჭირო შერლოკ ჰოლმსი იყო.

ცხადია, გამყიდველები იმიტომ ვერ იპოვეს, რომ პოლიტიკური ნება არ არსებობს. პრობლემა ის კი არ არის, რომ ვინმეს საპასპორტოს თანამშრომლის ეშინია, უბრალოდ, იციან, თუ ამ თანამშრომელს კედელთან მიაყენებენ, იგი ალაპარაკდება.

ამ საქმესთან დაკავშირებული ადანაშაულები წრე ამკარად ძალიან დიდია. ცხადია, პასპორტებით უკანონოდ ვაჭრობის ბიზნესში, სადაც ერთი ეგზემ-

პლარი 300 ათასი რუბლი ღირს, მთავარი მოქმედი პირები საპასპორტოს რიგითი თანამშრომლები არ არიან. დაუსჯელად პასპორტის უკანონო გაყიდვა ერთხელ ან ორჯერ მოხერხდება, მაგრამ მის დიდ ბიზნესად ქცევას მაღალი მფარველები სჭირდება, თანაც ყველა სტრუქტურაში – მათ შორის, პრეზიდენტის ადმინისტრაციაში.

მზად არიან კი საგამოძიებო ორგანოები ეს კვანძი გახსნან? უფრო „არა“, ვიდრე „კი“. რადგან თუ ამ საქმეს ბოლომდე ჩაეძიები, შეიძლება აფხაზეთის მთელი კორუფციული სისტემა ამოქექილიყოს, რომლის წყალობითაც დღეს ქვეყანა იმართება.

ეს რევოლუციის ტოლფასია. რევოლუცია კი არ გვჭირდება. როგორც ჩვენთან „ზემოთ“ უყვართ გამეორება – „რეფორმები რეფორმებისთვის ჩვენ არ გვჭირდება“.

მოკლედ, ჯერჯერობით მხოლოდ „ნევილინებს“ ვებრძვი, გამყიდველები ვერ ვიპოვეთ. აფხაზეთი პასპორტი კი აქაური ბიზნესის მნიშვნელოვან წყაროდ იქცა. 



სტატია მომზადებულია ჰაინრიხ ბოლის ფონდის მხარდაჭერით. ამ პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები არ არის აუცილებელი, გამოხატავს ჰაინრიხ ბოლის ფონდის შეხედულებებს.



# სამსახური ჯანმრთელობის ფასად

„არცერთი შენობა არ ღირს იმად,  
რომ მას ადამიანის სიცოცხლე და  
ჯანმრთელობა შეეწიროს“.

ანი ქანკოტაძე

კომპანია „XXII საუკუნის“ მშენებლობა აღმაშენებლის ხეივანი  
მე-15 კილომეტრზე, თბილისი, ნოემბერი 2011

ფოტოსურათი: ანი ქანკოტაძე

„2009 წლიდან დღემდე საქართველოში მშენებლობაზე 100-ზე მეტი მუშა დაიღუპა“, – აცხადებს მარინა კურტანიძე – არქიტექტურის, მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის პროფესიული კავშირის ხელმძღვანელი. ბოლო უბედური შემთხვევა 7 ნოემბერს, დურუჯის ტბის დასასვენებელი კომპლექსის მშენებლობაზე მოხდა და 29 წლის გივი ხიზანიშვილის სიცოცხლე შეინირა. როგორია იმ ადამიანების ცხოვრება, რომლებიც მუშაობისას სიკვდილს გადაურჩნენ, თუმცა სერიოზულად დაზიანდნენ, და რამდენად არის დაცული სამშენებლო სამუშაოების შესრულებისას უსაფრთხოების სტანდარტები?

## უპაღური შემთხვევა „აფთაუნ თბილისის“ მშენებლობისას

მაღე საქართველოში ახალი მრავალფუნქციური კომპლექსი „აფთაუნ თბილისი“ გაიხსნება. „აფთაუნ თბილისი“

თანამედროვე დიზაინის კომფორტულ ბიზნესცენტრებს, სავაჭრო და საცხოვრებელ ფართებს მოიცავს და ქალაქის ცენტრისგან მოშორებით, დილომში, ბუნებაში ჩადგმულ ერთგვარ ურბანულ სამოთხედაა მოაზრებული.

26 წლის გოჩა კუპრაშვილი ერაყის სამხედრო მისიიდან დაბრუნების შემდეგ მშენებლობებზე დასაქმდა. ის „აფთაუნ თბილისის“ პროექტის განმახორციელებელი კომპანიის, „რაკინ დეველოპმენტის“ მოიჯარე კომპანიაში – „XXII საუკუნეში“ მუშაობდა.

2010 წლის 2 მარტს ბეტონის დასხმის დროს მრავალსართულიანი კონსტრუქცია ჩამოიშალა და ქვეშ მუშები მოიყოლა. ყველაზე მძიმედ გოჩა დაშავდა. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სპეციალურ სამედიცინო ცნობაში ე.წ. „ფორმა 100“-ში შემდეგნაირადაა აღწერილი: „ტვინის ღია ტრავმა, ტვინის დაჟეჟილობა, სარქველის ქალის და სახის

ძვლების მოტეხილობა, ფილტვების მრავალმხრივი დაჟეჟილობა.“... ტრავმის შემდეგ გოჩა მთელი თვე ხელოვნური სუნთქვის აპარატზე იყო შეერთებული. მას ახლაც პოსტტრავმული ეპილეფსია აქვს და რამდენიმე ოპერაცია სჭირდება. ექიმების თქმით, მას მთელი ცხოვრება მედიკამენტური მკურნალობა მოუწევს, უახლოესი ორი წელი კი ფიზიკური მუშაობა ეკრძალება.

გოჩა კუპრაშვილი, ჯერჯერობით, კომპანიის მხრიდან უყურადღებოდაა დარჩენილი. მართალია, „XXII საუკუნეში“ პირველადი მკურნალობის ხარჯების გადახდა იკისრა, თუმცა 12 704 ლარი ლუდუშაურის სახელობის კლინიკაში ჯერაც არ გადაურიცხავს. დაზარალებულმა მომავალი მკურნალობის ხარჯებსა და კომპენსაციის გადახდაზე „XXII საუკუნის“ ვიცე-პრეზიდენტის, ბესო სარიშვილის მიერ ხელმოწერილი შემდეგი პასუხი მიიღო: „ამჟამად შპს განიცდის

ფინანსურ კრიზისს (...ქვეყანაში შექმნილი სიტუაციის გამო) და სამსახურად, ვერ შევძლებთ დახმარების აღმოჩენას მდგომარეობის გამოსწორებამდე“.

ადმინისტრაციის მხრიდან კომპენსაციის ნაცვლად ტერმინ „დახმარების“ გამოყენება მიუთითებს, რომ კომპანია საკუთარი მშენებლობის ფარგლებში დაზარალებული მუშის ფინანსურ უზრუნველყოფას ვალდებულებად კი არა, საკუთარ კეთილ ნებად მიიჩნევს.

უბედურ შემთხვევებს საქართველოს პროკურატურა იძიებს. როგორც საქართველოს გაერთიანებული პროფკავშირების შრომის მთავარი ტექნიკური ინსპექტორი, ვიქტორ დოლიძე ამბობს, ფაქტზე აღძრული სისხლის სამართლის საქმეების გამოძიება დროში იწელება. ამის გამო დაზარალებული კომპენსაციას ან ძალიან გვიან ღებულობს, ან სულაც მის გარეშე რჩება.

## რა უფრო იაფია დამსაქმებლისთვის – დაუცველი

### შრომა, რომელიც კომპენსაციის რისკს შეიცავს თუ

### შრომითი უსაფრთხოების სტანდარტების დაკმაყოფილება?

შეკითხვა, რომელზე პასუხიც ნათელია სოლიდური

დასავლური კომპანიებისთვის, საქართველოში მოქმედი

დამსაქმებლებისთვის აქტუალური ჯერჯერობით არ არის.

აღნიშნული ტენდენცია გორა კუპრაშვილის შემთხვევაშიც გრძელდება. მისი საქმის გამოძიება ჯერაც არ დასრულებულა. გამოძიების გაჭიანურების შემდეგ გორას დედამ განცხადება გენერალურ პროკურატურაში შეიტანა. რამდენიმე დღის წინ, გორას შემთხვევაზე ტელევიზიით სტუდია „მონიტორის“ მიერ გადაღებული ფილმი გავიდა. ფილმის გასვლამ მოვლენები დაძრა – პროკურატურამ საქმეზე მუშაობა დაიწყო.

### დამცავი ქაბრი და შიმოლოპის ბარეში ...

მშენებლობაზე ხშირია მუშების ხარაჩოებიდან გადმოვარდნის შემთხვევები,

რაც უსაფრთხოების ნორმების დარღვევაზე მიუთითებს. სტანდარტების მიხედვით, მაღლივი მშენებლობა დაცული უნდა იყოს შემოღობვით და მუშის გადმოვარდნის საფრთხე არ უნდა არსებობდეს. შემოღობვაში არ იგულისხმება მწვანე ბადეები, რომელსაც ქალაქში ხშირად ვხედავთ – მას მხოლოდ ნამსხვრევების შეკავება შეუძლია. თუ მშენებლობა შემოღობილი არაა, მაშინ მუშებს კონსტრუქციაზე მტკიცედ დაბმული სპეციალური ქამრები უნდა ჰქონდეთ.

აღმაშენებლის გამზირზე სარესტავრაციო სამუშაოები დღემდე გრძელდება. უბრალო გამვლელისთვისაც კი თვალსაჩინოა, რომ მშენებლები შემოუღობავ ხარაჩოებზე ყოველგვარი დამცავი ქამრების გარეშე მუშაობენ.

პროფკავშირების შრომის მთავარი ტექნიკური ინსპექტორის, ვიქტორ დო-

ეშვა შრომის ეფექტიანად ორგანიზების პირობებში?! ვინ არის შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი და იცავს თუ არა სახელმწიფო კონსტიტუციით აღიარებული შრომის უფლებას?!

შრომის ინსპექცია, რომელსაც მთელი ქვეყნის მასშტაბით შრომის პირობების მონიტორინგი ევალებოდა, 2006 წლის იანვარში გაუქმდა. ინსპექციის გაუქმების მიზეზად კორუფცია დასახელდა. ალტერნატიული ორგანო კი დღემდე არ შექმნილა.

2005 წლის 14 დეკემბრიდან ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში ტექნიკური და სამშენებლო ინსპექცია ამუშავდა, თუმცა, ის ობიექტებს მხოლოდ მეპატრონის მიწვევის შემთხვევაში ამოწმებს. გარდა ამისა, ინსპექციას მშენებლობებზე მხოლოდ ტექნიკური უსაფრთხოების მონიტორინგი ევალება.

უსაფრთხოების სტანდარტები დადგენილია არა კანონის, არამედ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანების საფუძველზე, რომელიც ნებისმიერ დროს შეიძლება შეიცვალოს, ან, საერთოდაც, გაუქმდეს.

თბილისის მასშტაბით, მშენებლობების მონიტორინგი თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურსაც ევალება. მისი მოვალეობა მშენებლობების კანონიერების შემოწმებაა. ზედამხედველობის სამსახური, ძირითადად, მშენებლობის სამშენებლო პროექტთან შესაბამისობას ამოწმებს, რომლის ნებართვასაც არქიტექტურის სამსახური გასცემს.

საგულისხმოა, რომ მშენებლობის კანონიერება უსაფრთხოების ნორმების დაცვასაც გულისხმობს. მერიის ზედამხედველობის სამსახურის სამართალდარღვევათა საქმის წარმოების განყოფილების უფროსის, ვანო ყანდაშვილის თქმით, ისინი მშენებარე ობიექტებზე გეგმიურ შემოწმებებს რეგულარულად ატარებენ. „ლიბერალის“ შეკითხვაზე, შეამოწმეს თუ არა, მაგალითად, აღმაშენებლის გამზირზე მიმდინარე მშენებლობა და რამდენადაა ტექნიკური უსაფრთხოების ნორმები დაცული,

ლიძის თქმით, უბედური შემთხვევების რიცხვს, ტექნიკურ საკითხებთან ერთად, მუშების გადაღლილობაც ზრდის: „დასვენება ისეთივე კომპონენტია შრომის უსაფრთხოებაში, როგორც სპეცტანსაცემელი. დაღლილი კაცი შეცდომებს უშვებს, შეცდომებს კი, მსხვერპლი მოჰყვება. მუშას 12 საათს ამუშავენ, დაღლილი მუშა ვეღარ ამჩნევს ცარიელ ადგილს კიბესთან და სიცარიელეში ვარდება“, – ამბობს დოლიძე.

### ვინ უნდა იზრუნოს შრომით უსაფრთხოებაზე?

არის თუ არა მუშის ბრალი შეცდომა, რომელიც მას სიცოცხლის ფასად უჯდება და რომელიც, შესაძლოა, არ და-

ყანდაშვილი პასუხობს, რომ ყოველ კონკრეტულ ობიექტს არქიტექტურის სამსახური „საჭიროებიდან გამომდინარე“, განსხვავებულ უსაფრთხოების ნორმებს უდგენს.

„დამცავი ღობეები ყოველ მათგანს არ სჭირდება და თუ მათი საჭიროება დადგენილი არაა კონკრეტული ობიექტისთვის, ზედამხედველობის სამსახური რეაგირებას ვერ მოახდენს ღობეების არქონაზე“, – ამბობს ყანდაშვილი.

შრომითი უსაფრთხოების ნორმების შესახებ ინფორმაციას ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ყოველწლიური ანგარიშები უნდა შეიცავდეს. შრომის ყოველწლიური ეროვნული ანგარიშების გამოთხოვის პასუხად სამინისტროდან გვიპასუხეს, რომ 2010 წლის ანგარიშში ჯერ ისევ დამუშავების პროცესშია. 2009 წლის შრომის ანგარიშის ნაცვლად კი სოციალური მომსახურების სააგენტოს 2009 წლის ხარჯთაღრიცხვა, ე.წ. „სოციალური სტატისტიკა“ გამოგვიგზავნეს, რაც შრომითი უსაფრთხოების თვალსაზრისით სრულიად არაინფორმაციული აღმოჩნდა.

## შრომითი კანონმდებლობა – კიდევ ერთი ბარიერი შრომით უსაფრთხოებაში

შრომითი უფლებების ადვოკატირებას, არსებითად, მხოლოდ პროფკავშირები ენევიან. თუმცა, სხვადასხვა ბარიერის გამო საქართველოში პროფკავშირების მუშაობაც გართულებული და არაეფექტიანია. ადეკვატური სახელმწიფო სტრუქტურების არარსებობისა და არსებულის უეფექტო მუშაობის გარდა, პროფესიული კავშირების წარმომადგენლები მთავარ პრობლემად შრომის კანონმდებლობას ასახელებენ, რომელიც დასაქმებულის დაცვას ვერ უზრუნველყოფს.

არაერთგზის ითქვა და დაინერა იმის შესახებ, რომ საქართველოში მოქმედი შრომის კოდექსი შრომის მსოფლიო ორგანიზაციამ უარყოფითად შეაფასა. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწორედ ისაა, რომ სამუშაო ადგილებზე

მომხდარი უბედური შემთხვევებისას კანონი დამსაქმებელს არ ავალდებულებს შესაბამისი ზომების მიღებასა და ამ შემთხვევების გამოძიებას.

„ამ კანონის მიხედვით, დამსაქმებელი ყოველთვის მართალია. სამწუხაროდ, ყველაფერი მის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული“, – ამბობს მარინა კურტანიძე – არქიტექტურის, მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის პროფესიული კავშირის ხელმძღვანელი.

ვიქტორ დოლიძე მიიჩნევს, რომ დამსაქმებლებისათვის მეტი უფლებების მიცემა და დასაქმებულების უფლებებზე დაცვა მიზანმიმართული სახელმწიფო პოლიტიკაა, რომელიც უცხოელი ინვესტორებისთვის მიმზიდველი გარემოს შექმნაზე ორიენტირებული. საკითხისადმი ასეთ მიდგომას იგი „მცდარ გათვლას“ უწოდებს, რადგან მსხვილ ინვესტორებს ისედაც ესმით, რომ მუშების ჯანმრთელობის, სიცოცხლისა და სამუშაო ენერჯის გაფრთხილებითა და სწორად გამოყენებით მეტ მოგებას ნახავენ. ისინი საკუთარი ინიციატივით უქმნიან მუშებს პირობებს, რომელთა რეალიზაციაზეც სახელმწიფო არ ზრუნავს.

დოლიძის ნათქვამის დასტურად

### ალუჩისხაპი სტატისტიკა

მშენებლობაზე მუშებს ხშირად ხანმოკლე ზეპირი ხელშეკრულების საფუძველზე ქირაობენ. ეს პრობლემა როგორც პროფკავშირში განვერიანებისთვის, ისე უბედური შემთხვევის, ან ანაზღაურების გადაუხდელობის შემთხვევაში სასამართლო დავისას. ზეპირი ხელშეკრულება დასაქმებულს განარაღებულს ტოვებს სასამართლოში. დღეს არქიტექტურის, მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის პროფესიულ კავშირში 4 000-მდე დასაქმებულია გაერთიანებული. ჯანდაცვის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე არცერთი წლის შრომის ეროვნული ანგარიში არ მოიპოვება, ამდენად, გაუგებარია, არსებობს თუ არა ეს ანგარიშები საერთოდ.

გამოდგება ერთ-ერთი სამშენებლო კომპანიის „ჯორჯიან იუნიონის“ მაგალითი. ეს სამშენებლო კომპანია რამდენიმე თვის წინ „ბრიტიშ პეტროლიუმის“ კონტრაქტორი გახდა. სწორედ „ბრიტიშ პეტროლიუმის“ დირექტივით, კომპანიამ მუშების უსაფრთხოებაზე ზრუნვა გაამკაცრა. „ჯორჯიან იუნიონი“ ახალ მუშებს უსაფრთხოების ნორმებსა და გარემოს დაცვის შესახებ ტრენინგებს უტარებს. როგორც კომპანიაში ამბობენ, მუშებს მხოლოდ საფუძვლიანი სამედიცინო შემოწმების შემდეგ იღებენ, ეს კი თითო მუშაზე 310 ლარიან დანახარჯს ნიშნავს. ამას გარდა, ყველა მუშას ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტი აქვს, ხოლო მათი სიცოცხლე 10 მილიონ დოლარამდეა შეფასებული.

არის თუ არა კავშირში მშენებლობისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა იმ პასუხისმგებლობის ხარისხთან, რაც უბედური შემთხვევის გამო ეკისრება დამსაქმებელს? რა უფრო იაფია დამსაქმებლისთვის – დაუცველი შრომა, რომელიც კომპენსაციის რისკს შეიცავს თუ შრომითი უსაფრთხოების სტანდარტების დაკმაყოფილება?

შეკითხვა, რომელზე პასუხიც ნათელია სოლიდური დასავლური კომპანიებისთვის, საქართველოში მოქმედი დამსაქმებლებისთვის აქტუალური ფორმა კვლავაც უპასუხოდ ტოვებს „აფთაუნ თბილისის“ მშენებლობაზე დაზარალებული გოჩა კუპრაშვილის თხოვნას სამედიცინო ხარჯების დაფარვის შესახებ. მარინა კუპრაშვილი აპირებს ბოლომდე იბრძოლოს და შვილს შესაბამისი სამედიცინო დახმარების სახსრები მოუძიოს. კომპანიასთან მოლაპარაკება თუ არ შედგა, იგი დამსაქმებლის წინააღმდეგ სარჩელს სასამართლოში შეიტანს: „სტრასბურგამდე რომ დამჭირდეს ჩასვლა ფეხშიშველს, არ გაეჩერდები“, – ამბობს იგი.

ვიქტორ დოლიძე კი „ლიბერალთან“ საუბარს შემდეგი ფრაზით ასრულებს: „არცერთი შენობა არ ღირს იმად, რომ მას ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა შეენიროს.“

# ბანხილება მსჯავრის ნასჯად

უკვე ერთი წელია, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო „არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამას“ ახორციელებს. პროგრამა არასრულწლოვანთა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას და საზოგადოებაში რეაბილიტაციას გულისხმობს.

## სალომე ცეცხლაძე, ზურა ვარდიაშვილი

16 წლის ბექა სკოლის ეზოში, ჯგუფურ ჩხუბში მონაწილეობდა, როდესაც თანატოლს თავში ქამრის ბალთა ჩაარტყა და მცირე დაზიანება მიაყენა. ერთი წლის წინ მას ამისთვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა ელოდა. ახლა კი თავისუფალია. ბექამ დაზარალებულს ბოდიში მოუხადა, ფსიქოლოგთან სარეაბილიტაციო კურსებზე ჩაენერა და რადგან კარგად ცეკვადა, წყნეთის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლში ცეკვის გაკვეთილების ჩატარება დაიწყო. აღნიშნული აქტივობები მან პროკურორთან, დაზარალებულთან, მედიატორთან და სოციალურ მუშაკთან ერთად დაგეგმა. ბექამ ამით დანაშაული გამოისყიდა და სისხლისსამართლებრივი მსჯავრი აირიდა.

„განრიდებისა და მედიაციის პროგრამა“, რომელმაც ბექას საშუალება მისცა, ციხე აეცილებინა, 2010 წლის 15 ნოემბრიდან ფუნქციონირებს. პროგრამის ფარგლებში პროკურორი უფლებამოსილია დაიწყოს, ან არ დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა. პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლია არასრულწლოვანს, რომელიც: პირველად ჩადის ნაკლებად მძიმე დანაშაულს; აღიარებს შეცდომას და ბოდიშს უხდის დაზარალებულს, ამასთან, მზად არის ანაზღაურის ზიანი.

„ეს არის ერთი შანსის პროგრამა – პროექტი იმ ადამიანებისთვის, რომელთაც შეეშალათ და ამ შანსს იყენებენ. თუ დაარღვიე პირობები, შენ მიმართ სისხლის სამართლის დევნა დაიწყება, თუ არა – შეგიძლია ცხოვრება სუფთა ფურცლიდან დაიწყო“, – ამბობს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსი ანდრო გიგაური, „განრიდებისა და მედიაციის“ პროგრამის ერთ-ერთი ავტორი.

თავიდან პროგრამა საპილოტე რეჟიმში

მუშაობდა და მასში 4 ქალაქი იყო ჩართული: თბილისი, რუსთავი, ქუთაისი და ბათუმი. ამ ჩამონათვალს 2011 წლის ნოემბერში კიდევ ორი ქალაქი – სამტრედია და გორი დაემატა. ეს ქალაქები არასრულწლოვანთა დანაშაულის მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩევიან. პროგრამას, საჭირო პროფესიონალების მომზადების პარალელურად, სხვა ქალაქებშიც დაემატება.

„განრიდებისა და მედიაციის“ პირველი ხელშეკრულება პროგრამის ამოქმედებიდან 4 დღეში – 2010 წლის 19 ნოემბერს გაფორმდა. 15 წლის ზურამ საათი მოიპარა, რის გამოც ის დააპატიმრეს. პროკურორმა მისი „მსჯავრისგან განრიდება“ გადაწყვიტა. „ამის შესახებ ვაცნობეთ არასრულწლოვანს და მის კანონიერ წარმომადგენელს – ამბობს პროკურორი თეა გიორგაძე – ისინი დათანხმდნენ. დაზარალებულთან თანამშრომლობის შედეგად შევიმუშავეთ პირობები, რაც არასრულწლოვანს უნდა შეესრულებინა. უპირველეს ყოვლისა, მან ბოდიში მოიხადა და ზარალი აანაზღაურა“.

ზურას კვირაში ერთხელ რომელიმე წარმომავლის ელექტრონული ვერსიის შექმნა დაავალეს. რაც lib.ge-ზე უნდა აეტვირთა. პროკურორის თქმით, „მათ მიღწევს არამხოლოდ იმას, რომ იგი ბეჭდვას მიეჩვია და კომპიუტერი სამუშაო მოწყობილობად აღიქვა, არამედ იმასაც, რომ მან, ნებით თუ უნებლიეთ, რამდენიმე წიგნი წაიკითხა“.

„ძალიან კარგი პროგრამაა, ყველას მაგობებს ვუხდის, ვინც მის შექმნაში მონაწილეობა მიიღო. ამან საშუალება მომცა, სხვა მხარეს გამეხედა, დაფიქრებულყოფიე ჩემს შეცდომებზე. ადრე ქუჩის ცხოვრება მომწონდა, მაგრამ როდესაც დიდი პრობლემის წინაშე აღმოვჩნდი, გადავწყვიტე, მისთვის თავი ამერიდებინა. ახლა 15 წლის ვარ, ტექნიკურ კოლეჯში დავდივარ და კომპიუ-

ტერს ვსწავლობ. ნამდვილად აღარ ვაპირებ დანაშაული ჩავიდინო“, – ამბობს ზურა.

„განრიდებისა და მედიაციის პროგრამით“ ზურას დედაც კმაყოფილია: „ჩემი შვილი ციხეში რომ მოხვედრილიყო, დაიღუპებოდა. ნასამართლეობაც ბევრ რამეში შეუძლია ხელს. ძალიან შეიცვალა. ქუჩა აღარ აინტერესებს. უფრო დამჯერი და თავდაჯერებული გახდა, თავის თავში ჩაიხედა. ხალხსაც უფრო მეტად სცემს პატივს. ფსიქოლოგთან და სოციალურ მუშაკთან ურთიერთობა ძალიან დაეხმარა“.

ნიკა ხარებავა თბილისის პრობაციის ბიუროს სოციალური მუშაკია. მისი მოვალეობა პროგრამის მონაწილე არასრულწლოვნებთან ურთიერთობაა. თუკი პროკურორი მიიჩნევს, რომ მოზარდი „განსარიდებელთა“ კატეგორიას ეკუთვნის, პრობაციის სამსახურს უკავშირდება და სოციალურ მუშაკს მის საკონტაქტო ინფორმაციას აწვდის. ამის შემდეგ მუშაკი მიდის ბავშვთან, გაეცნობა და სპეციალური კრიტერიუმების მიხედვით მის შეფასებას იწყებს. ამას ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასება ეწოდება.

ნიკა ხარებავას თქმით, სოციალური მუშაკი ეცნობა ბავშვის ინტერესებს, საჭიროებს, უნარებს, განათლებას, ოჯახურ და სოციალურ მდგომარეობას და წერს დასკვნას. სწორედ ამ დასკვნიდან გამომდინარეობს ის სავარაუდო პირობები, რომელიც განრიდების პროგრამის ფარგლებში არასრულწლოვანთან უნდა გაფორმდეს. სოციალური მუშაკი დასკვნას პროკურორს წარუდგენს. თუ საქმეში დაზარალებულია ჩართული, იწყება მედიაცია. დაზარალებულთან ურთიერთობა მედიატორის მოვალეობაა. მისი ორგანიზებით პროკურორი, არასრულწლოვანი, სოციალური მუშაკი და დაზარალებული ერთ მაგიდასთან სხდებიან და საქმეს განიხილავენ. მედიატორები ცდილობენ, არცერთი

მხარე არ დარჩეს უკმაყოფილო.

„15 წლის გიგამ მობილური ტელეფონი მოიპარა“, – ისვენებს ნიკა ხარებავა, – „შემდეგ ტელეფონი გადააგდო, მაგრამ სიმბარათს იყენებდა. სამართალდამცავებმა სწორედ ამის მეშვეობით მიაგნეს. თავდაპირველად მედიატორს დაზარალებულთან შეთანხმება გაუჭირდა, ის გაბრაზებული იყო და შერიგება არ სურდა, თუმცა დროთა განმავლობაში გიგასთან დამეგობრდა კიდევ. გიგამ წიგნების კითხვა დაიწყო, ფსიქოლოგთან დადიოდა. დაევალა, დახმარებოდა მამამისს, რომელიც ფესსაცმლის შემკეთებელია“.

მედიატორ შოთა კუკულაძის თქმით, დაზარალებულთა ნაწილი მზადაა არასრულწლოვანთან შესარიგებლად. ნაწილს კი, მის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება გააჩნია. „ჩემი ფუნქცია ისაა, რომ დაზარალებულს არასრულწლოვნის დადებითი მხარეები დავანახო“, – ამბობს კუკულაძე, – „ორივე პირისპირ სხდებიან და საუბრობენ, ბოლოს კი თვითონ დაზარალებულს ეცვლება შთაბეჭდილება, ის პროცესის უშუალო მონაწილე ხდება“.

„ლიბერალი“ „განრიდებისა და მედიაციის პროგრამის“ კოორდინატორ თამაზ ახოზაძეს ესაუბრა. მისი თქმით, არასრულწლოვანთან ხელშეკრულების გაფორმებას ორი დადებითი მხარე აქვს. ჯერ ერთი, მოზარდი პასუხისმგებლობას გრძნობს დაზარალებულისა და საზოგადოების წინაშე, და მეორე, – იწყება მისი სოციალური რეაბილიტაცია.

„ამისთვის უნდა ვიცოდეთ, რა სჭირდება მოზარდს, რითი შეიძლება დავაკავოთ. შესაძლოა ფსიქოლოგის კონსულტაცია სჭირდება, შესაძლოა სპორტი იყოს ზედამოჭრილი. ძირითადად, ამ კატეგორიის

არასრულწლოვნებს ჯგუფური, ან ინდივიდუალური ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია ესაჭიროებათ. ბავშვებს, რომლებსაც სოციალური მდგომარეობის გამო მოუწიათ დანაშაულის ჩადენა, ვცდილობთ, რომ რაიმე შევასწავლოთ, მაგალითად: კომპიუტერის კურსი, ან რაიმე ხელობა, რაც შეიძლება მომავალში გამოადგეს“.

ანდრო გიგაურის თქმით, პროგრამის დასაწყისში არსებობდა ეჭვი, რომ პროცესი შეიძლებოდა ხელოვნური ყოფილიყო (მაგალითად: ბოდიშის მოხდა, მონაწილე...) „მაგრამ როგორც კი მედიატორის პროფესია განვითარდა, მშრალი საუბრები ძალიან საინტერესო, გრძნობებით სავსე პროცესად იქცა. თუ ბავშვთან შეხვედრამდე, დაზარალებულს იგი დედამიწის ზურგზე უკანასკნელი ადამიანი ჰგონია, რომელთანაც ლაპარაკი არ შეიძლება, მისი გაცნობისთანავე წარმოდგენა ეცვლება, ხშირად დაზარალებული და არასრულწლოვანი ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ მეგობრობას აგრძელებენ“, – ამბობს გიგაური.

ოუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსი „განრიდებისა და მედიაციის პროგრამას“ სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციის ნაწილად მიიჩნევს. მისი თქმით, „წულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკას ორი – დადებითი და უარყოფითი შედეგი ჰქონდა. დადებითი ისაა, რომ ხალხი ახლა თავს გაცილებით უსაფრთხოდ გრძნობს, მაგრამ ცუდია, რომ ციხეები პატიმრებით გაივსო და ეს არავის უხარია. ჩვენ გადავწყვიტეთ სისხლის სამართლებრივი პოლიტიკის შერბილება და ეს არასრულწლოვნებით დავიწყეთ“.

ბოლო მონაცემების თანახმად, პროგრამის მეშვეობით 71 არასრულწლოვანი ასცდა სისხლის სამართლებრივ დევნას. „71 განრიდებულიდან მხოლოდ ერთმა ჩაიდინა განმეორებითი დანაშაული, ეს ძალიან კარგი მაჩვენებელია“, – ამბობს სასჯელაღსრულების მინისტრის მოადგილე გიორგი მაკასარაშვილი.

თუმცა, ანდრო გიგაური ამბობს, რომ წარმატებაზე საუბარი და ფუნდამენტური დასკვნების გამოტანა ჯერ ნაადრევია. ამისათვის აუცილებელია, სულ მცირე, ორისამი წლის შედეგების გაანალიზება. **□**

არასრულწლოვანთა სახელები შეცვლილია.

**■ „ეს არის ერთი შანსის პროგრამა – პროექტი იმ ადამიანებისთვის, რომელთაც შეეშალათ და ამ შანსს იყენებენ. თუ დაარღვიე პირობები, შენ მიმართ სისხლის სამართლის დევნა დაიწყება, თუ არა – შეგიძლია ცხოვრება სუფთა ფურცლიდან დაიწყო“.**



ბოლო პერიოდში მიტინგებსა და მანიფესტაციებზე დაკავებული პირების საქმეების უმრავლესობა სასამართლომ ისე განიხილა, რომ შემთხვევის ადგილზე გაკეთებული ვიდეოჩანაწერები მტკიცებულებად არ მიიღო. ასეთ საქმეებზე გადაწყვეტილებების გამოტანისას სასამართლო, როგორც წესი, მხოლოდ სასამართლდამცავთა ჩვენებებს ეყრდნობა და მიტინგზე დაკავებულთა გამამტყუნებელი გადაწყვეტილებები გამოაქვს.

სასამართლოს თავისუფლება, ექსპერტების თქმით, გულისხმობს იმასაც, რომ მოსამართლე თავად წყვეტს, თუ რა მტკიცებულება უნდა გაიზიაროს და რა – არა. ამდენად, ვიდეოჩანაწერის მტკიცებულებად არგაზიარება არის მოსამართლის უფლება და არა – ვალდებულება. თუმცა, მიტინგზე დაკავებული მოქალაქეების პროცესებზე ვიდეოჩანაწერს მტკიცებულებად საქართველოს სასამართლო თითქმის არასდროს იზიარებს. ექსპერტების შეფასებით, ვიდეოჩანაწერის მტკიცებულებად არჩათვლა უკვე ტენდენციად იქცა.

ამ პროცესებზე, როგორც წესი, დაკავებული მოქალაქეები სამართალდამრღვევად არიან ცნობილნი, მათ ეკისრებათ ჯარიმა, ან ხანმოკლე დროით თავისუფლების აღკვეთა. დაცვის მხარის ადვოკატები, რომლებსაც ჩვენ ვესაუბრეთ, ვერც იმის პრეცედენტს იხსენებენ, როცა საქალაქო სასამართლოს გამამტყუნებელი გადაწყვეტილება სააპელაციო ინსტანციამ შეცვალა.

„ფაქტობრივად ყველას, ვისაც შეკრებებსა და მანიფესტაციებზე აკავებენ, ბრალად წერილმანი ხულიგნობისა და სამართალდამცავებისადმი ბოროტ დაუმორჩილებლობის მუხლს უყენებენ და მათი გამართლების პრეცედენტები ჩვენთვის არ არის ცნობილი“, – ამბობს საქართველოს „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ იურისტი ლიკა ნიკლაური.

ჩვენ ბოლო ორი წლის განმავლობაში მომხდარ იმ გახმაურებულ საქმეებს შეგახსენებთ, რომლის განხილვისასაც სასამართლომ ვიდეოჩანაწერის მტკიცებულებად მიღებაზე უარი განაცხადა. აღნიშნულ საქმეებთან დაკავშირებით სასამართლოს კომენტარის მოპოვება ვერ შეეძლია. საქალაქო სასამართლოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა შეკითხვების



ვეტერანთა აქციის დარბევა გმირთა მოედანზე, თბილისი, 3 იანვარი 2011

## ახა ვიდეოს

რატომ უგულბელყოფს ქართული სასამართლო ვიდეოჩანაწერს?

### სალომე ცეცხლაძე

გაგზავნა ელექტრონული ფოსტის საშუალებით გვთხოვა. ხუთდღიანი ლოდინის შემდეგ, გვიპასუხეს, რომ ინფორმაციის მისაღებად მათთვის წერილობით უნდა მიგვემართა, რის შემდეგაც განიხილავდნენ და შეეცდებოდნენ პასუხის გაცემას.

### ვეტერანების საქმა

2011 წლის 3 იანვარს გმირთა მოედანზე ვეტერანთა აქცია მიმდინარეობდა. აქცია სანქცირებული იყო, თუმცა სამართალდამცველებმა მომიტინგეები მინც დაარბიეს. პოლიციის მიერ ძალის გადამეტებას სახალხო დამცველი გიორგი ტულუში სპეციალური განცხადებით გამოემართა:

„ისინი (სამართალდამცველები) აქციის მონაწილეებს სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ და ფიზიკური ძალის გამოყენებით აიძულებდნენ გადასულიყვნენ მანქანების სავალ ნაწილზე. ერთ-ერთმა მათგანმა აქციის მონაწილე ვეტერანის მეუღლეს – ეკა მათიაშვილს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. აღნიშნული კარგად ჩანს აქციის

ამსახველ ვიდეომასალაშიც. მას შემდეგ, რაც ერთ-ერთმა მომიტინგემ, მალხაზ თოფურია, პროტესტი გამოთქვა ქალბატონის ფიზიკურ შეურაცხყოფასთან დაკავშირებით, საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა იგი დააკავეს. ვიდეო მასალიდან ჩანს, რომ დაკავების დროს მალხაზ თოფურიას მხრიდან პოლიციის მიმართ სიტყვიერ, ფიზიკურ შეურაცხყოფას, ან წინააღმდეგობას ადგილი არ ჰქონია. დაკავებისას მალხაზ თოფურიას პატრულის თანამშრომლები ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ. მალხაზ თოფურიასთან ერთად დააკავეს შოთა იამანიძე, რომელსაც ასევე მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა“, – ნათქვამია სახალხო დამცველის ანგარიშში.

საქმეში ვიდეომასალის მნიშვნელობაზე ყურადღება გაამახვილა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში, ჯონ ბასმა. მან ვეტერანების დარბევა უარყოფითად შეაფასა. აღნიშნა, რომ დემოკრატიულ ქვეყანაში მსგავსი რამ არ უნდა ხდებოდეს. „იმედი მაქვს, ჩატარდება მოკვლევა და გან-



გია ბურჯანაძე საპროტესტ აქციაზე, თბილისი, 25 მაისი 2011

ფოტო: გიორგი ბერიძე

საკუთრებული ყურადღება მიექცევა არსებულ ვიდეომასალას”, – განაცხადა ბასმა.

დაკავებულების ადვოკატებმა პროცესზე მონაწიეების ჩვენებებთან ერთად მათი დაცვის ქვეშ მყოფ პირთა უდანაშაულობის დამტკიცება მიტინგის დარბევის ამსახველი ვიდეომასალითაც სცადეს. მათ სამჯერ დააყენეს შუამდგომლობა, რომ მოსამართლეს დარბევის ამსახველი კადრები ენახა და საქმეზე მტკიცებულებად დაერთო. მოსამართლემ შუამდგომლობა „უსაფუძვლობის გამო“ არ დააკმაყოფილა. თუმცა, არ განუმარტავს, თუ რატომ იყო ეს შუამდგომლობა „უსაფუძვლო“.

„სასამართლოს არ დაუსაბუთებია, თუ რატომ იყო შუამდგომლობა უსაფუძვლო, არადა, მას ამის ვალდებულება აქვს. ჩვენ სასამართლოს სხდომის ოქმიც გამოვითხოვეთ, რომ გვენახა, თუ რა მოტივით გვითხრეს უარი, მაგრამ ოქმშიც ასე წერია – „უსაფუძვლობის გამო არ დაკმაყოფილდეს“. მიზეზს ვერ გუბნებინან, ან რა მიზეზი შეიძლება გითხრან, როცა არ არსებობს უარის თქმის სამართლებრივი საფუძველი“, – ამბობს „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ იურისტი, ვეტერანების ერთ-ერთი ადვოკატი ლიკა ნიკლაური.

სასამართლომ არ გაითვალისწინა არც დაკავებულების და არც მათი მონაწიეების ჩვენება. ის დაეყრდნო პოლიციელების ნაამბობს. პოლიციელები ჰყვებოდნენ, როგორ სთხოვდნენ მომიტინგეებს გზა არ გადაეკე-

ტათ, მათ კი საპასუხოდ გალანძღეს სამართალდამცველები და საზოგადოება, რის გამოც მიტინგის მონაწილეები დააკავეს.

სანიანალმდეგოს ამტკიცებდნენ დაკავებულები. მათი თქმით, პოლიციისადმი დაუმორჩილებლობასა და ხულიგნობას იქ ადგილი არ ჰქონია, რაც ჩანდა კიდევ შემთხვევის ადგილას გაკეთებულ ვიდეოჩანანერში.

მოსამართლე თვა თადაშვილმა გამოიტანა დადგენილება, რომლის მიხედვითაც ვეტერანები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) და 173-ე მუხლით (სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სამართალდამცველების მიმართ ბოროტი დაუმორჩილებლობა) დამნაშავედ ცნო და თერთმეტივე დაკავებულს 400-ლარიანი ჯარიმა შეუფარდა.

საქმე სააპელაციო სასამართლოშიც გასაჩივრდა, მაგრამ სააპელაციომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელი დატოვა.

**„აბჰისტოს 5 დღე“ და 4 დაკავებული**

2011 წლის 5 ივნისს მოქალაქეთა ჯგუფი ფილმ „აგვისტოს ხუთი დღის“ პრემიერის ზეიმით აღნიშვნის გაპროტესტებას ტრანსპარანტებით ხელში მღვმარე აქციით აპირებდა. პროტესტის ინიციატორები ფიქრობდნენ, რომ პრეზენტაცია არ უნდა გამართულიყო, რადგან საქართველოს ომი არ

მოუგია. გარდა ამისა, მათ მიაჩნდათ, რომ ათიოდე დღით ადრე, 26 მაისის მიტინგის დარბევისა და გაურკვეველ ვითარებაში მომიტინგეების დაღუპვის ფაქტების ფონზე ხელისუფლებას ასეთი პომპეზური ლონისიძების გამართვის მორალური უფლება არ ჰქონდა.

კინო „რუსთაველის“ წინ დაგეგმილი საპროტესტო აქციის შესახებ ინფორმაცია წინასწარ სოციალურ ქსელ „ფეისბუქით“ გავრცელდა. სავარაუდოდ, სწორედ ამიტომ პროტესტის ოთხი პოტენციური მონაწილე მანამდე დააკავეს, სანამ აქცია დაიწყებოდა.

ერთ-ერთი დაკავებული – საქართველოს „კონსერვატიული პარტიის“ ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი იხსენებს, რომ ისინი პარლამენტის წინ ტროტუარზე იმყოფებოდნენ, როცა სამოქალაქო ფორმაში გამოწყობილი ადამიანები მიუახლოვდნენ, უხეში ფორმით მიმართეს და ფიზიკური ზენოლით ტერიტორიის დატოვებას აიძულებდნენ. პირველ სკოლასთან რომ მივიდნენ, ის მოულოდნელად დააკავეს.

ჩხარტიშვილის სასამართლო პროცესზე პოლიციელები ამტკიცებდნენ, რომ დაკავებული მათ არ დაემორჩილა და შეურაცხყოფაც მიაყენა: „საკაპეშის გოშებს გვეძახდა და სხვა ცხოველებთან გვაიგივებდა. ყვიროდა – დიქტატორი სააკაშვილი ძირს!“, – განაცხადა პროცესზე ერთ-ერთმა სამართალდამცავმა.

ჩხარტიშვილი ამბობს, რომ მას პოლიციელებისთვის შეურაცხყოფა არ მიუყენებია. მით უფრო, რომ არც კი იცოდა, სამოქალაქო ფორმაში გამოწყობილი ადამიანები სამართალდამცავები თუ იყვნენ.

„ჩემი სხვა პოლიტიკური დაკავებებისგან ეს შემთხვევა იმით განსხვავდებოდა, რომ მიტინგის დაწყებამდე დამაკავეს. გამოდის, რომ ფიქრის გამო დამაკავეს. ჩემი მხრიდან ერთადერთი შეძახილი და თანაც დაკავების შემდეგ, იყო: „ძირს სააკაშვილის სისხლიანი დიქტატურა“. კადრებში ყველაფერი კარგად ჩანს, მაგრამ მოსამართლეს არც კი უნახავს“, – ამბობს ლაშა ჩხარტიშვილი.

სასამართლომ ჩხარტიშვილის ადვოკატის, ქეთი ბექაურის შუამდგომლობა, გამოეთხოვათ ტელეკომპანია „მესტროდან“ დაკავების ამსახველი მასალები, არ დააკმაყოფილა.

იურისტმა ლია მუხაშავერიამ, რომელმაც ჩვენ მიერ მიწოდებული ვიდეოკადრები ნახა,

აღნიშნა, რომ მათში რეალობა თვალსაჩინოდა ასახული. მისი აზრით, ობიექტური გადანყევტილების გამოსატანად მოსამართლეს ეს კადრები უნდა განეხილა და ვიდეორჩანანერის მტკიცებულებად არგაზიარება უნდა დაესაბუთებინა მაინც.

„კადრები ჩანს, რომ ლაშას სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული ადამიანები აკავებენ. ლაშას შეუძლებელია სცოდნოდა, ვინ იყვნენ ისინი: პოლიცია, რიგითი ადამიანი თუ ბოროტმოქმედი. შეიძლება ადამიანმა ეს თავდასხმად აღიქვას და თავი დაიცვას. ის, რომ პოლიციის მანქანაში ჩასვეს, არაფერს

პოლიციელები ბათიაშვილების სანიანაღმდეგო ჩვენებას აძლევენ, ხოლო დაცვის მონაწილეები აცხადებდნენ, რომ მათ კანონი არ დაურღვევიათ.

„იმის დადგენაში, რომელი მხარე იყო მართალი, მოსამართლეს წარმოდგენილი ვიდეომასალა დაეხმარებოდა“, – ამბობს ბათიაშვილების ადვოკატი მანანა კობახიძე. თუმცა, მისი შუამდგომლობა ვიდეომასალის მტკიცებულებად განხილვის შესახებ, ასევე, არ დაკმაყოფილდა.

მოსამართლე დიმიტრი გვრიტიშვილმა ვიდეომასალის არგაზიარება ასე დაასაბუთა

**„მონაწილეთა ჩვენება არის მტკიცებულება, მაგრამ ასევე მნიშვნელოვან მტკიცებულებას წარმოადგენს ვიდეომასალა, სადაც ყველაფერი ნათლად ჩანს. აღნიშნული მტკიცებულება სასამართლოს აძლევს შესაძლებლობას, სრულად გაერკვეს საქმის გარემოებებში და მიიღოს კანონიერი გადანყევტილება. სამწუხაროდ, არსებული პრაქტიკით, მოსამართლე ძირითადად პოლიციის ჩვენების საფუძველზე იღებს გადანყევტილებას“, – ამბობს ლიკა ნიკლაური.**

ნიშნავს. ლაშა დაკავების მომენტიდან მანქანაში ჩასმამდე უკანონოდ იყო დაპატიმრებული“, – ამბობს მუხაშვილი.

ლაშა ჩხარტიშვილი იხსენებს, რომ ვიდეორჩანანერის განხილვაზე უარის თქმა მოსამართლემ აქაც „უსაფუძვლობით“ დაასაბუთა: „გვითხრეს, მონაწილეები ხომ დაკითხვით და ვიდეომასალა რაღა საჭიროაო. მხოლოდ პოლიციის ჩვენებები გაითვალისწინეს და დამნაშავედ მცნეს“.

სასამართლომ ჩხარტიშვილს პოლიციისთვის დაუმორჩილებლობისა და წვრილმანი ხულიგნობისთვის ათდღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა.

ჩხარტიშვილი აქციებზე არაერთხელ დაუკავებიათ. იგი ამბობს, რომ არც მისი და არც სხვა ოპოზიციურად განწყობილი მოქალაქეების პოლიტიკური დაკავებების შემთხვევაში არ ახსოვს, რომ სასამართლოს ვიდეომასალის მტკიცებულებად დართვის შუამდგომლობა დაკმაყოფილებინოს.

იმ დღეს ასევე დააკავეს იმავე აქციაზე მიმავალი მათა და ირინა ბათიაშვილები. სქემა მათ შემთხვევაშიც იგივე იყო –

– „მოცემულ შემთხვევაში დაკმაყოფილდა ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში მიცემული პირების ადვოკატების შუამდგომლობა მონაწილეთა დაკითხვის თაობაზე, ამდენად, შესაძლებელი იქნება საქმეზე ობიექტური ქეშმარიტების დადგენა“.

მოსამართლე გვრიტიშვილის მიერ დადგენილი „ობიექტური ქეშმარიტების“ თანახმად, ირინა და მათა ბათიაშვილები სამართალდამრღვევებად ცნეს და 400-ლარიანი ჯარიმა შეეფარდათ.

5 ივნისს არმემდგარი საპროტესტო აქციის პოტენციური მონაწილეების საქმე სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრდა. შემდგომმა ინსტანციამ საქალაქო სასამართლოს გადანყევტილება ამჯერადაც უცვლელი დატოვა.

## **„სახალხო პარტიის“ მიტინგი**

2011 წლის 25 მაისს „სახალხო პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი გია ბურჯანაძე და კიდევ ექვსი ადამიანი სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს წინ გამართული მიტინგის დროს დააკავეს. ადგილზე გა-

დაღებული ვიდეომასალა მტკიცებულებად ამ სასამართლო პროცესზეც არ გაიზიარეს. მოსამართლემ ეს გადანყევტილება ამჯერადაც ასე დასაბუთა: „მოცემულ შემთხვევაში დაკმაყოფილდა ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში მიცემული პირების ადვოკატების შუამდგომლობა მონაწილეთა დაკითხვის თაობაზე, ამდენად, შესაძლებელი იქნება საქმეზე ობიექტური ქეშმარიტების დადგენა“.

„ეს არგუმენტი არ არის საფუძვლიანი. მხარე წყვეტს რამდენიმე მტკიცებულებას უნდა წარადგინოს. თუ სასამართლო მტკიცებულების წარდგენის შუამდგომლობას არ გიკმაყოფილებს, ეს უარი დასაბუთებული უნდა იყოს. ამ შემთხვევაში ეს ასე არ იყო“, – ამბობს დაკავებულების ერთ-ერთი ადვოკატი ლიკა ნიკლაური.

ადვოკატებმა აღნიშნეს, რომ საქმეში უკეთ გასარკვევად სასამართლოს დაუმონტაჟებელი მასალის ნახვაც შეეძლო, მაგალითად, „პოპულის“, ან მიმდებარე ტერიტორიაზე დამაგრებული ვიდეოკამერების საშუალებით. თუმცა, მოსამართლემ ეს არგუმენტიც არ გაიზიარა.

ლია მუხაშვილი აზრით, თუ მხარე ამბობს, რომ ახლომხლო ტერიტორიაზე არის უსაფრთხოების კამერა, რომელსაც შეიძლება გადაეღო ყველაფერი, თავად მოსამართლე უნდა იყოს დაინტერესებული, რომ იმ დაწესებულებას მიმართოს და ვიდეორჩანანერი მოიპოვოს.

„მოსამართლისთვის ამოსავალი უნდა იყოს, რომ უდანაშაულო ადამიანი არ დასაჯოს. ამისთვის ყველა გარემოება უნდა გაითვალისწინოს. ჩემი აზრით, ვიდეორჩანანერის უგულბელობა არის იმის მაჩვენებელი, რომ მოსამართლეს არ აქვს ნება, დაადგინოს სიმართლე“, – ამბობს მუხაშვილი.

სასამართლომ დაკავებულები ამ შემთხვევაშიც ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევებად ცნო. მათ ნაწილს 400-ლარიანი ჯარიმა, ხოლო ნაწილს – 10 და 20-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდეს.

## **დაჩი ცაგურის საქმე**

2009 წლის 23 ნოემბერს არასამთავრობო ორგანიზაცია „7 ნოემბრის“ აქტივისტები – დაჩი ცაგურია, ირაკლი კორძია და ჯაბა ჯიშკარიანი დააკავეს.

ისინი თვლიდნენ, რომ ქვეყანაში უსამართლობა და ამას „ვარდების რევოლუციის“

ნლისთავზე აპროტესტებდნენ. იმისთვის, რომ პოლიციას არაფერი დაებრალებინა, პარლამენტთან ტრანსპარანტებით მხოლოდ სამი ადამიანი წავიდა. პარლამენტის წინ კიბეზე ისხდნენ, როცა პოლიციელები მიცვივდნენ და დააკავეს.

„კადრებში კარგად ჩანს, რომ ჩვენ არც კი გაგვიჩვენია წინააღმდეგობა, ჩვენი ფეხით ჩავსხედით. მერე ოქმში ჩანერეს, რომ ვარღვევდით შეკრებისა და მანიფესტაციის შესახებ კანონს და პოლიციას ვუნწევდით წინააღმდეგობას“, – ამბობს დაჩი ცაგურია.

„ვიდეომასალა აქ არის ცალსახა მტკიცებულება. ეს ცაგურიას და მისი მეგობრების მიერ სპეციალურად გადაღებული ვიდეოა, სადაც ჩანს, რომ მშვიდობიანად აპირებენ პროტესტის გამოხატვას, არ არღვევდნენ კანონს და წინააღმდეგობის განხილვას მცდელობას ადგლი არ ჰქონია“, – ამბობს ლია მუხაშავერია.

მოსამართლე ამ შემთხვევაშიც პოლიციის ჩვენებას დაეყრდნო, ცაგურია სამართალდამრღვევად ცნო და 500-ლარიანი ჯარიმა შეუფარდა. მოქალაქეების უსამართლო დაკავებასთან დაკავშირებით „საიამ“ და

სახალხო დამცველმა სპეციალური განცხადებები გააკეთეს.

„სასამართლომ არ მიიღო ჟურნალისტების მიერ წარმოდგენილი ვიდეოჩანაწერი, რომელიც ადასტურებდა, რომ აქტივისტებს არ შეუფერხებიათ ქვეითა მოძრაობა და ემორჩილებოდნენ პოლიციის ბრძანებებს დაკავების მომენტში“, – აღნიშნულია „საიას“ განცხადებაში.

მოგვიანებით, სააპელაციო სასამართლომ მოხსნა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ბოროტი წინააღმდეგობის შესახებ, ხოლო შეკრებისა და მანიფესტაციის შესახებ კანონის დარღვევა ძალაში დატოვა. მიუხედავად დანაშაულის შემსუბუქებისა, ასევე უცვლელი დარჩა სასჯელი – 500 ლარი.

„უბრალოდ, ფაქტები იმდენად ცალსახა და ნათელი იყო, ეტყობა, სააპელაციო სასამართლო იძულებული გახდა, საქალაქო სასამართლოს ერთი მუხლი გაეუქმებინა, მაგრამ ჯარიმა იგივე დატოვა. ასე რომ, სააპელაციოს გადაწყვეტილება აზრს კარგავს. რა აზრი აქვს ერთ მუხლს შემოფარდებ თუ ორს, თუკი სასჯელს არ შე-

მიმსუბუქებ“, – ამბობს ადვოკატი მამუკა ნოზაძე, რომელიც ახლა სამივე დაკავებულის ინტერესებს სტრასბურგის სასამართლოში იცავს.

არა ვიდეოს

„მონმების ჩვენება არის მტკიცებულება, მაგრამ ასევე მნიშვნელოვან მტკიცებულებას წარმოადგენს ვიდეომასალა, სადაც ყველაფერი ნათლად ჩანს. აღნიშნული მტკიცებულება სასამართლოს აძლევს შესაძლებლობას, სრულად გაერკვეს საქმის გარემოებებში და მიიღოს კანონიერი გადაწყვეტილება. სამწუხაროდ, არსებული პრაქტიკით, მოსამართლე ძირითადად პოლიციის ჩვენების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას“, – ამბობს ლიკა ნიკლაური.

ადვოკატი მამანა კობახიძე ფიქრობს, რომ მოსამართლე მოქმედებს ლოგიკით, „პოლიცია ყოველთვის მართალია“, რითაც ირღვევა მხარეთა თანასწორობა. მისი თქმით, სასამართლომ წინასწარ იცის, რა გადაწყვეტილება უნდა გამოიტანოს, ამიტომ ვიდეომასალის სახით ზედმეტი მტკიცებულება არ სჭირდება.

როგორც იურისტები ამბობენ, სამოქალაქო საქმეებისგან განსხვავებით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებში მოსამართლე ვალდებულია თვითონ გამოიკვლიოს ყველა გარემოება და მოიპოვოს მტკიცებულებები, რომლებიც საქმეს უკავშირდება.

„საქმის განხილვისას მნიშვნელოვანია მტკიცებულებათა ერთიანობა. შესაბამისად, ვიდეოჩანაწერიც, როგორც საქმესთან დაკავშირებული ნივთიერი მტკიცებულება, საქმეს უნდა ერთვოდეს“, – ამბობს მანანა კობახიძე.

„შეიძლება ვიდეომასალა იყოს ხარვეზიანი ან ისე იყოს გადაღებული, რომ სიტუაცია არ ჩანდეს. მაშინ, რა თქმა უნდა, ვიდეომასალა მტკიცებულებად არ გამოდგება. სასამართლოს შეუძლია თქვას, რომ ამ ვიდეოს ყურების შემდეგ ჩვენ ის შევაფასეთ, როგორც უფარგისი. პრობლემა ისაა, რომ სასამართლო არც კი უყურებს ვიდეოს. ვიდეოს ხელალებით უარყოფა სრულიად გაუგებარი და გამოუცნობია. ისინი იყენებენ „ქოფი-ფეისოს“ და ერთნაირი ტექსტებით ასაბუთებენ, რატომ არ ნახულობენ ვიდეოს“, – განმარტავს ლია მუხაშავერია. [A]

ფაქტები

შეკრებებსა და მანიფესტაციებზე დაკავებულ ადამიანებს, ძირითადად, წერილმან ხულოგნობასა და სამართალდამცავის კანონიერი განკარგულებისადმი, ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლები) ედავებიან. აღნიშნული მუხლები ითვალისწინებს ჯარიმას 400 ლარის ოდენობით, ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 90 დღემდე ვადით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს ნივთიერ მტკიცებუ-

ლებებს, რომელშიც ვიდეოჩანაწერიც შედის: „ნივთიერი მტკიცებულებებია ის ნივთები, რომლებიც თავისი ხარისხით, თვისებით ან თავისი არსებობით წარმოადგენენ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენის საშუალებას“, – წერია კანონში. 2010 წლის 31 დეკემბერს, რუსეთში 70-მდე ოპოზიციონერი აქტივისტი დააკავეს. საერთაშორისო ორგანიზაცია „ამნესთი ინტერნეიშენალმა“ აღნიშნული ფაქტი დაგმო. მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ სასამართლომ უარი თქვა

ენახა ერთ-ერთი დაკავებულის ოპოზიციონერი აქტივისტის, ბორის ნემცოვის ადვოკატის მიერ წარმოდგენილი ვიდეომასალა, რომელიც მის უდანაშაულობას ამტკიცებდა. ამავე განცხადებაში გამოთქმულია მწუხარება, რომ სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანისას მხოლოდ პოლიციის ჩვენებებს ეყრდნობა. „ამნესთი ინტერნეიშენალის“ განცხადებით, რუსეთში ხშირად ირღვევა სამართლიანი სასამართლოს უფლება და ხშირად ექცევიან პოლიტიკური ზენოლის ქვეშ.

ჯანდაცვა

# ჩობოხ დავანბხიოთ ბახიჩხები

„ფსიქიკური დაავადებების მქონე ბავშვები და მოზარდები გარიყულეები და დისკრიმინირებულეები არიან. მათი სოციალური ინტეგრაციის, ჯანმრთელობის, განათლების უფლებები მნიშვნელოვნადაა დარღვეული,“ – ამბობენ სპეციალურ კვლევაში მონაწილე ექსპერტები.

თიკო ცომაია



ბოლო ოცი წლის განმავლობაში საქართველოში პირველად ჩატარდა კვლევა, რომელმაც ბავშვთა ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროს საჭიროებები შეისწავლა.

ეს კვლევა საქართველოს ფსიქოსოციალური დახმარების ასოციაცია „ნდობამ“ პროექტის – „საქართველოში ბავშვთა და მოზარდთა ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული პოლიტიკის ხელშეწყობა“ – ფარგლებში, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდისა (EPF) და შვედეთის საერთაშორისო თანამშრომლობისა და განვითარების სააგენტოს (SIDA) მხარდაჭერით ჩატარდა.

ბავშვთა ფსიქიკური ჯანმრთელობის სისტემური პრობლემები – არაკვალიფიციური ექიმები, სპეციალიზებული მომსახურების არარსებობა, დავიანებული დიაგნოსტიკა, სერვისების გეოგრაფიუ-

ლი ხელმიუწვდომლობა, სტიგმა, იზოლაცია, ერთიანი სახელმწიფო პროგრამის არარსებობა – ყველა ეს პრობლემა, ერთობლიობაში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე კონკრეტული ბავშვის მდგომარეობაზე აისახება და მის გამო-ჯანმრთელებას აფერხებს.

„ნდობის“ სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ბავშვებსა და მოზარდებში ფსიქიკური დაავადებების გავრცელების შესახებ სტატისტიკური მონაცემებიც კი, რომელიც საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნულ ცენტრს აქვს, არასრულყოფილ სურათს იძლევა.

აუტიზმის და მოზარდებში სუიციდის სტატისტიკას ცენტრი საერთოდ არ ფლობს. ხოლო 2009 წელს 14 წლამდე ბავშვთა ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების დიაგნოზით რეგისტრირებული

449 ახალი შემთხვევიდან დიდი ნაწილი – 343 შემთხვევა – გონებრივი განვითარების შეფერხებაზე მოდის. არადა, მთელ მსოფლიოში 14 წლამდე ასაკის ბავშვებში ყველაზე ხშირად გავრცელებული დაავადებები ყურადღების დეფიციტი და ჰიპერაქტიურობის აშლილობაა. სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ შეუძლებელია საქართველო გამოწვდის იყოს და ეს ციფრები მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ მონაცემთა შეგროვების სისტემას სერიოზული ხარვეზები აქვს.

„ფსიქიკური დაავადებების მქონე ბავშვები და მოზარდები გარიყულეები და დისკრიმინირებულეები არიან. მათი სოციალური ინტეგრაციის, ჯანმრთელობის, განათლების უფლებები მნიშვნელოვნადაა დარღვეული,“ – ამბობს, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, „ნდობის“ ხელმძღვანელი ნანა ალაპიშვილი.



თელავის სარეაბილიტაციო ცენტრის ბავშვთა ნამუშევრები

შესაძლოა, ეს დასკვნა, სიახლე არ არის, მაგრამ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა კონკრეტული პრობლემები, რომლებიც ამ კვლევაშია ასახული, გულგრილს ვერავის დატოვებს.

9 წლის ირაკლიმ თავის თავზე გამოცადა ყველა ის პრობლემა, რომელიც ბავშვთა ფსიქიკური ჯანმრთელობის სისტემაში არსებობს.

„ირაკლი ძალიან ხმაურიანია. ტელევიზორს და კომპიუტერს ბოლო ხმაზე აყვირებს, ისე, რომ თავი აგტკივდება“, – ჰყვება ირაკლის დედა, 33 წლის ნანა აბესაძე, – „კიდევ, უყვარს ადამიანების შეშინება, მაგალითად, შეიძლება დანა მოუღეროს დას, დედას. იცის, რომ თუ დანა შეურჭო, სისხლი წამოუვრათ და მოკვდებიან, მაგრამ მაინც ასეთი საშიში თამაშები მოსწონს. დიდ დროს დივანზე წამოწოლილი ატარებს, მეზობლებთან

ხშირად დაუკითხავად შედის. ირაკლი ბავშვებთან თამაშის დროსაც ვერ იგებს თამაშის წესებს, ამიტომ თანატოლებთან ურთიერთობა არ უყვარს. მასწავლებლებსაც არ უსმენს, იმიტომ, რომ საუბრის შინაარსი არ ესმის“.

ირაკლი ორი წლის იყო, როცა თელავიდან თბილისში გადმოიყვანეს. იგი თითქმის არ ლაპარაკობდა. თბილისში წლების განმავლობაში ნევროლოგთან დაჰყავდათ – გონებრივ ჩამორჩენილობას მკურნალობდნენ.

მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ დადგინდა, რომ ბავშვს სმენა ჰქონდა დაქვეითებული და გონებრივი განვითარების შეფერხება, ნაწილობრივ, ამიტაც იყო განპირობებული.

„4 წელი დავკარგეთ, სამ წლამდე ბავშვს ელემენტარული ინფორმაცია არ მიუღია: ეს კალამია, ეს ხეა, – ახლა ყვე-

ლაფერს თავიდან გადის“, – ამბობს ირაკლის დედა. იგი არსად არ მუშაობს, რადგან ერთი საათითაც ვერ ტოვებს ირაკლის.

ჩატარებული მკურნალობის შემდეგ, ოჯახმა კონსულტაციისათვის სხვა ნევროლოგს მიმართა, რომელმაც ბავშვს ასაკთან შედარებით წლინახევრიანი გონებრივი ჩამორჩენილობა დაუდგინა. მითითება ასეთი იყო: არავითარი წამალი და იზოლაცია.

დედა რჩევას შეძლებისდაგვარად ასრულებდა. „ბავშვის განსხვავებულობა დისკომფორტს მიქმნის, ამიტომ თავს ბევრჯერ მოვერეი, რომ არ ჩამეკეტა“, – ამბობს ნანა.

ახლა ირაკლი თელავის ერთ-ერთ საჯარო სკოლაში დადის. მის განვითარებაზე თელავში არსებული ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის პროგრამაც ზრუნავს.

„ამჟამად უკეთესობაა“, – ამბობს ნანა, რომელიც ირაკლის პროგრესს, პირველ რიგში, სწორ დიაგნოზს, სასმენი აპარატის შექმნას და სპეციალურ ცენტრში ვიზიტებს უკავშირებს – „რაც სასმენი აპარატი გაუკეთეს, ბავშვი იგებს, რასაც სთხოვენ და აღარ ღიზიანდება“.

ნანა ალაპიშვილის თქმით, პრობლემები ამ სფეროში ერთმანეთზეა გადაჯაჭვული და პირველ რიგში, ერთიანი სახელმწიფო პროგრამის არარსებობით აიხსნება – ბავშვთა ფსიქიკური დაავადებების გავრცელების შესახებ არასრული ინფორმაცია ვრცელდება, არ არის დიფერენცირებული ბავშვთა და მოზარდთა ფსიქიატრის სპეციალიზაცია, არ არის უზრუნველყოფილი ფსიქიკური ჯანმრთელობის მომსახურების გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობა, რაც, ნაწილობრივ, დაფინანსების არასწორი სქემის ბრალია. მაგალითად, ამბულატორიული მომსახურების საერთო ბიუჯეტი 2 მილიონ 833 ათას 600 ლარია. მასში არ არის გამოჯნული ბავშვებისთვის გამოყოფილი თანხა, რაც პრობლემას ქმნის, რადგან თანხებს, როგორც წესი, ბავშვების სასარგებლოდ არ ანაწილებენ.

„ნდობის“ მიერ ჩატარებულმა კვლევამ ასევე გამოავლინა, რომ ერთ-ერთი დიდი პრობლემაა დიაგნოსტიკის სა-



**■ მთელ მსოფლიოში 14 წლამდე ასაკის ბავშვებში ყველაზე ხშირად გავრცელებული დაავადებები ყურადღების დეფიციტი და ჰიპერაქტიურობის აშლილობაა.** სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ შეუძლებელია საქართველო გამონაკლისი იყოს და ეს ციფრები მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ მონაცემთა შეგროვების სისტემას სერიოზული ხარვეზები აქვს.

ხელმძღვანელების და სადიაგნოსტიკო საშუალებების არასრულყოფილების საკითხი. ცოტა რამ კეთდება ასევე პრევენციული მიმართულების განვითარების მხრივაც, რადგან არ არსებობს რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების სტატისტიკა.

ალაბიშვილის თქმით, ცვლილების მისაღწევად, მედიკამენტებით მკურნალობის გარდა, აუცილებელია ბავშვების და მოზარდების ემოციურ და სოციალურ განვითარებაზე, მათ რეაბილიტაციაზე ზრუნვა. საქართველოს მასშტაბით ასეთი მხოლოდ ორი სახელმწიფო ცენტრი არსებობს: იმერეთსა და თელავში.

პრობლემა კვალიფიციური კადრებიც. მაგალითად, კახეთში, სადაც სარეაბილიტაციო ცენტრი ფუნქციონირებს, მხოლოდ ორი ბავშვთა ფსიქიატრია – „ერთი სიღნაღშია და მეორე მე ვარ თელავში“, – ამბობს ლია კურატაშვილი, თელავის ფსიქო-სოციალური ცენტრის წარმომადგენელი.

კურატაშვილი დიდიდან ოთხის ნახევრამდე მუშაობს, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, სადაც ბავშვებსა და მშობლებთან მართავს კონსულტაციებს. დიაგნოზის დასმის შემდეგ მიმდინარე სამკურნალო ვიზიტები პროგრამის ფარგლებში უფასოა. პროგრამა ფარავს ასევე მედიკამენტების ფასსაც, თუმცა, მისი თქმით, მშობლებს ყველაზე მეტად იმის გაგება უჭირთ, რომ ნამალი მკურნალობის მხოლოდ ერთ-ერთი კომპონენტია, რომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მშობლების დამოკიდებულებას: „მშობლებს ვუხსნით, რომ, პირველ რიგში, მარტო ცუდი კი არა, კარგიც დაინახონ ბავშვებში. ისე უჭირთ მშობლებს ბავშვზე კარგის თქმა... სულ ცუდების ჩამოთვლას იწყებენ, მე ამ დროს ბავშვის დამცველი ვხდები და ვთხოვ კარგი თვისებები ჩამოთვალონ. ამ დროს ძალიან იბნევიან და უჭირთ პასუხის გაცემა. მუშაობის პროცესში თანდათან უფრო ხე-

დავენ ძლიერ მხარეებს და უარყოფითს განდევნიან, სწორედ ამ პროცესში ვეხმარები“, – ამბობს ლია კურატაშვილი.

მისი აზრით, ბავშვების ფსიქიკური ჯანმრთელობის სპეციალისტს განსაკუთრებული უნარები სჭირდება ამ სფეროს სპეციფიკურობიდან გამომდინარე: „ბავშვები ძალიან მგრძობიარენი არიან, ზედმეტად ფართო დიაპაზონის ფარგლებში გამოხატავენ სიხარულს, სიყვარულს, აგრესიას. ასეთი ბავშვები გადაჭარბებული მოძრაობისა და ყურადღების დეფიციტის გამოც პრობლემებს აწყდებიან სკოლაში. ამიტომ მნიშვნელოვანია მასწავლებლებთან მუშაობა“.

კურატაშვილი ერთ პრობლემურ შემთხვევას იხსენებს: „მასწავლებლები თავიდან ამ პრობლემურ ბავშვს ისე ეპყრობოდნენ, როგორც სხვებს, ზუსტად იმავეს სთხოვდნენ, რასაც სხვებს. თუმცა, იმავდროულად ამბობდნენ, ეს ბავშვი ამკარად სამკურნალო არისო. ახსნა-განმარტებამ გაჭრა და შედეგსაც მიაღწიეს: მასწავლებლები ცდილობენ პრობლემურ მოსწავლეს ინდივიდუალური სასწავლო პროგრამა შეუდგინონ, შენიშვნა არ მისცენ უადგილო მოძრაობის გამო“.

„ასეთი შემთხვევაც იყო,“ – ამბობს ქალბატონი ლია, – „უკმაყოფილო მშობლებმა ბავშვი მიუყვანეს ჩივილით, რომ სკოლაში არ დადიოდა, გაკვეთილებს აცდენდა, სწავლა არ უნდოდა. „ისეთი საზიზღარია, დილით ადრე ადგომა ეზარება, სკოლაში არ დადის, ექიმო, უშველე ამას! „როცა ბავშვის აზრი ვიკითხე, აღმოჩნდა, რომ მას სხვა მიზეზი ჰქონდა, – „გოგოს შარვალი მაცვიოა...“ როცა დაკვირვებით შევხედეთ, მეც და მშობლებმაც აღმოვაჩინეთ, რომ მართლაც გოგოს შარვალი ეცვა. გამოუცვალეს და უპრობლემოდ წავიდა სკოლაში. ძალიან ხშირად მშობლები პრობლემის მიზეზს არ იკვლევენ, ბავშვს აზრს არ ეკითხებიან, მშობლებს ჩამოყალიბებული მოთხოვნები აქვთ, რომელთა შესრულებას მკაცრად ითხოვენ“.

კურატაშვილი ამბობს, რომ თავიდან ბავშვები, ძირითადად, ნევროლოგებთან ხვდებოდნენ, ფსიქიატრთან კონსულტაციას მაქსიმალურად თავს არიდებდნენ.

ეს ტენდენცია ნელ-ნელა შეიცვალა, მეტი ადამიანი მიმართავს ცენტრს, „როგორც ჩანს, რაიონში ხმა გავრცელდა, რომ ცენტრში პრობლემები გვარდება, ერთი მოვიდა, პრობლემა მოგვარდა, იმან მეორეს უთხრა, პატარა რაიონია და ერთმანეთს ამბებს გადასცემენ“.

თუმცა, იგივე არასამთავრობო ორგანიზაცია „ნდობის“ დაკვირვებით, ინფორმაცია არცთუ ისე ეფექტურად ვრცელდება. მაგალითად, კახეთის რეგიონში მოქმედი ოჯახის ექიმებთან შეხვედრამ გამოავლინა, რომ არცერთმა ექიმმა თელავის ბავშვთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრის არსებობა არ იცოდა.

მანანა კობიაშვილი, რუისპირში სამი ათას მოსახლეს ემსახურება თავის ერთ კოლეგასთან ერთად. „ის, რომ თელავში ასეთი ცენტრი არსებობს და რომ ბავშვთა ფსიქიატრიას სახელმწიფო აფინანსებს, ჩემთვის სიახლე იყო, მხოლოდ დღეს გავიგე“.

ოჯახის ექიმი მაია ჯავახიშვილი ასევე ჩივის, რომ ექიმებს ინფორმაციის ნაკლებობა აქვთ: „ყველაფერზე გვეუბნებიან, ინტერნეტში მოიძიეთ“, – ამბობს ჯავახიშვილი.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ სექტემბერში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ 300-გვერდიან დოკუმენტში, სადაც მთელი მსოფლიოს მასშტაბითაა მონაცემები შეგროვებული, ყველაზე მნიშვნელოვანი მიგნება ის გახდა, რომ შეზღუდული შესაძლებლობების გავრცელება სავარაუდოზე მეტი აღმოჩნდა. ანგარიშის თანახმად, მსოფლიო მოსახლეობის 15 პროცენტს, ანუ ერთ მილიარდ ადამიანს შეზღუდული შესაძლებლობები აქვს. ადრინდელი მონაცემებით კი ეს ციფრი 10 პროცენტი იყო. ასევე აღმოჩნდა, რომ განსაკუთრებით საგანგაშო მდგომარეობაში სწორედ ინტელექტუალური და ფსი-

ქიკური ნიშნით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები არიან, რადგან სხვებზე მეტად განიცდიან იზოლაციასა და დისკრიმინაციას.

ამ ანგარიშმა ასევე აჩვენა, რომ ბევრ ქვეყანაში დღემდე არ არსებობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიმართ მტკიცებულებაზე დაფუძნებული და მოსმენაზე ორიენტირებული სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც ამ ადამიანთა პრობლემებს კომპლექსურად გაიაზრებდა. ამკარაა, რომ ასეთი ქვეყნების რიცხვს საქართველოც მიეკუთვნება.

„ყოველი ჩვენგანი ადრე თუ გვიან გახდება ნაწილობრივ ან სრულად შეზღუდული შესაძლებლობის... მეტი ძალისხმევაა საჭირო იმ ბარიერების დანგრევისათვის, რომლებიც ამ ხალხთან გვაშორებს“, – განაცხადა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის გენერალურმა დირექტორმა მარგარეტ ჩანმა ანგარიშის პრეზენტაციის შემდეგ. 



**Rad100 Commercant**  
**FM 95.5**

**ბიზნესის პერსონალური რადიო**

[Commercant.ge](http://Commercant.ge)



სასტუმრო „ინტურისტი“ გორში

## ჯეიძო სახუთიება თავისუფლების სანასვლოდ

2010 წლის 7 სექტემბერს გორის კრიმინალურმა პოლიციამ სასტუმრო „ინტურისტი“ სპეცოპერაცია ჩაატარა. სისხლის სამართლის საქმეში აღნიშნულია, რომ სამართალდამცავებმა სასტუმროში „პროსტიტუციის ბუდე“ აღმოაჩინეს. იმავე დღეს გაირკვა, რომ პოლიციას სასტუმროში „გარყვნილი“ ქმედებების შესახებ ინფორმაცია მანამდეც ჰქონდა და ეჭვიტანილების ტელეფონებსაც უსმენდა.

ნანა ბიგანიშვილი, სტუდია „მონიტორი“

### დაპატიმრება

სპეცოპერაციის შედეგად სასტუმროს ოთხი თანამშრომელი დაპატიმრეს, მათ შორის იყო სააქციო საზოგადოება „ინტურისტის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ილია კაპანაძე.

მან დანაშაული დაპატიმრებისთანავე აღიარა, რის შემდეგაც წინასწარი პატიმრობა მიუსაჯეს. მოგვიანებით კაპანაძის ოჯახისათვის ცნობილი გახდა, რომ ილია კაპანაძეს საპროცესო შეთანხმების საფუძველზე თავისუფლებას იმ

შემთხვევაში ჰპირდებოდნენ, თუკი იგი მისი ფირმის საკუთრებაში არსებულ სასტუმრო „ინტურისტს“ სახელმწიფოს დაუთმობდა.

სააქციო საზოგადოება „ინტურისტის“ დირექტორის მოადგილის, ვასილ

ბუთხუზის თქმით, პროკურატურა ილია კაპანაძისგან გათავისუფლების სანაცვლოდ გორის ცენტრალურ გამზირზე მდებარე სასტუმრო „ინტურისტის“ კუთვნილი შენობის სახელმწიფოსთვის ჩუქებას ითხოვდა.

ვასილ ბუთხუზის მტკიცებით, საკუთრების ამა თუ იმ ფორმით დათმობაზე კაპანაძესთან დაპატიმრებამდე არაერთხელ ყოფილა მოლაპარაკებები. როგორც ის იხსენებს: „სისტემატიური ხასიათი ჰქონდა წინადადებებს, რომ გაეყიდა სასტუმროს შენობა. ასეთი შეთავაზებები მოდიოდა როგორც ორგანიზაციებიდან, ისე სხვადასხვა პიროვნებიდან. ილია კაპანაძე არ იყო თანახმა, გაეყიდა ქონება.“

## შემოსავლების სამსახური

### „ინტურისტში“

დაპატიმრებიდან ერთი თვე იყო გასული, თუმცა ილია კაპანაძე ქონების გადაცემაზე ჯერ კიდევ უარს აცხადებდა. ამის შემდეგ საქმეში გორის რეგიონული საგადასახადო სამსახური ჩაერთო და სააქციო საზოგადოების კამერალური შემონმება დაიწყო. ასეთ დროს საგადასახადო სამსახური ადგილზე გაუსვლელად ამონმებს საგადასახადო-ბუღალტრული დოკუმენტაციის შესაბამისობას. „ინტურისტის“ კამერალური შემონმების ვადად საგადასახადო სამსახურმა 2004-2009 წლები განსაზღვრა.

კამერალური შემონმების პარალელურად, გახშირდა საგადასახადოს თანამშრომლების ვიზიტი, რაც საბოლოოდ, „ინტურისტის“ დაჯარიმებით დასრულდა. სასტუმროს ადმინისტრატორი, მარინე საჩალელი დღემდე აღელვების გარეშე ვერ იხსენებს იმ დღეს: „შემოვიდა ერთი ახალგაზრდა ბიჭი – ძალიან სიმპათიურად ჩაცმული და ძალიან კულტურული. მოიტანა ჩანთა, რომელიც ყოფილა ღრუბლებით გატენილი და მოითხოვა ნომერი. მე, ვთხოვე, რომ ჯერ ასულიყო და დაბინავების შემდეგ გაგვესწორებინა

ანგარიში. სტუმარმა 50-ლარიანი კუპიურა გამომიწოდა და მითხრა, რომ ძალიან ეჩქარებოდა და მითოვა, დამეხურდავებინა ფული. რადგან მე ხურდა არ მქონდა, გამოვართვი და გვერდით მარკეტში დავახურდავე. ხურდა რომ გავუწოდე, მაჩვენებს საგადასახადო თანამშრომლის საბუთს, ჩეკი არ ამოგირტყიათო და დაიწყო აქტის წერა.“

„ინტურისტის“ იურისტის, ვახტანგ ძიძიგურის განმარტებით, სწორედ მაშინდელი საკონტროლო შესყიდვის შედეგად შექმნილ ჯარიმაზე აიგო კამერალური შემონმების აქტი და აღნიშნული ჯარიმა ჩაითვალა სააქციო საზოგადოების მიერ არასწორად წარმოებული ბუღალტერიის დამადასტურებელ ფაქტად. კამერალური შემონმების შედეგად, გორის რეგიონალურმა საგადასახადო სამსახურმა სააქციო საზოგადოებას 70 ათასი ლარის გადახდა დააკისრა.

ვასილ ბუთხუზის თქმით, საგადასახადო სამსახურის წარმომადგენლები მიზანმიმართულად ცდილობდნენ საჯარიმო თანხის გაზრდას. მათ ეს ორი გზით მოახერხეს: პირველი – ხელოვნურად შეამცირეს სანარმოს ხარჯი, ანუ არ ჩაუთვალეს დოკუმენტურად დადასტურებული ისეთი გასავალი, როგორცაა, მაგალითად, კომუნალური გადასახადი; და მეორე – უსაფუძვლოდ გაზარდეს შემოსავალი, კერძოდ იმაზე ძვირად შეაფასეს სასტუმროს ნომრების დღიური ღირებულება, ვიდრე ეს სინამდვილეში ღირდა.

„დაიწყო ასეთი პროცესი, რომ ყველანაირი ხარჯი, რომელიც ჩვენ გვქონდა 2005 წლიდან ამ შემონმებამდე, ხარჯებში არ ჩავითვალეს. „საქართველოს ბანკში“ გვქონდა ეს ჩარიცხვები. ამონაწერები ბანკიდან – ეს ყველაფერი მიტანილი გვქონდა. აქ შედიოდა – ელექტროენერჯის ჯარიმის გადასახადები, გაზის სარგებლობის გადასახადი, როგორც ხელით შეტანილი, ისე ბანკით გადარიცხული, ასევე, „სილქნეტის“ გადასახადი. აი, ეს თანხები საერთოდ არ

## სასტუმრო „ინტურისტის“

▶ ცნობილი სასტუმრო „ინტურისტის“ გორში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აშენდა. 1996 წელს ქვეყანაში დაწყებული პრივატიზაციის პროცესი სააქციო საზოგადოება „ინტურისტსაც“ შეეხო და სასტუმრო, პირდაპირი მიყიდვის წესით, 25 ათას დოლარად 5-მა პარტნიორმა იყიდა. მფლობელებიდან ერთერთი, მაშინდელი პროკურორის, ილია კაპანაძის დედა, ოლგა ბალაევა იყო, ის აქციების 35%-ს ფლობდა. 2007 წელს სააქციო საზოგადოება სამ ნაწილად გაიყო, აქციების რაოდენობის შესაბამისად სამ ნაწილად გაიყო სასტუმროს შენობაც. გაყოფის შემდეგ სს „ინტურისტის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ილია კაპანაძე გახდა.

▶ „კამერალური საგადასახადო შემონმება ტარდება პირის საქმიანობის ადგილზე გაუსვლელად, საგადასახადო ორგანოში არსებული პირის დაბეგვრასთან დაკავშირებული ინფორმაციის, აგრეთვე, გადასახადის გადამხდელისაგან მიღებული ახსნა-განმარტებისა და სააღრიცხვო დოკუმენტაციის საფუძველზე“ (საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 263, პუნქტი 3)

▶ გორში, სტალინის გამზირზე № 26-ში მდებარე სასტუმრო „ინტურისტის“ შენობას ყადაღა მხოლოდ ერთხელ - 2010 წლის 21 დეკემბერს მოეხსნა, ამ დღეს გორის რაიონულ სასამართლოში ილია კაპანაძის სასამართლო პროცესი შედგა და იმავე დღეს კაპანაძის შვილმა შენობა სახელმწიფოს წარმომადგენელს აჩუქა.

ჩაგვითვალეს ხარჯებში“, – იხსენებს ვასილ ბუთხუზი.

გარდა იმისა, რომ სააქციო საზოგადოების ხარჯები არ გაითვალისწინა, საგადასახადო სამსახურმა ჩათვალა, რომ 2004 წლიდან 2010 წლამდე „ინტურისტის“ თითოეული ნომრის ღირებულება 70 ლარს შეადგენდა. საგადასახადო სამსახურის წარმომადგენლებმა არ გაიზიარეს „ინტურისტის“ წარმომადგენლების ახსნა-განმარტება, რომ სასტუმროში ნომრები გაცილებით უფრო იაფი იყო. დიდი ხნის ურემონტო სასტუმროში ცხელი წყლის არმქონე ნომრის ღირებულება 20 ლარიდან იწყებოდა და ძალიან იშვიათ შემთხვევაში აღწევდა 50 ლარს.

ექსპერტი ირაკლი შავიშვილი საგადასახადო სამსახურის მიერ სააქციო საზოგადოება „ინტურისტის“ კამერალური შემონების აქტს ასე აფასებს: „ზოგადი ტენდენციები ისეთია, რომ გადასახადის გადამხდელის ინტერესები ნაკლებად არის ხოლმე დაცული ასეთი შემონებების დროს. ეს აქტიც ამის ერთ-ერთი დადასტურებაა“.

„ინტურისტის“ დაბეგერის დრო რუსეთ-საქართველოს ომს დაემთხვა. ამ პერიოდში სასტუმროს შემოსავალი, პრაქტიკულად, არ ჰქონია. ვასილ ბუთხუზი ამბობს, რომ გორი ამ დროს დაცლილი იყო, მათ სასტუმროში იმყოფებოდა მხოლოდ რამდენიმე უცხოელი ჟურნალისტი, ისიც სასტუმროს სარდაფში“.

არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ წარმომადგენელი ნინა ხატისკაცი აცხადებს, რომ საგადასახადო სამსახურს სახელმწიფო ზოგჯერ მენარმეზე ზენოლის მექანიზმად იყენებს.

ჩვენთან, საქართველოში, ჯერჯერობით, ასეთი ტიპის საგადასახადო შემონებები გამოიყენება ბიზნესზე ზენოლის ბერკეტად. რა თქმა უნდა, განვითარებულ ქვეყნებშიც არის იმ ორგანიზაციების შავი სია, რომლებიც შემჩნეული არიან გა-

დასახადების დაფარვაში, მაგრამ იქ სპეციალური კომპიუტერული პროგრამა არჩევს შესამონებელ კომპანიებს და არაეის აქვს საშუალება, სურვილისამებრ განსაზღვროს, თუ ვის შეამონებს და სად შევა“.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ კერძო საკუთრების დაცვის პროექტი მას შემდეგ დაიწყო, რაც მათ იურიდიულ ცენტრში იმატა იმ მოქალაქეთა რაოდენობამ, რომლებსაც სახელმწიფომ კერძო საკუთრების უფლება შეუღებოდა. პროექტის ხელმძღვანელი, ნინა ხატისკაცი აღნიშნავს, რომ მათი მონაცემებით, ამჟამად ქვეყანაში ყველაზე მწვავედ კერძო საკუთრების ხელყოფის პრობლემა დგას. მისი თქმით, კერძო საკუთრების სახელმწიფოზე ჩუქების ტენდენციამ მასობრივი სახე 2006-2007 წლებში მიიღო და დღემდე გრძელდება. იგი ამბობს, რომ კერძო საკუთრების უფლების შელახვის პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ ტურისტულ ზონებში მცხოვრებ ადამიანებს აწუხებთ.

## ჩუქება

საგადასახადო შემონების შედეგად სს „ინტურისტს“ 70 ათასი ლარის ოდენობის ჯარიმა დააკისრეს, საგადასახადო მოთხოვნა „ინტურისტმა“ 2010 წლის 12 დეკემბერს მიიღო. სააქციო საზოგადოების კუთვნილ ქონებას ყადაღა დაედო, თუმცა ცხრა დღის შემდეგ, 21 დეკემბერს, როცა ილია კაპანაძის სასამართლო პროცესი მიმდინარეობდა, შენობას ყადაღა მოხსნილი ჰქონდა. შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი, ჟურნალისტი საბა წინიკაშვილი იხსენებს, რომ სასამართლო პროცესი იმ დღეს რამდენჯერმე გადაიდო, პროკურატურა ილია კაპანაძესთან სასამართლო დარბაზში მოლაპარაკებებს მართავდა. ამის პარალელურად, საჯარო რეესტრში „ინტურისტის“ ქონების სახელმწიფოზე ჩუქების პროცესი სრულდებოდა. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენ-

■ **კაპანაძის ოჯახისათვის ცნობილი გახდა, რომ ილია კაპანაძეს საპროცესო შეთანხმების საფუძველზე თავისუფლებას იმ შემთხვევაში ჰპირდებოდნენ, თუკი იგი მისი ფირმის საკუთრებაში არსებულ სასტუმრო „ინტურისტს“ სახელმწიფოს დაუთმობდა.**

ტოს მონაცემებით, დაპატიმრებული ილია კაპანაძის შვილმა, დავით კაპანაძემ „ინტურისტის“ კუთვნილი ქონება სახელმწიფოს 21 დეკემბრის საღამოს აჩუქა.

ქონების გადაფორმების შემდეგ ილია კაპანაძე პატიმრობიდან გაათავისუფლეს. მას 2000 ლარი ჯარიმა და 4 წლიანი პირობითი სასჯელი მიუსაჯეს. პროსტიტუციის ხელისშეწყობის ბრალდებით დაკავებულმა სასტუმრო „ინტურისტის“ სამმა ადმინისტრატორმა კი ერთი წელი საპრობილეში მოიხადა.

საჩუქრის მიმღები სახელმწიფოს მხრიდან, შიდა ქართლის სახელმწიფო ქონების აღრიცხვის სამმართველოს წარმომადგენელი, გიორგი ქობლიანიც გახლდათ. ჩვენთან საუბარში ქობლიანიც ილია კაპანაძის



სასტუმრო „ინტურისტის“ ინტერიერი

პატიმრობასა და ქონების ჩუქებას შორის კავშირს უარყოფს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ წარმომადგენლის ნინა ხატისკაცის თქმით კი, პატიმრობასა და ჩუქებას შორის კავშირზე „თარიღები“ მიანიშნებს. „ერთი მხრივ, არის სასამართლოს განაჩენი და იმავე დღეს, 21 დეკემბერს საღამოს საათებში გადაფორმდა ქონება სახელმწიფოზე. რამდენად შესაძლებელია დაპატიმრებულ ადამიანს გაუჩნდეს სახელმწიფოსათვის ქონების ჩუქების მყისიერი სურვილი? თუ გეგულებათ ადამიანი?“

## დავა საგადასახადოსთან

საქმე, რომელიც პროსტიტუციასთან ბრძოლის საბაბით დაიწყო, ჯერ არ დასრულებულა. მართალია,

ქონება სახელმწიფომ იჩუქა, თუმცა საგადასახადოს მიერ დაკისრებული 70 ათასი ლარის ვალი ისევ სააქციო საზოგადოება „ინტურისტმა“ უნდა გაისტუმროს.

დაკისრებული გადასახადი „ინტურისტმა“ ჯერ შემოსავლების სამსახურში, შემდეგ კი დავების განხილვის საბჭოში გაასაჩივრა. დავების საბჭომ 500-ლარიანი საკონტროლო შესყიდვის ჯარიმა გააუქმა. ასევე დაუსაბუთებლად მიიჩნია კამერალურ აქტში ხარჯების არჩაღრევა და საქმე ისევ შემოსავლების სამსახურს გადაუგზავნა. თუმცა, ძალაში დატოვა საგადასახადო მოთხოვნა 70 ათასი ლარის ოდენობით. არადა, ამ მოთხოვნის გამო ილია კაპანაძის მიმართ ახალი სისხლის სამართლის საქმე უკვე აღძრული იყო.

სააქციო საზოგადოების იურისტის, ვახტანგ ძიძიგურის განცხადებით, გადანყვეტილება უკანონოა: „... დავების განხილვის საბჭოსთვის ასეთი გადანყვეტილების მიღება აპრობირებული მეთოდია“.

ილია კაპანაძემ დარიცხული თანხის სამართლიანობაზე დავა სასამართლოში განაგრძო. მისი სარჩელი არც საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა და სააპელაციო სასამართლომაც უცვლელი დატოვა გადასახადი – 70 ათასი ლარი. უკვე სახელმწიფოს კუთვნილი სასტუმრო „ინტურისტი“ დახურულია. დაუბრუნდება თუ არა საპრობილეს ილია კაპანაძე, ამჯერად გადასახადების გადაუხდელობის გამო, ამას უზენაესი სასამართლო გადანყვეტს. ■



ფოტორეპორტაჟი

# ბნელი დეჩეფნების ბინადხები

ე.წ. უსინათლოების დასახლებაში მცხოვრებლები დახმარებას ითხოვენ.

მალხაზ ჭკადუა



მე-20 საუკუნის ნახევარში აშენებული შენობა ავარიულ მდგომარეობაშია, არ არის ბუნებრივი აირი, სარდაღი კი წყლით არის სავსე.



ჩამონგრეული აივნები, გაბზარული კედლები, ნესტი, სიცივე, ჩაბნელებული დერეფნები, მუდმივი ბრძოლა ლუკმაპურისთვის – ეს ფონიჭალაში, ე.წ. „უსინათლოების დასახლებაში“ მცხოვრებთა ყოველდღიურობაა. 1948 წელს აშენებულ საცხოვრებელში 30-მდე ოჯახია შეკედლებული. მობინადრეების უმრავლესობა სიღარიბის ზღვარს ქვევით ცხოვრობს.

ლალი მაჭავარიანის ოთხსულიანი ოჯახი ყოველთვიურად

102-ლარიან შემწეობას იღებს. ამბობს, რომ რაიონის გამგეობას დახმარებისთვის არაერთხელ მიმართა, თუმცა ამ დრომდე ყურადღება არავის მიუქცევია.

„ბიჭი აფხაზეთის ომში დაიღუპა... ქალიშვილის ოჯახი კი, ხედავთ, რა პირობებშიც ცხოვრობს. ეს აივანი რომ ჩამოინგრა, მივმართე გამგეობას, მაგრამ რა არის შედეგი?! მეზობლები დაგვეხმარნენ, შპალერი გავაკარით ოთახში, დენიც მათგან გადმოვიყვანეთ,





„ძია კოლიას“ ოთახში ერთადერთი ფოტო ჰკიდია – მეუღლე დიდი ხნის გარდაიცვალა, სხვა ნათესალები კი კრასნოდარის მხარეში ცხოვრობენ.



„ოფიციალურ განცხადებაზე ოფიციალურ პასუხს ვერ ვეღირსე... ამ ქვეყნის მოქალაქე არ ვარ თუ რა ხდება?“ – ლელა ვეფხვაძე.



ლალი მაჭავარიანი ამბობს, რომ დახმარების მისაღებად წლების განმავლობაში ჩინოვნიკების კარებთან დგომას შედეგი არ მოუტანია.

ბავშვმა სიბნელეში როგორ იმეცადინოს, დავალიანება 300 ლარზე მეტი გვაქვს, ჩვენი ამ თანხას როდის დავფარავთ?!“ – კითხვა რიტორიკულად უღერს.

80 წელს მიღწეული ნიკოლაი ჩემიკოსი ოთახში მარტო ცხოვრობს. ბუნდოვნად მხოლოდ იმ სინათლეს არჩევს, რომელიც ფანჯრიდან შემოდის, თუმცა ზუსტად იცის, ოთახში სად რა დევს. ყოველთვის სიგარეტის ნახევარს ეწევა, „ასტრას“ ბოლს ფიქრს ვაყოლებო, – ამბობს ბნელი დერეფნების კიდევ ერთი ბინადარი. მას მეზობლები მოფერებით „ძია კოლიას“ ეძახიან.

ლელა ვეფხვაძე კვირაში რამდენიმე დღე მეტროს სადგურში მღერის. ფანდური, სკამი და წყალი, – როგორც თვითონ ამბობს, ეს მისი „სამუშაო იარაღებია“. არაერთხელ მიმართა გამგეობას, კორპუსის გარემონტების თხოვნით. „გვითხრეს, რომ მხოლოდ 60% დაგიფინანსებთ, დანარჩენი თქვენ გადაიხადეთო. ის თანხა, რომელსაც სოციალური დახმარების სახით იღებთ, გადადეთ და გაარემონტეთო. დაგვცინიან. მოვიდეს რომელიმე ჩინოვნიკი და ერთი დღე მაინც იცხოვროს ჩვენ გვერდით. მე რე მისხედებიან, ალბათ, რა პირობებშიც ვართ და რა ფასად გვიჯდება შვილების რჩენა“, – ლელა იმედს არ კარგავს, რომ არ განმეორდება ის ტრაგედია, რაც შარშან თბილისობაზე მოხდა: „უსინათლოთა დასახლების“ ერთ-ერთი კორპუსის ჩამონგრევამ ერთი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.

„შარშან მერამ ჩვენი კორპუსი გადახურა... იქნებ, ამჯერადაც გამოიჩინონ გულისხმიერება და ჩამონგრევამდე მოგვხედონ“, – ამბობს ლელა ვეფხვაძე. 



აქ მცხოვრებლები შერჩეულები არიან კედელ-კედელ, ხელების ცეცებით ბნელ დერეფნებში სიარულს.

# მეოსნებანი და სხვები

გიორგი კიკონიშვილის ბლოგი



*„თქვენ ფიქრობთ, რომ ვოცნებობ. მე კი ვიცი, რომ ერთადერთი მეოცნებე არ ვარ. იმედი მაქვს, ერთხელაც, შემოგვიერთდებით და სამყაროს გავეერთიანებთ.“*  
**ჯონ ლენონი, 1971წ.**

**სიტუაცია №1:** მოყუდებული გაქვს ჭიქა, მაგრამ წყალს ვერ სვამ. ვიღაც გიჩიჩინებს, პირი უფრო დიდზე გააღე და დალევო. ალებ ამ პირს, ალებ, ალებ, მაგრამ მაინც არ გადმოდის წყალი. არადა, რა გადმოვა, როცა ჭიქა ცარიელია? ამ დროს ან შენ, ან იმ კეთილ მრჩეველ დეიდას, ან ბიძიას უნდა ეყოს ჭკუა, რომ უწყლობის მიზეზი ცარიელ ჭიქაში ეძებოს და არა პირში. თუ ცარიელ ჭიქაზე არ მიგანიშნებს, ან შტერია, ან ცუდი ტიპი.

„ჯეოსტარის“ ჟიურის წევრები ან შტერები არიან, ან ცუდი ტიპები, ხანდახან – ორივე (ჟიურიმ მაპატიოს, რევერანსებს ვერ ვიტან. ანდაც, ნუ მაპატიებენ). სხვანაირად, ჭკვიანს და

კარგ ტიპს ვერ ვუნოდებ ადამიანს, რომელიც რიგით „ჯეოსტარელ“ მომღერალს ეუბნება, რომ მის მიერ შესრულებული ჯგუფ Nirvana-ს პიტი იყო საუკეთესო, რაც კი მსოფლიოში შესრულებულა, რომ ასე Nirvana არსად და არავის შეუსრულებია. ეს არა იმდენად სიშტერე, რამდენადაც წარმოუდგენელი მასშტაბის სიყალბე და ფლიდობაა, რომელიც მარინა ბერიძემ გამოამჟღავნა.

დავანებოთ თავი ამ ქალს. პოსტის დანერა სულ სხვა რამემ შთამაგონა, სულ სხვა სიყალბემ. როდესაც გადაწყვეტ, რომ დამწყებ მომღერლებს ჟურნალ Rolling Stone-ის მიერ არჩეული მსოფლიოს ათი საუკეთესო სიმღერა შეასრულებინო, აუცილებლად უნდა იცოდე, რომ სადღაც ფეხი წაგიცდება. უფრო და უფრო ვრწმუნდები, რომ თეორიული განათლების მქონე მუსიკის „ექსპერტები“ მაღიზიანებენ. ისინი გაგისწორებენ ინტონაციებს,

ბგერებს, დააკვირდებიან დეტონაციებს, მელოდიას და ყველაფერს, რაც მუსიკალურ კოლეჯში ასწავლეს, მაგრამ ხშირად უჭირთ სიმღერაში მთავარის – იდეისა და კონცეფციის, მულამის დაჭერა. ემსგავსებიან ენის მცოდნე „პედაგოგებს“, რომლებიც ნაწერის შინაარსზე მეტად პუნქტუაციას აკვირდებიან. ჰოდა, აი, მანდ კვდება მუსიკის, როგორც ადამიანის გულისა და გონების ნაყოფის აღქმა. ასე მოხდა „ჯეოსტარშიც“. მთლიანი გადაცემა, საბედნიეროდ, არ მინახავს, თუმცა როდესაც სამზარეულოდან ჯონ ლენონის Imagine-ს ჯეო-ვერსია შემომესმა, გული წინასწარ შემიღონდა – ზუსტად ვიცოდი, რომ მოხდებოდა ის, რაც მოხდა.

ყველაზე გაპაპსავებულ და ცოტათი მობეზრებულ სიმღერებსაც კი შიგადაშიგ ვუბრუნდები ხოლმე. ორიოდე თვის წინ, თინეიჯერობის შემდეგ უკვე ხელმეორედ შევჯექი სწორედ ამ სიმღერაზე და ხელმეორედვე დავინყე ფიქრი იმაზე, რომ Imagine არა მხოლოდ სიმღერა, არამედ მე-20 საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი ინტელექტუალური პროდუქტია. გეტყვით, რატომაც.

**სიტუაცია №2:** ცხოვრობ ორ მსოფლიომგადატანილ, გაპარტახებულ დედამიწაზე და იცი: ღილაკზე თითის დაჭერიდან რამდენიმე წუთში ცაზე ატომური ბომბების ფერადი ბუშტებივით გაცუნცულ-გამოცუნცულება საკმარისია საიმისოდ, რომ ჰოოოპლააა!!! და მზის სისტემას ერთი პლანეტა გამოაკლდება. რა თქმა უნდა, ჩვენს პლანეტას ვგულისხმობ. ამ დროს ჭკვიანი კაცისთვის გამოსავალი – მშვიდობიანი თანაცხოვრებაა. სულელისთვის – მილიტარიზაცია. ჭკვიანი კაცი გეტყვის, ყველამ ერთად მოვშალოთ მშვიდობის ხელისშემშლელი ბოროტული ბარიერებიო. სულელი კი

მილიარდებს დახარჯავს ახალი ბომბებით მომარაგებაში. ასე უნდა იყოს არა? არადა პირიქითაა – პაციფისტებს რეალობას აცდენილ „ჩმორ“ მეოცნებეებს უწოდებენ, მილიტარისტებს კი – ჭკვიან, ხალხისთვის გამოსადეგ მმართველებს და პოლიტიკოსებს.

მე-20 საუკუნის ხელოვნებაში ყველაზე მქუხარედ პაციფიზმის იდეის შემოტანა ორ მსოფლიომგადატანულ, გაპარტახებულ დედამიწაზე, სწორედ ჯონ ლენონს ეკუთვნის. იდეა, როგორც გულისა და გონების ნაყოფი – უბრალოდ, მუსიკალური ბგერებით გამოხატული. Imagine – უფრო იდეაა, ვიდრე სიმღერა.

ძნელია გასაგებად? არა მგონია. ტექსტში ლენონი პირდაპირ გვაჯახებს, თუ რა უშლის ხელს ადამიანთა მშვიდობიან თანაცხოვრებას: დედამიწის დაყოფა ქვეყნებად, რელიგიებად, ერებად, სამოთხედ და ჯოჯოხეთად, ადამიანთა მტაცებლური ვნებები... არადა, ისტორიას, ან რაღა შორს მივდივართ, დღევანდელ ნიუსებს თუ გადავხედავთ, ადამიანები გამუდმებით უღეტენ ერთმანეთს იმიტომ, რომ ვერ იყოფენ ტერიტორიებს, ვერ იყოფენ ქონებას, ვერ იყოფენ რელიგიებს, „გზავნიან“ ერთმანეთს სამოთხეში ან ჯოჯოხეთში. ზოგი ართმევს და ჭამს, ზოგი შიმშილით კვდება; განასხვავებენ თავს ერთმანეთისგან და შემდეგ ამ განსხვავების გამო სძულთ, ანადგურებენ, სპობენ. გააჩნია კი ჭკვიან კაცს ასეთი სამყაროს ალტერნატივა? თუ არა, მაშინ რა გვიშლის ხელს, რომ წარმოვიდგინოთ და ცოტაც, ან ბევრიც ვიოცნებოთ? წარმოვიდგინოთ სამყარო, სადაც ყველაზე დიდ ღირებულებად ადამიანი და ადამიანთა შორის მეგობრული თანაცხოვრება გამხდარა. სამყარო, სადაც ნაშლილია ზღვარი რელიგიებსა და ქვეყნებს, ერებს შორის. ვერ წარმოვიდგენთ?

ლენონს თავის დროზე მაგრად მოხვდა ერთი კეთილი ოცნებისთვის. პოლიტიკოსებს უღვაშებში ელიმებოდათ, მილიტარისტები დამბაჩებს ტენიდნენ, რელიგიურმა ჯგუფებმა კი ლამის ჯვარს აცვეს ამ სიმღერის გამო.

დარწმუნებული ვარ, ამ პოსტის ბევრ ქართველ მორწმუნე მკითხველსაც გულზე სიძულვილი მოანება, რელიგიას გვართმევდა ეგ „ურჯულო მასონი“-ო, იტყვიო. ვინც ასე ფიქრობთ, შეგახსენებთ: ლენონამდე ოცი საუკუნით ადრეც დადიოდა ერთი ასეთი ახალგაზრდა მეოცნებე. უნივერსალურ კოსმოპოლიტიზმს ქადაგებდა, ამბობდა ადამიანების დაყოფა და განსხვავება რელიგიური, ეთნიკური, სოციალური, გენდერული ან სხვა ნებისმიერი ნიშნით სისულელეაო. ლენონისგან განსხვავებით ის ნამდვილად აცვეს ჯვარს, სადაც დღევანდელ ახლო აღმოსავლეთში, გოლგოთას მთად წოდებულ ადგილას. გაგახსენდათ?

ჰოდა, ძალიან კარგი. ციდან დავეშვათ და საკითხს დავუბრუნდეთ. შეძლებს კი ადამიანი დალიოს წყალი იმ ჭიქიდან, რომელიც ცარიელია? უფრო ქვემოთ რომ დავეშვათ: შეძლებს კი ადამიანი, მიმღეროს იმ ოცნების შესახებ, რომელიც არ გააჩნია? და კიდევ ქვემოთ: იმღერებდა „ჯეოსტარელი“ მარი Imagine-ს კარგად, თუკი არ იცოდა რაზეა სიმღერა? არა, ვერა, არა და ისევ ვერა.

სიმღერა კარგი რამეა. ღიღინებ, გულს გიხალისებს, ან გიმძიმებს. ჩამოვთვლით უამრავ ნაწარმოებს, რომლის შესასრულებლადაც მინიმალური სმენა და ხმა საკმარისია. ჩამოვთვლით უამრავ ნაწარმოებს, რომლის იდეაც შეიძლება არ გვესმოდეს, არ ვეთანხმებოდეთ, ან, არც გვანტერესებდეს, მაგრამ მაინც კარგად ვიმღეროთ. მაგრამ ვერ დავიჯერებ, რომ არაკოსმოპოლიტის მიერ კრისტიან აგილერას ბალადასავით ნამღერი Imagine კარგი გამოვა. დასხდებიან მუსიკის „ექსპერტები“, შეგიმომწებენ „პუნქტუაცია“ და მარინა ბერიძესავით, ანდაც უარესი, გიგი დედალამაზიშვილივთ გეტყვიან, შენი ნაკლი ისაა, რომ პირს კარგად ვერ ალებო. შენც ალებ, ალებ, ალებ ამ პირს, მაგრამ მაინც არაფერი გამოდის. როგორც არაფერი გადმოდის ცარიელი ჭიქიდან, თავდაყირაც რომ დააყენო.

აი, ასე, მომღერალს, რომელსაც Imagine შეყვარებულების ბალადა ჰგონია, ქორწილის პირველ, რომანტიულ ღამეს სამღერი, არაფერიც არ გამოუვა. არც ფიურის, რომელიც აპრეხილი წამწამებით ასწორებს პუნქტუაციას. არც მსმენელს, რომელიც ტაშს უკრავს იდეას და არც კი იცის, რატომ. არადა წარმოსახვა, ოცნება კარგი რამეა. ამ პროცესში ჭკვიანური იდეები იბადება – იდეები, რომლებიც ხან სამყაროს ცვლიან და ხან თუნდაც ერთი ადამიანის ცხოვრებას. გონება გვაქვს და ფიქრში მაინც ხომ არავინ გვიშლის ხელს?

**სიტუაცია№3:** ზიხართ კომპიუტერთან, რამდენიმე წუთით იფიქრებთ, რომ კლავიატურა ფერფლითაა სასე, რომ ჩაიგაციებულა უკვე და ერთი საათის წინ დაჭრილ ვაშლს ყავისფერი დასდებია, რომ მიშამ ახლახან მსოფლიოში საუკეთესო უწოდა რიკოთის გვირაბს, ხოლო „კურიერმა“ მიუზიკლი „ქეთო და კოტე“ პოსტმოდერნად გამოაცხადა. იფიქრებთ, რომ ავგისტოს ომი საამაყო ყოფილა, რომ 21-ე საუკუნის საქართველოს აყვავებულ ეკონომიკას მშეიერი ადამიანები მოჰყვება დესერტად, რომ ირანი ატომური იარაღის შექმნაზე მუშაობს, ტაილანდში წყალდიდობაა და აშშ-ში, სულ ცოტა ხნის წინ, ქმრის ღალატისა და მოკვლის გამო, ირანელი საქინესგან განსხვავებით, აშშ-ის სასამართლომ ქალი სიკვდილით დასაჯა და საქინეს ამბისგან განსხვავებითვე, ცოტამ თუ გავიგეთ ეს. მოკლედ, იფიქრებთ ყველაფერს, რთავთ ლენონის Imagine-ს და ცდილობთ, უბრალოდ უკეთესი სამყარო წარმოიდგინოთ.

P.S. იუთუბიზე ეს სიმღერა 13 მილიონ ადამიანს აქვს ნანახი. მათგან მხოლოდ 1,229-მ დააჭირა Dislike-არმოწონების ღილაკს. გამოდის 13 მილიონიდან ძალიან, ძალიან ცოტა, მხოლოდ 1,229 ადამიანს არ შესძლებია, სულ მცირე, ეოცნება მაინც უფრო მშვიდ სამყაროზე. სამაგიეროდ, დანარჩენმა 13 მილიონმა სცადა.

ხომ გახსოვთ რა თქვა ლენონმა? – „თქვენ ფიქრობთ, რომ ვოცნებობ. მე კი ვიცი, რომ ერთადერთი მეოცნებე არ ვარ“. ☑

# ბამახჯობა! ბაბიმახჯოს!

(ჩა თქვა ჯნა, თუ ბიციხუა ოჩი ჯასი მიიოლა)



კახა თოლორდავა  
ჟურნალისტი

ათიოდე წლის წინ, ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის კავკასიის წარმომადგენლობაში რომ დავიწყე მუშაობა, ერთი კარგი მეგობარი შევიძინე. წარმოშობით ავსტრიელი იყო, მაგრამ რადგანაც ფონდის სათავე ოფისი შვეიცარიაშია, ისიც იქ ცხოვრობდა თავის ინგლისელ მეუღლესთან და ოთხი წლის გოგოსთან ერთად. მარტინ ჰილერი ერქვა. ერთმანეთს რომ გაუგეთ, ხან მარტინ ჰიტლერს, ხანაც მარტინ თრილერს ვეძახდი. არ წყინდა, პირიქით, გულიანად იცინოდა ხოლმე. ფონდიდან რომ წამოვედი, დავკარგეთ ერთმანეთი, თუმცა დღესაც თბილად ვიხსენებ იმ კაცს და მის ოჯახს. ის ერთადერთია ჩემი ნაცნობებიდან, ვინც, რადგანაც ნაჭირავებ ბინაში პატარა ბავშვის გამო საკმარისი ადგილი არ ჰქონდა, შემოსასვლელში (სადაც პალტოებს ვიხდით ხოლმე) გაშალა სუფრა ჩემს საპატივცემულოდ და ამისთვის ბოდიშიც არ მოუხდია. ის ურთიერთობის ხარისხს უფრო მეტ ყურადღებას აქცევდა, ვიდრე კურტუმოს ქნევას. მაგრამ მოვილხინეთ იმ დღეს. ქართულ-ავსტრიულ-ინგლისურ-შვეიცარიულად!

როდესაც მარტინი პირველად ჩამოვიდა საქართველოში და ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკს ეწვია, ერთ საღამოს გვერდზე გამიყვანა, თვალი თვალში გამიყარა და მკითხა, ზუსტად ისე, როგორც გიორგი დანელიას „შემოდგომის მარათონში“ დანიელი პროფესორი ბილ ჰანსენი ეკითხება ბუზიკინს (ანდრეი, მე ალკაში ვარ?): „კახა, მე ძალიან მახინჯი ვარ?“ „არა, მარტინ, რატომ ამბობ ამას“ – შევიცხადე. კიდევ უფრო დაჟინებით ჩამაკვირდა, – „აბა, რატომ არ მესალმება არავინ?“ მხოლოდ ამის შემდეგ ამიხსნა, თუ რას გულისხ-

მობდა: „აი, ვსეირნობ სადმე – პარკში, მაგალითად. ჩამივლიან, მივესალმები, ისინი კი შემომხედავენ და გზას ისე აგრძელებენ, თითქოს ვერ დავენახეთ. ირემს უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევდნენ, ვიდრე მე. რატომ?“ თქვენთვის ნამდვილად არ უნდა იყოს საინტერესო, თუ რა ვუთხარი იმ დღეს მარტინს, მაგრამ ფაქტია, რომ ზაფხულის ის დღე



არასდროს დამავიწყდება. ეს ტექსტიც მარტინს ეძღვნება.


მე ბევრს დახეტილობა ქალაქში თუ მის შემოგარენში და ვგრძნობ, რომ მარტინ ჰილერის იმდღევანდელი ჩივილის თვალთ ვუყურებ ყველა შემხვედრს. განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ვინრო ბილიკზე ვეჩეხები ხოლმე თანამოქალაქეს. მართალია, თბილისი კლანქი გახდა, მაგრამ ის მაინც პატა-

რა, პროვინციულ ქალაქად რჩება და გარკვეულ სიტუაციებში, ჩვენ ამის არ უნდა გვეშინოდეს, პირიქით – ესაა ის, რისი შენარჩუნებისკენაც უნდა ვისწრაფოდეთ, რაც, ძალიან მარტივად რომ ვთქვა, ნიშნავს იმას, რომ, როდესაც ვინრო ბილიკზე (სადმე, კუს ტბის თუ თბილისის ზღვის მიდამოებში) ერთმანეთს გადავეყრებით, ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ უნდა მივესალმოთ ერთმანეთს. ეს „აუცილებლად“ ნუ შეგამინებთ და ნუ გაგალიზიანებთ, მანამ, სანამ კარგად არ გაიაზრებთ ჩემს სიტყვებს. მე ჭკუის სწავლებას არავის ვუპირებ, თავშიც კი არ მოდის ასეთი აზრი, მაგრამ ყოველ ჯერზე, როდესაც ბილიკზე თანამოქალაქეს ვეყრები, დარწმუნებული ვარ, მდუმარედ, უსალმოდ თვალის არიდების და ჩავლის წამი იმაზე მე ტ ს ამბობს ჩვენზე, ვიდრე შეიძლება გვეგონოს. ზოგჯერ იმასაც ვფიქრობ, რომ ამ გაკვრით „გამარჯობას“ იმაზე მეტი დატვირთვა აქვს, ვიდრე გვეგონია. ფარული, ძნელად შესამჩნევი, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი. გადამწყვეტიც კი!

აი, ხვდება ორი თბილისელი ერთმანეთს საცალფეხო ბილიკზე (სოფლებში ამ დროს ერთმანეთს ესალმებიან), გარშემო სხვა არავინაა და ისინი უხმოდ, საღამის გარეშე ჩაუვლიან ერთმანეთს, თითქოს ერთმანეთი არც კი დაენახოთ. დამიჯერეთ, ათიდან ცხრა შემთხვევაში ასე ხდება და პირადად ჩ ე მ თ ვ ი ს ეს იმაზე მეტს ნიშნავს, ვიდრე – მოვა თუ არა ქვეყნის სათავეში ბიძინა ივანიშვილი, ან ბილ ქლინთონი, ან ვაცლავ ჰაველი. ან შალვა, ან... (ჩასვი ვინც გინდა!). შინაგანი ხმა მეუბნება, რომ „გამარჯობა“ ვინრო ბილიკზე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე „ჯოს“ რუსთაველის პროსპექტზე.

Fujitsu ჰეიკონდაცის უნებს Windows® 7.

Fujitsu LIFEBOOK  
ძლიერი და გონივრული  
შესრულება



# ყოველთვის გზადყოფნაში



**Fujitsu LIFEBOOK**- ის AH სეხია გთავაზობთ ედგანტუი და დახვენიღ დიზაინს, ნაჰმოდგენიღა: ჰიღაღ, გღუღი, ასეღე სხვადასხვა ფეიჰი შესხეღებღი. ეს HD მაღალი გაჰრეღადღობის ჰიღაღ თხეღვად-ჰიღსტაღეღი ფაჰთოღფოღმაღიანი 16:9 ეღჰანი, ჰომეღღეღ ყომბინიღებღეღა Intel® HD გაჰაფეღეღ სისტემაღსთან ან მღღაღეღ დისჰეღეღეღ გაჰაფეღეღეღ ვეღსიასთან, მაღსიმაღღეღ ყომღფოღს შეღეღმნიღთ და აჰარეღეღეღიღ გამოღციღღებაღ შეღეღენთ, ნეღბისმიღეღი სიღთეღის საღმეღაღეღის შესხეღეღბისას.

## LIFEBOOK

Intel® Core™ vPro™ მეღეღ თაღბის ჰიღეღეღსოღეღი აღღეღეღი Lifebook - გაამღღეღეღბს თეღენს ცხოღეღებაღს.

**FUJITSU LIFEBOOK AH531/GFO** ტეღნეღეღი მახასიაღებღეღი:

- მეღეღ თაღბის ჰიღეღეღსოღეღი Intel® Core™ i5 vPro™
- ნამღეღღი Windows® 7 Professional
- 39.6 სმ. (15.6 დეღმიანი) დიღგონაღის, მაღალი გაჰრეღადღობის 16:9 ჰიღაღ თხეღვად-ჰიღსტაღეღი ეღჰანი LED ტეღნოღოღეღი.
- NVIDIA® GeForce® GT525M 1gb VRAM დისჰეღეღეღეღ გაჰაფეღეღა და Optimus ტეღნოღოღეღა
- Blu-ray Disc™ drive (აჰსავადღებღეღ),HD-Audio, 1.3 მზ. ვეღ ჯამეღა და მეღეღმეღღისთვის განეღთენიღი ციფეღიღი მიღეღოღმნი.
- ახაღი ფუნქეღეღი, მაღაღიოღღ Alytime USB Charge, საშეღეღებაღ მოღეღეღმთ დამეღსტოღი USB ჰიღეღიღან თეღენი სხვადასხვა მოღეღობიღებღი მაღმინაღ ჟი, ჰმღესაღ ნოღეღბეღეღი გამოღთეღაღ.



Tel.: 251 01 11  
www.alta.ge

Celeron, Celeron Inside, Core Inside, Intel, Intel Logo, Intel Atom, Intel Atom Inside, Intel Core, Intel Inside, Intel Inside Logo, Intel vPro, Itanium, Itanium Inside, Pentium, Pentium Inside, vPro Inside, Xeon, and Xeon Inside ნაჰიზაღღენენ ინეღღის ყოღზოღაღის საღეღეღო ნიღნებაღ, ნაჰიზოღებღს აჰიღეღის მეღთოღეღეღ მღეღეღსა დანან სხვა ეღეღეღებღი.





**WWW.LIBERALI.GE**

